საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ასფალტის საფარის მოწყობის სამუშაოები შემდეგ მისამართებზე: მშველიძის ქუჩა-უშაკოვის ქუჩასთან მესხეთის ქუჩის კვეთამდე, ვარკეთილის მე-4 მ/რ მე-3 კვ კორპუსი N14, N15-ის ეზო; შანდორ პეტეფის ქუჩისი მონაკვეთი, ვაზისუბნის მე-3 მ/რ მე-2 კვ კორპუსი N6, N7 ეზო; ვაზისუბნის 1-ლი მ/რ კორპუსი N20ა ეზო, ვაზისუბნის მე-2 მ/რ კორპუსი N27, ბერი გაბრიელ სალოსის მე-7 შესახვევი კორპუსი N1, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი კორპუსი N163, N165, N167, N169-ის ეზო; კახეთის გზატკეცილი კორპუსი N48, დიდგორის ქუჩა-წულაძის ქუჩიდან ციხისძირის ქუჩამდე, ჰამლეტ გონაშვილის ქუჩა N2-ის ეზო, მესხიშვილი-სამურის შესახვევი, ვაზისუბნის 1-ლი მ/რ კორპუსი N13-სა და N92 საჯარო სკოლას შორის, მესხიშვილის ქუჩა N12-ის მიმდებარედ, გაბრიელ სალოსის მე-3 შესახვევი კორპუსი N4-ის წინ, გუმბრის და სამრეკლოს ქუჩების კვეთა, გუმბრის ქუჩა სამების ტაძრის ზედა შესასვლელთან, ჰამლეტ გონაშვილის ქუჩა, ვაზისუბნის მე-4 მ/რ 1-ლი კვარტალი კორპუსი N14, N15; ირბახის ქუჩა N15-ის ეზო, ვაზისუბნის დასახლება კორპუსი N7-ის წინ, ყოფილი მე-9 სამხედრო ქალაქის შიდა ეზო, ჰამლეტ გონაშვილის ქუჩა, ვაზისუბნის მე-4 მ/რ 1-ლი კვ კორპუსი N14, N15; ვაზისუბნის 1-ლი მ/რ კორპუსი N10, ვაზისუბნის 1-მ/რ კორპუსი N3 და N5-ს შორის, კვაჭანტირაძის და დავითაიას ქუჩების კვეთა, ვაზისუბნის მე-2 მ/რ კორპუსი N2, N10, N12, N13, N18, N21-ის მიმდებარედ; ირბახის ქუჩა N77 სკოლის მიმდებარედ, გუმბრის ქუჩა N27, ვ/უბნის მე-3 მ/რ მე-2 კვ კორპუსი N3, ნავთლუღის ქუჩა N8/1, სამგორის ქუჩა, ციხისძირის

ქუჩა, გეთიას ქუჩა, დოდაშვილის ქუჩა, ივერიელის ქუჩა, აბუსერიძე-ტბელის ქუჩა, საინგილოს ჩიხი მემორიალთან, საქიმოს გასასვლელი N1 და ნავთლუღის ქუჩა N8, საინგილოს ჩიხი მემორიალთან და რაზიკაშვილის შესახვევი, ბერი გაბრიელ სალოსის N46, იუნკერების ქუჩა N1, მუჯირიშვილის შესახვევი, ვ/უბნის მე-2 მ/რ კორპუსი N13, მოსკოვის გამზირი მეტროსადგურ სამგორის ამოსასვლელთან, ჟონეთის ქუჩა სომხეთის ქუჩიდან ნიაბის მე-2 შესახვევამდე, ბეღლეთის ქუჩა სომხეთის ქუჩიდან ბეღლეთის ქუჩის ბოლომდე, თეძამის ქუჩა, წურწუმიას შესახვევი, ნავთლუღის ქუჩა N6, ჩუბინიძის ქუჩა N19-დან N28-მდე, უჯარმის შესახვევი, ეთერ კაკულიას 1-ლი შესახვევი, ვაზისუბნის 1-ლი მ/რ კორპუსი N4-ის ეზო, კალანდაძის ქუჩა N17, კახეთის შესახვევი ლიბერთი ბანკის წინ, ვ/უბნის დასახლება N182 საბავშვო ბაგა-ბაღის მიმდებარედ, ვაზისუბნის მე-2 მ/რ კორპუსი N20-ის ეზო, ბერი გაბრიელ სალოსის მე-4 და მე-6 შესახვევი, ხევის ჩიხი სამების ტაძართან მისასვლელი, ვაზისუბნის დასახლება კორპუსი N10, N 14; ვაზისუბნის მე-3 მ/რ მე-2 კვ კორპუსი N18, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N52, ხევის ქუჩა, დოლაბაურის მოედანი და დოლაბაურის მე-3 ჩიხი, წულაძის ქუჩა N32-ის ეზო, უზნაძის ქუჩის ჩიხი, ვაზისუბნის მე-3 მ/რ მე-2 კვ კორპუსი N10-ის ეზო, ვარკეთილი მე-4 მ/რ მე-3 კვ კორპუსი N7, შალვა დოლიძის ქუჩა, ჟონეთის ქუჩა (ნიაბის მე-2 შესახვევიდან ჟონეთის ქუჩის N67-მდე), სპანდარიანის ქუჩის და შირაქის შესახვევი, ვაზისუბნის მე-4 მ/რ 1-ლი კვ კორპუსი N21, N 22; ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N59-დან ლერწმის ქუჩის N1-მდე, სამრეწველოს 1-ლი ქუჩა მე-3 გასასვლელი, წულაძის ქუჩა N9, გაბრიელ სალოსის კორპუსი N4, ვაზისუბნის დასახლება კორპუსი N26, სამრეწველოს 1-ლი ქუჩა მე-4 და მე-5 გასასვლელი, აბრამიშვილის ქუჩა N37, ფაღავას ქუჩა N32, სამგორის ქუჩა N18, ბერი გაბრიელ სალოსის N147-ის ეზო, აფშინაშვილის ქუჩა, იუნკერების ქუჩა N1-ის წინ, მოსკოვის გამზირი კორპუსი N29-ის მიმდებარედ, მოსკოვის გამზირი კორპუსი N29-ის ეზო, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N100, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი კორპუსი N9, პაატა ჯანელიძის ქუჩის 1-ლი და მე-2 გასასვლელი, წულაძის ქუჩა კორპუსი N9, ნავთლუღის დასახლება მე-8 ქუჩა, წინანდლის ქუჩა, დომენიკა ერისთავის ქუჩა და შესახვევი, ჩუბინიძის ქუჩა N19-დან N28-მდე, ნაქერალას ქუჩა, კიკეთის ქუჩა (სომხეთის ქუჩიდან კიკეთის ქუჩის ბოლომდე), საინგილოს მე-5 შესახვევი, ბერი გაბრიელ სალოსის მე-4 შესახვევი კორპუსი N4 და

N27-ის მიმდებარედ, 17 შინდისელი გმირის ჩიხი, ამირეჯიბის ქუჩა N46, საექიმოს გასასვლელი N2ა, ნანეიშვილის ქუჩა N4, სახალხოს ქუჩა N21, ამირეჯიბის ქუჩა კორპუსი N23, ბერი გაბრიელ სალოსის მე-5 შესახვევი კორპუსი N5, ამირეჯიბის ქუჩა კორპუსი N20, სამრეწველოს დასახლება (ჯანელიძის ქუჩა) N2, ვ/უბნის დასახლება კორპუსი N5, ვაზისუბნის მე-4 მ/რ 1-ლი კვ რაგბის სტადიონის მიმდებარედ, ვაზისუბნის დასახლება მე-3 მ/რ მე-2 კვ კორპუსი N14, ვ/უბნის დასახლება მე-3 მ/რ 1-ლი კვ კორპუსი N2, N3; ხაჩატურიანის ქუჩა, კასპის ქუჩა აწყურის ქუჩიდან პავლიკ ზურაბიშვილის ქუჩამდე, ვაზისუბნის დასახლება კორპუსი N4, კახეთის გზატკეცილი კორპუსი N8, დომენიკა ერისთავის ქუჩა N17-ის მიმდებარედ, დომენიკა ერისთავის ქუჩისა და საინგილოს ქუჩის შემაერთებელი მონაკვეთი, დოდაშვილის ქუჩა N12, N14 მიმდებარედ.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: ჩატარდა 123 840 კვ.მ გზის საფარის მოწყობის სამუშაოები.

01 01 15 გზების მოვლა შეკეთება სამგორის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სამგორის რაიონის გამგეობა

2017 წლის გეგმა 5,264.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 5,256.4 ათასი ლარი, გეგმის 99.8%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ტრანსპორტის და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილება; გზების საფარის დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში შენარჩუნება-გაუმჯობესება; მოწესრიგებული ქუჩები, მოედნები, შიდაკვარტალური გზები და ეზოები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ასფალტის საფარის მოწყობის სამუშაოები შემდეგ მისამართებზე: კაკლიანის ქუჩა (გახოკიძის ქუჩიდან დევნილთა კორპუსამდე), გარდაბნის გზატკეცილი მე-3 შესახვევი, ლორთქიფანიძის ქუჩა №26/34, წმინდა ბარბარეს უბანში სასაფლაოს მიმდებარედ, III მასივი X კვარტალის „ა,ბ,გ,დ,ე,ვ“ და №21 კორპუსები, VIII კვარტალის №4, №9 კორპუსების ეზოები; ვარკეთილი 3, I მ/რ №21ა, №22ა კორპუსები; ვარკეთილი 3, II მ/რ №7 კორპუსის შიდა ეზო; ვარკეთილი 3, IIIა მ/რ №320, №324, №325, №326, №327, №328, №330, №338, №344 და №345 კორპუსების ეზოები; მოსკოვის გამზირი

№39, მოსკოვის გამზირის მე-5 კვარტალი კორპუსი №7, ქინძმარაულის მე-2 შესახვევიდან მოსკოვის გამზირის მე-5 კვარტალის I კომპლექსის №1, №2, №3, №4 კორპუსების მიმდებარედ ჩამავალი გზა; წმინდა ბარბარეს უბანის ჩიხები (თამარის, გაიოზ რექტორის, გიგინეიშვილის და აღნიაშვილის ქუჩები), გაბრიელ სალოსის მე-5 და მე-6 ჩიხი, ბერიაშვილის, ფრანგულიანის, მერი მდივნის, დუშელების და ალადასტურის ქუჩები; ნამორაძის ქუჩიდან მეფრინველეობის №16ა-მდე, III მასივი X კვარტალი №21 კორპუსსა და №28 საბავშვო ბაღს შორის არსებული ცენტრალური გზა, ჭიჭინაძის ქუჩის №1, №2, №3, №4, №5, №6 ჩიხები; ქინძმარაულის შესახვევი №29, №30 კორპუსები; ზ/პლატო №4, №5; ჯავახეთის №23, ვარკეთილი 3 3ა მ/რ 180-ე საჯარო სკოლის ეზო, კაკაბაძის I შესახვევი და ა.შ. ასევე, გაწეულია შესაკეთებელი გზების დეფექტური აქტებისა და ხარჯთაღრიცხვების შედგენის ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: ჩატარდა 149 276 კვ.მ გზის საფარის მოწყობის სამუშაოები, მათ შორის 9 411 კვ.მ ტროტუარი.

01 01 16 გზების მოვლა-შეკეთება კრწანისის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კრწანისის რაიონი გამგეობა

2017 წლის გეგმა 2,460.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 2,390.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 97%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ტრანსპორტის და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილება; გზების საფარის დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში შენარჩუნება-გაუმჯობესება; მოწესრიგებული ქუჩები, მოედნები, შიდაკვარტალური გზები და ეზოები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში შეკეთდა **49 247.59 კვ.მ. გზის საფარი (ორმული შეკეთება)** შემდეგ მისამართებზე: სოფელ ფონიჭალაში (რაფავას ქუჩა, აფხაზეთის I და II შესახვევი, გულბანის I და II ჩიხი, ს.სხვიტიას ქუჩა, აღმაშენებლის II ჩიხი და აღმაშენებლი ქუჩა, სადგურის ქუჩა, ვაგზლის ქ.N15-ის მიმდებარედ, ცურტაველის ქ.N32-ის მიმდებარედ, გამსახურდიას ქ.N55, ბაგრატის ქუჩა, თამარ მეფის ქუჩა, ერეკლე II-ის ქუჩა, სოხუმის ქუჩა, იეთიმ გურჯის ქუჩა და ილორის ქუჩა); ფონიჭალა 3-ში შეკეთდა:

რუსთავის გზატკეცილი N259-ის ეზო, რუსთავის გზატკ. N19, კორპ. 3-ის მიმდებარედ, რუსთავის გზატკ. 257; 263ა; 263ბ, რუსთავის გზტკ. 42; 44; „ვ“-ის მ/ტ, რუსთავის გზტკ. N29-ის მიმდებარედ, რუსთავის გზატკეცილის ბოლოს (რკინიგზის ხიდის მიმდებარედ); კორპ N11-ის მიმდებარედ და ლომინაძის, სურგულაძის, ღოღობერიძის ქუჩების ორმოულები. ასევე, გორგასალის ქ.N34-ის მიმდებარედ, გორგასლის ქუჩა N39 და N111, სოლოლაკის შესახვევი (ქართლის დედის მიმდებარედ), გაგრის ქუჩაზე, კრწანისის I გასასვლელი; ბერძნის ქ. გორგასალის ქ. # N47, ყავლაშვილის და ჩახრუხაძის ქუჩებზე; ორთაჭალის ქუჩის და მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მეტეხის ხიდის მიმდებარედ; ქუმსიშვილის, ვერცხლის და ისპაჰანლის ქუჩებზე; გორგასალის ქ. N99; წინანაურის ჩ. N26, მუხათის ქ. ნიშნიანიძის ქ. 2, თუმანიანის ქ.18, ნაკაშიძის ქ.25, ფონიჭალა 3, კორპ. N26-ის მიმდებარედ; ქუმსიაშვილის ქუჩის III შეს, თელეთის II ჩიხი, წინანაურის ქ.N85-ის ჩიხი, თელეთის III შეს. N8-ის მიმდებარედ, გორგასლის მე-3 შესახვევი, კრწანისის ქუჩიდან N5 სკოლასთან მისასვლელი გზა და სხვა მცირე ორმოულები. **ქვაფენილი შეკეთდა 2 688.03 კვ.მ** - გორგასლის III შესახვევი N3 კოპრპუსის ეზოსა და ბამბის რიგის ქუჩაზე, კ.აფხაზის ქ. N5/7, ისპაჰანლის და ყავლაშვილის ქუჩაზე, კოტე აფხაზის ქ.N1-ის და N2-ის მიმდებარედ, კ.აფხაზის ქ. N3-ის მ/ტ, ჩახრუხაძის და ყავლაშვილის ქუჩების კვეთაზე, მტკვრის მარჯვენა სანაპიროსა და ერეკლე II შესახვევს შორის, 300 არაგველის სკვერის მიმდებარედ, შავთელის შესახვევი N3, კალანდაძის ქუჩა და სხვა მცირე სამუშაოები. გარდა ამისა დაფინანსებულია გზის საფარის მოწყობაზე დეფექტური აქტების და საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა-დამუშავების მომსახურების ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: ჩატარდა 49 248 კვ.მ გზის საფარის და 2 688 კვ.მ. დაზიანებული ქვაფენილის შეკეთების სამუშაოები.

01 01 17 გზების მოვლა-შეკეთება მთაწმინდის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მთაწმინდის რაიონის გამგეობა

2017 წლის გეგმა 3,763.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 3,696.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 98%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ტრანსპორტის და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილება; გზების საფარის დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში შენარჩუნება-გაუმჯობესება; მოწესრიგებული ქუჩები, მოედნები, შიდაკვარტალური გზები და ეზოები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 12350 კვ.მ ასფალტის საფარის ორმოული შეკეთების სამუშაოები შემდეგ მისამართებზე: ოქროყანაში, თბილისის ქუჩის ჩიხები და დიდების ქუჩის ჩიხი; ძმ. კაკაბაძეების ქ. N7-ს ეზო; ტ. შევჩენკოს, მ. უკლებას, დ. სარაჯიშვილის, ბ. კრავეიშვილის, ვ. კოტეტიშვილის, დ. ყიფიანის, ბესიკის, ძმ. კაკაბაძეების, კ. მესხის, ლ. მესხიშვილის, პ. ინგოროყვას და მ. ბროსეს ქუჩები, ლადო ალექსი მესხიშვილის ქ. N6-ს ეზო; თ. ჭოველიძის ქ. N42-ს ეზო; ჩატარდა 31684 კვ.მ გზის საფარის სარეაბილიტაციო (კაპიტალური) სამუშაოები: 26 მაისის I ჩიხი; კოჯორში - ამაღლების ქუჩა; რობაქიძის ქუჩა და I ჩიხი; სკოლის ქუჩა და ჩიხი; კიკეთში - 300 არაგველის ქუჩა და II ჩიხი; ლეო ქიაჩელის ქუჩა; შინდისში - მ. ჯავახიშვილის პირველი ჩიხი და მიმდებარედ არსებული უსახელო ქუჩა; წავკისში - ი. გოგებაშვილის ქუჩა; ი. გოგებაშვილის I ჩიხი და მეფე თეიმურაზის ქუჩა; ამაღლების ქუჩა; ვახტანგ გორგასლის ქუჩა და გურამიშვილის ქუჩა; ტაბახმელაში - გუმბათის წყაროს ქუჩის ნაწილი; თრიალეთის ქუჩის ნაწილი; რობაქიძის ქუჩა და თრიალეთის I ჩიხი; ოქროყანაში - ციურიხის ქუჩა. ნიაღვრის ქუჩაზე ჩატარდა 1048.0 კვ.მ ქვაფენილის საფარის მოწყობის სამუშაოები და ალ. ჭავჭავაძის, კერესელიძის, წავკისის, ყიფიანის, რიწის, ვ. ბარნოვის, მ. ზანდუკელის, გ. ლეონიძის, მ. ლაღიძის, მთაწმინდის, ვეძინის, ბესიკის, შენგელიას, თერგის, გრიბოედოვის, ზალდასტანიშვილის, 9 აპრილის, ლიხის ქუჩებზე და კოტე მესხის მე-3 შესახვევში შეკეთდა 1082.0 კვ.მ ქვაფენილის საფარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: ჩატარდა 44034 კვ.მ ასფალტის საფარის მოწყობის სამუშაოები; 2130 კვ.მ ქვაფენილის მოწყობის სამუშაოები.

01 02 ტრანსპორტის განვითარება დაფინანსებულია 74,812.7 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 75,108.2 ათასი ლარის 99.6%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

01 02 01 სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ტრანსპორტის საქალაქო სამსახური

2017 წლის გეგმა 23,050.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 22,754.9 ათასი ლარით. რაც გეგმის 99%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: გზაჯვარედინებზე დაბრკოლების წარმოქმნის შემთხვევაში მოძრაობის მართულ რეჟიმში გადაყვანა; ქუჩებისა და მაგისტრალების განტვირთვა ჭარბი სატრანსპორტო ნაკადებისაგან (ე.წ. „საცობებისაგან“); ტრანსპორტით და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილება; ავტობუსის გაჩერებებზე ელექტრონულ ტაბლოებზე ასახული ავტობუსის მოძრაობის ინტერვალის შესახებ მიწოდებული ინფორმაციით მგზავრებისათვის მომსახურების ხარისხის ამაღლება; თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ახალი ავტობაზის ექსპლუატაციით ტექნიკურად გამართული ავტობუსებით მგზავრთა მომსახურების და უსაფრთხოების ხარისხის ამაღლება;

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: დამონტაჟდა 3131 ახალი საგზაო ნიშანი, 1407 საგზაო ნიშნის დგარი, 15 ცალი უსაფრთხოების სფერული სარკე; დედაქალაქის ქუჩებზე, მოედნებსა და მაგისტრალებზე განთავსებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების ტექნიკური საშუალებების (საგზაო ნიშნები, ბოწკინტები, სფერული სარკეების, სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის მიმთითებელი წინასწარი მაჩვენებლები და ა.შ.) მოვლა შენახვის და საექსპლუატაციო სამუშაოები, კერძოდ: დემონტაჟი გაუკეთდა და დასაწყობდა სხვადასხვა მიზეზით მწყობრიდან გამოსული 1 095 ცალი საგზაო ნიშანი, მათ შორის 339 ცალ დგართან ერთად, ადგილმდებარეობა შეეცვალა 231 ცალ საგზაო ნიშანს, შეკეთდა (გასწორდა) 179 ცალი საგზაო ნიშნის დგარი, 99 ცალი საგზაო ნიშანი, დამონტაჟდა 216 ცალი ახალი ბოწკინტი, დემონტაჟი გაუკეთდა და

შეკეთდა (მანათობელი ფირი გამოეცვალა) 2415 ბოწკინტს, დემონტაჟი გაუკეთდა დაზიანებულ 2311 ბოწკინტს, 9 სფერულ სარკეს, გასუფთავდა - გაირეცხა 6120 ცალი ბოწკინტი და 7616 ცალი საგზაო ნიშანი, 45 მოძრაობის მიმართულების წინასწარი მაჩვენებელი, შეკეთდა 6 ცალი და შეიღება 33 ცალი მოძრაობის მიმართულების წინასწარი მაჩვენებელი;

საგზაო მოძრაობის ორგანიზების ტექნიკური საშუალებების ხილვადობის გაუმჯობესების მიზნით მსუბუქი ფორმით გადაიბელა 733 მწვანე ნარგავი. დამონტაჟდა 500 გრძ.მ ახალ ადგილზე და გამოიცვალა 900 გრძ.მ დაზიანებული ზღუდარი. გაირეცხა, გასუფთავდა 44 264 გრძ.მ ზღუდარი. დამონტაჟდა 3480 წრფივი საორენტაციო შუქდამბრუნებლები. შეძენილი იქნა 40 ცალი პლასტმასის თვალამრიდი, რომელიც გამოიყენება დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ექსპერიმენტის ჩასატარებლად და გამოყენებულ იქნა სხვადასხვა ლოკაციებზე (28 ადგილზე), საგზაო მოძრაობის ორგანიზების ტექნიკური საშუალებების მონტაჟზე, მოვლა-შენახვა ექსპლუატაციაზე;

დატანილია ერთკომპონენტიანი საღებავით დედაქალაქის ქუჩების და მაგისტრალების სავალ ნაწილზე 130 000 კვ.მ ჰორიზონტალური საგზაო მონიშვნა; თბილისის ქუჩებისა და მაგისტრალების მიმდებარედ არსებულ საგზაო საინჟინრო ნაგებობებზე, ბორდიურებზე, თვალამრიდებზე, გზაგამტარების, ესტაკატების, ხიდების ქვეითთა მიწისზედა გადასასვლელების ბურჯებზე და მალებზე, შესაბამისი სტანდარტის თანახმად - 38 0000 კვ.მ ვერტიკალური საგზაო მონიშვნა; ცივი და თერმოპლასტით - 17 769,89 კვ.მ საგზაო მონიშვნა, დაიშალა (სავალი ნაწილიდან აიფხიკა) 670 კვ.მ საგზაო მონიშვნა;

დამონტაჟდა სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის სიჩქარის იძულებითი შემცირებისათვის 8 320 გრძ. მეტრი ხელოვნური დაბრკოლებები (ბორცვები);

განხორციელდა დედაქალაქის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული შუქნიშნების და საგზაო მოძრაობის კონტროლისა და მართვის ავტომატიზირებული სისტემის მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციის სამუშაოები,

კერძოდ: შეიცვალა შუქნიშნის 58 მოდული, 6 ცალი შუქნიშნის მოდულის კვების ბლოკი, დამონტაჟდა 41 სატრანსპორტო და 3 ცალი ქვეითთა შუქნიშანი, დემონტაჟი გაუკეთდა 27 შუქნიშანს, შეიცვალა კონფლიქტების მეხსიერების 2 ცალი მოდელი, პროცესორის 3 მოდელი, შუქნიშნის 87 ობიექტზე შეიცვალა მუშაობის რეჟიმი, დამონტაჟდა 5 ცალი ქვეითთა გამოსაძახებელი მოწყობილობა, შუქნიშნის სხვადასხვა დიამეტრის 27 ცალი დგარი, 21 ცალი კონსოლიანი დგარი, 1 605 გრძ-მეტრი სხვადასხვა კვეთის ელ. სადენი (კაბელი), 272 გრძ.მ.ბაგირი, 27 ხმოვანი სიგნალი უსინათლოებისათვის. სხვადასხვა ნაკლოვანებები აღმოიფხვრა შუქნიშნის 82 ობოიექტზე;

მოეწყო ჩოლოყაშვილის გამზირზე, ფეხბურთის ფედერაციის მიმდებარედ, საპარკინგე ადგილი; ჩატარდა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ ქალაქ თბილისში M2 კატეგორიის ავტობუსებში აირბალონების განთავსების ტექნიკური მოთხოვნების ექსპერტიზა;

განხორციელდა შუქნიშნის ძველი ობიექტების განახლება, ახალი ობიექტების მოსაწყობად განხორციელდა შუქნიშნების, დედექტორების, კამერების და კონტროლერების (თანმდევი მომსახურებით) დამონტაჟება და მათი მართვის ცენტრთან მიერთება. მათ შორის დამონტაჟდა შუქნიშნის 12 ახალი ობიექტი და ჩაუტარდა რეკონსტრუქცია 14 ობიექტს;

მოეწყო ტროტუარის ხარჯზე სატრანსპორტო საშუალებების საპარკინგე ადგილები - კოსტავას ქ.72-ის, ჭილაძის ქუჩისა და ალექსანდრე ყაზბეგის გამზირის გადაკვეთაზე. აგრეთვე მოეწყო გზის სავალი ნაწილის გამყოფ გაზონზე საქვეითო გადასასვლელები - ჯავახეთის, თაყაიშვილის, რომელაშვილის, ნონეშვილის, ქუჩებზე, სარაჯიშვილის გამზირზე;

დამზადებულია 5000 ცალი ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილზე სპეციალური დანიშნულების საშვი;

დასრულდა 2016 წელს გაფორმებული ხელშეკრულებით ავტობუსის გაჩერებებისათვის ელექტრონული ტაბლოების შეძენა- მონტაჟის და ინსტალაციის სამუშაოები. 2017 წლის საანგარიშო პერიოდში შეძენილია და დამონტაჟდა 50

ცალი ელექტრო ტაბლო; მოეწყო ავტობუსის გაჩერებებზე 11 კეთილმოწყობილი მოსაცდელი;

მომზადდა და შესაბამისი მომართვის საფუძველზე სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენლებს გადაეცათ სამსახურის მფლობელობაში არსებული სათვალთვალო კამერების მიერ დაფიქსირებული 148 ვიდეო ჩანაწერი სხვადასხვა სახის სამართალდარღვევათა შესახებ;

შეთანხმებული იქნა დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე ჩასატარებელი სხვადასხვა სახის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების პერიოდში სატრანსპორტო საშუალებებისა და ქვეითთა მოსიარულეთა მოძრაობის 3162 სქემა. შესწავლილია საგზაო მოძრაობის მონაწილეთა უსაფრთხო და შეუფერხებელი მოძრაობის უზრუნველყოფის მიზნით, ორბელიანის მოედანსა და მიმდებარე ქუჩებზე განთავსებული ისტორიული ნაგებობების სარეაბილიტაციო სამუშაოების პერიოდში სატრანსპორტო ნაკადები, კერძოდ, ორბელიანის მოედანზე, ბარათაშვილის, თაბუკაშვილის, ათონელის, ჭანტურიას, ვირსალაძის და მათ მიმდებარე ქუჩებზე. მიღებული შედეგების გათვალისწინებით სამუშაოების ჩამტარებელ კომპანიას, მოძრაობის ორგანიზების შესაბამისი სქემის შესადგენად მიეცა რეკომენდაცია. წარმოდგენილი სქემა შეთანხმდა და მიმდინარეობს სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები. აგრეთვე, პეკინის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოების პერიოდში სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო და შეუფერხებელი გადაადგილების უზრუნველსაყოფად შესაბამის სქემის შესადგენად შესწავლილია სატრანსპორტო ნაკადები. VISSIM-ის პროგრამის გამოყენებით შემუშავებული იქნა ოპტიმალური სქემა, რომელიც გადაეცა სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩამტარებელ კომპანიას. შეთანხმებული სქემის მიხედვით ჩატარდა პეკინის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები. პეკინის, შარტავას და კანდელაკის ქუჩებზე დაწესდა ცალმხრივი მოძრაობა, პეკინის ქუჩაზე მოეწყო საველოსიპედო ბილიკი.

ჩატარდა წინასწარ შედგენილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე განთავსებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების ტექნიკური საშუალებების შემოწმება - დათვალიერება. გამოვლენილი

ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით მიღებულია კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ზომები; გამოკვლეულია შუქნიშნის მუშაობის რეჟიმის საგზაო მოძრაობის მონაწილეთა არსებულ ნაკადებთან შესაბამისობის გამოსაკვლევად ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა ნაკადები შუქნიშნის 55 ობიექტზე და 56 გზაჯვარედინზე ქუჩასა და მაგისტრალზე. შუქნიშნის 87 ობიექტზე შეიცვალა მუშაობის რეჟიმები.

ასევე, დაფინანსებულია 2016 წელს სხვადასხვა ღონისძიებებზე შესრულებული სამუშაოების მიხედვით აღებული ვალდებულებები, ღირებულებით 17,6 ათასი ლარის ოდენობით და გადარიცხულია „სემექს ჯორჯიას“ სასარგებლოთ დაკისრებული გადასახდელი თანხა 503,0 ათასი ლარი;

2017 წლის საანგარიშო პერიოდში დამთავრდა საავტობუსო ინფრასტრუქტურის განახლება-რეაბილიტაცია - ახალი ავტოპარკის მშენებლობა, რომელიც ასევე მოიცავს გაზგასამართი სადგურის ბუნებრივი აირით მომარაგებისთვის მაღალი წნევის გაზსადენის და ავტობაზის წყალმომარაგების მილსადენის მშენებლობას. პროექტის ღირებულება შეადგენს სულ 19,0 მლნ. ლარს. აღნიშნული პროექტის შესრულება და დაფინანსება დაიწყო 2016 წელს, 6 ჰექტარ მიწის ფართობზე, გათვლილი 377 ავტობუსის პარკზე. პროექტის დასრულებისთვის 2016 წელს აუცილებელი გახდა შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ მიერ კომერციული ბანკიდან სესხის აღება, რომელიც დაიფარა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან. სულ ქვეპროგრამის ფარგლებში ახალი ავტობაზის და გაზგასამართი სადგურის (მილსადენის ჩათვლით) მშენებლობისათვის 2017 წლის ბიუჯეტიდან კომპანია დაფინანსდა 11 643,0 ათასი ლარით, მათ შორის დაიფარა კომპანიის მიერ აღებული სესხი 5 504,6 ათასი ლარის ოდენობით. ასევე, ქვეპროგრამის ფარგლებში მგზავრთა მომსახურებისა და უსაფრთხოების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ხორციელდება მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტის (მეტრო) და საავტობუსო ინფრასტრუქტურის განახლება-რეაბილიტაცია. განხორციელდა საქონლის და მომსახურების შესყიდვები: ესკალატორის ნაწილების, კომპიუტერული ტექნიკის (მეტრო, ავტობუსი), სხვადასხვა ტიპის პლატების (მეტრო), დაზგა-დანადგარების

კაპიტალური შეკეთების და სხვა. გაფორმებული ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულების დაფარვის მიზნით კომპანიას მიღებული აქვს 4 647,8 ათასი ლარი. სულ საანგარიშო პერიოდში ახალი ავტობაზის მშენებლობის, მეტროს და ავტობუსების ინფრასტრუქტურის განახლებისათვის შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ მიღებული აქვს 16 290,8 ათასი ლარი.

01 02 02 საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ტრანსპორტის საქალაქო სამსახური

2017 წლის გეგმა 43,843.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: თანამედროვე დიზაინით, კომფორტული სალონით და თანამედროვე ელექტრონული მოწყობილობების ბაზაზე ტექნიკურად საიმედოდ აღჭურვილი ვაგონებით მგზავრთა გადაადგილება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაიფარა თბილისის სატრანსპორტო კომპანიის მიერ 2016 წელს აღებული სესხი - 2 795,4 ათასი ლარი (აღებული სესხით განხორციელდა 4 ერთეული სათაო და 4 ერთეული შუა ვაგონის საშუალო შეკეთება, 4 ერთეული წევის ძრავის კაპიტალური შეკეთება და 6 ერთეული ოთხგასართიანი ელექტროსაკონტაქტო ყუთის შესყიდვა). საანგარიშო პერიოდში ჩატარებულია: მეტროს 10 ერთეული სათაო ვაგონის და 10 ერთეული შუა ვაგონის საშუალო შეკეთება. მოდერნიზაციის ელემენტებით - 4 ერთეული სათაო ვაგონის და 4 ერთეული შუა ვაგონის საშუალო შეკეთება. სულ საშუალო და კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა მეტროს 36 ვაგონს, კაპიტალურად შეკეთდა 33 წევის ძრავი, შესყიდულია 6 ერთეული ოთხგასართიანი ელექტროსაკონტაქტო ყუთი და შეცვლილია 6 ვაგონის ურიკა. შესრულებული სამუშაო დაფინანსებულია სულ 20 853,4 ათას ლარით.

საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი ღონისძიებების გარდა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 დეკემბრის #2615 განკარგულებით მეტროს ახალი მოძრავი

შემადგენლობის შეძენისათვის დამატებით გამოიყო 14 000,0 ათასი ლარი, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 27 დეკემბრის #01.02.02 განკარგულებით ვაგონების მოდერნიზაციისათვის გამოიყო 8 990,0 ათასი ლარი. აღნიშნული ღონისძიებების განხორციელება დაიწყება 2018 წლის საანგარიშო პერიოდში.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: მოდერნიზებული 36 ერთეული ვაგონის რაოდენობა - თანამედროვე დიზაინით, მოხერხებული და კომფორტული სალონით, თანამედროვე ელექტრონული მოწყობილობების ბაზით და ტექნიკურად საიმედოდ აღჭურვილი აპარატურით.

01 02 03 მეტროს სადგურების რეკონსტრუქცია, მშენებლობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ტრანსპორტის საქალაქო სამსახური

2017 წლის გეგმა 3,227.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: მეტროს განახლებული სადგურებით მომსახურება. ტექნიკურად საიმედოდ აღჭურვილი ვაგონებით მგზავრთა გადაადგილება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაიწყო და მიმდინარეობს მეტროს სადგურების: „სამგორი“, „ავლაბარი“ (ზედა ვესტიბიული), „გურამიშვილი“ კაპიტალური შეკეთება და „მარჯანიშვილის მე-2 ამოსასვლელის” გადახურვის სარეაბილიტაციო სამუშაოები. დასრულდა მ/სადგურ „ნაძალადევი“-ის გადახურვა- გამაგრების სამუშაოები.

01 02 04 ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების რეგულირება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: საფინანსო საქალაქო სამსახური

2017 წლის გეგმა 3,883.0 ათასი ლარი დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: დედაქალაქში ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების მოწესრიგება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: „ქ.თბილისის გზებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების რეგულირების მიზნით, პარკირების სფეროს მართვის

უფლების იჯარით გადაცემის შესახებ“ ხელშეკრულების საფუძველზე ქ.თბილისის მერიის მიერ ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად (ქ.თბილისის მთავრობა ვალდებულია შპს „სი-ტი პარკს” გადაურიცხოს მის მიერ გაწეული მომსახურების საფასური). საანგარიშო პერიოდში შპს „სი-ტი პარკის“ საქმიანობის შედეგად ადგილობრივ ბიუჯეტში ჩარიცხულ იქნა 8 081.8 ათასი ლარი, საანგარიშო პერიოდში გადახდილ იქნა 485 744 საჯარიმო ქვითარი, ხოლო ამოღებული ჯარიმების საფუძველზე შპს „სი-ტი პარკის“ ანგარიშზე გადარიცხულია 3 882.8 ათასი ლარი (მათ შორის 2016 წლის დეკემბრის თვეში შემოსული 750.4 ათასი ლარიდან შპს „სი-ტი პარკს“ 2017 წლის იანვარში ჩაერიცხა 326.5 ათასი ლარი).

01 02 06 საბაგირო ტრანსპორტის განვითარება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ტრანსპორტის საქალაქო სამსახური; სსიპ ტექნოლოგიური განვითარების ფონდი


2017 წლის გეგმა 1,103.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: განახლებული ინფრასტუქტურა და ახალი საბაგირო გზა ხელს შეუწყობს მოსახლეობის სწრაფ გადაადგილებას და სატრანსპორტო ნაკადების განტვირთვას, ხმაურის, გამონაბოლქვის და გადაადგილებასთან დაკავშირებული დროისა და ხარჯების შემცირებას.


საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული საბაგირო გზის ძველი სადგურიდან მთაწმინდის პარკის მიმართულებით საბაგირო გზის მშენებლობის საპროექტო სამუშაოების შესყიდვა. ასევე, „რიყე-ნარიყალა“-ს საბაგირო გზის საყრდენი ანძების ინსპექტირება და შეკეთება, საბაგირო გზის ზედა და ქვედა სადგურების იატაკის მოწყობის სარემონტო სამუშაოები. ასევე, გაწეულია წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ფონდიდან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ხარჯები 556,0 ათასი ლარის ოდენობით.


❖ ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება

ათასი ლარი



ათასი ლარი





02 01 საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური

2017 წლის გეგმა 17,095.5 ათასი ლარი დაფინანსდა 14,876.3 ათასი ლარით. რაც გეგმის 87%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ქალაქის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და გაჯანსაღება; სტიქიური მოვლენებისაგან დაცული ქალაქის ქუჩები;. საინჟინრო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და მოსახლეობისათვის სრულყოფილი და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნა; საკანალიზაციო და სანიაღვრე ქსელების გამიჯვნით ეკოლოგიური გარემოს გაუმჯობესება; ამორტიზირებული და დაზიანებული საინჟინრო ინფრასტრუქტურის ობიექტების მინიმუმამდე დაყვანა, ახალი საინჟინრო ობიექტების მშენებლობა, გარემო პირობების გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ჩატარდა სხვადასხვა ღონისძიებები მათ შორის: საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები: კრწანისის რაიონში, გორგასლის III შესახვევი, #1-ში საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ

(მრავალწლიანი); კრწანისის რაიონში გორგასლის ქ.N48–ს მიმდებარე ტერიტორიაზე; ქ. თბილისის მასშტაბით რკ/ბეტონის და გაბიონის საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოები; გლდანულას დასახლებაში, თამარ მეფის ქუჩის ჩამოშლილ მონაკვეთზე საყრდენი კედლის (ჯებირის) მოწყობის და გზის აღსადგენი სამუშაოები; ზაჰესის დასახლებასთან მდ. მტკვარზე ხიდურ გადასასვლელთან საყრდენი კედლის მოწყობის და მისასვლელი გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

სანიაღვრე ქსელებისა და კოლექტორების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები: სოფ. დიღომში, მაღალი ძაბვის სატრანსფორმატორო ქვესადგურ ,,დიღომი 1"-ის მიმდებარე ტერიტორიაზე სანიაღვრე კოლექტორის მოწყობის (მიერთების) სამუშაოები; საბურთალოს რაიონში დავით აღმაშენებლის ხეივანში მე-12 კმ-ზე მდებარე თბილისის საქალაქო სასამართლოს ეზოს ტერიტორიაზე სანიაღვრე კოლექტორის გადატანის სამუშაოები; ვაკის რაიონში ნ. ყიფშიძის ქუჩაზე სანიაღვრე ქსელის მოწყობის სამუშაოები; შინდისი-ტაბახმელას D=500მმ საკანალიზაციო კოლექტორის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის სამშენებლო სამუშაოები; ძველი წორწორას ხევის დაზიანებული მონაკვეთის (დაცვის პოლიციის მიმდებარედ) და მილის ხევის სანიაღვრე კოლექტორის რეაბილიტაციის სამუშაოები; გვაზაურის ხევის ქუჩის საკანალიზაციო ქსელისა და გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები; ვაკის რაიონში, თხინვალას დასახლების და აგარაკების წყალმომარაგების სამუშაოები (II ეტაპი); ვაკის რაიონში, თ. აბულაძის ქუჩიდან, ნ. ყიფშიძის ქუჩამდე სანიაღვრე ქსელის მოწყობის სამუშაოები; წყნეთში გრიშაშვილის ქუჩის სანიაღვრე კოლექტორის სარეკონსტრუქციო სამუშაოები; გლდანის რაიონში პატარა ტბის მიმდებარე გულისაშვილის, მაისურაძის, ტიხონოვისა და მარჯანიშვილის ქუჩების კანალიზაციის ქსელის მოწყობის სამუშაოები; კრწანისის ტბის გაწმენდასთან, ნალექების ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული სამუშაოსა და ტექნიკურ ზედამხედველობასთან დაკავშირებული მომსახურები; ვაკის რაიონში, ი. მოსაშვილის ქუჩა N22-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის საძირკვლის უსაფრთხოებისათვის სადრენაჟო სისტემის მოწყობის სამუშაოები; ისნის რაიონში ქეთევან წამებულის გამზირი #71-ის მოპირდაპირედ მდებარე რკინიგზიდან კახეთის ხევამდე სანიაღვრე კოლექტორის მოწყობის სამუშოები; ქ. თბილისის

მასშტაბით სანიაღვრე/სადრენაჟე და საკანალიზაციო ქსელის მოწყობის და აღდგენა-რეაბილიტაცის სამუშაოები.

პროგრამის ფარგლებში ასევე განხორციელდა: კრწანისის ტბიდან ამოღებული დაბინძურებული გრუნტის მოცულობის განსაზღვრის მომსახურება; კრწანისის ტბის სანიტარულ-ჰიგიენური შეფასების მომსახურება; ზაჰესის დასახლებასთან, მდინარე მტკვარზე ახალი საავტომობილო ხიდის სამშენებლო სამუშაოები; დავით აღმაშენებლის ხეივანში ჰიპერმარკეტ "თბილისი მოლი"-ს მიმდებარედ ქვეითთა მიწისზედა საფეხმავლო გადასასვლელის მოწყობა; ქ. თბილისის მასშტაბით ხიდებისა და გზაგამტარების სადეფორმაციო ნაკერების სარეაბილიტაციო სამუშაოები; ვეტერანთა პარკში მედიათეკის მშენებლობა; გლდანი-ნაძალადევის სარაგბო კომპლექსის სატრენაჟორო დარბაზის რეკონსტრუქციის სამშენებლო სამუშაოები; გ. გულუას ქუჩაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ მიწისქვეშა გადასასვლელისა და მასთან დამაკავშირებელი კიბეების სარეაბილიტაციო სამუშაოები; სოფ. ტაბახმელაში, კოტე აფხაზის და მარო მაყაშვილის ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოები; მახათას მთაზე, ახალი პანთეონის მშენებლობის სამუშაოები.

მიმდინარეობს და უახლოეს მომავალში დასრულდება სამუშაოები შემდეგ ობიექტებზე: საყრდენი კედლები: ჩუღურეთის რაიონში, მ. მამარდაშვილის ქუჩაზე N67-ის მიმდებარედ არსებული დაზიანებული საყრდენი კედლის გამაგრება; წყნეთის გზადკეცილი N9-სთან სანიაღვრე არხის და საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები; ქ. თბილისის მასშტაბით რკ/ბეტონის და გაბიონის საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოები.

სანიაღვრე ქსელებისა და კოლექტორების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები: სამგორის რაიონში გ. ლორთქიფანიძის ქუჩის (ყოფილი კაიროს დასახლება) მიმდებარედ წყალარინების (საკანალიზაციო) გარე ქსელის მოწყობის სამუშაოები; ნაძალადევის რაიონში, მონადირის ქუჩაზე საკანალიზაციო ქსელის მოწყობის და გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები; ქ. თბილისის მასშტაბით, სანიაღვრე/სადრენაჟე და საკანალიზაციო ქსელის მოწყობის და აღდგენა-რეაბილიტაცის სამუშაოები; ვაკის რაიონში სოფელ ახალდაბაში მდებარე დოდო აბაშიძის ქუჩის განაშენიანებისათვის წყალმომარაგების ქსელის მოწყობის

სამუშაოები; გარეჯის ქუჩის წყალარინების გარე ქსელის მოწყობის I ეტაპის და გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები; ვაკის რაიონში დაბა წყნეთში, რუსთაველის ქ.#38-ის და მიმდებარე ნაკვეთების საკანალიზაციო ქსელის მოწყობა; ისნის რაიონში, ნავთლუღის ჩიხის #9-ის მიმდებარედ დაზიანებული ნავთლუღის ხევის სანიაღვრე კოლექტორის რეაბილიტაციის სამუშაოები; ისნის რაიონში, ნავთლუღის ჩიხის #9-ის მიმდებარედ დაზიანებული ნავთლუღის ხევის სანიაღვრე კოლექტორის რეაბილიტაციის სამუშაოები;

ასევე მიმდინარეობს შემდეგი ღონისძიებები: მახათას მთაზე, ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისშობლის ხატის სახელობის ტაძრის გარშემოსასვლელი ფილის მოწყობის სამუშაოები; აეროპორტის ტერიტორიაზე მდებარე შადრევნის სარეკონსტრუქციო სამუშაოები და მიმდებარე სკვერის კეთილმოწყობა (გარდამავალი).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: 30 აღდგენილი და ახლადაშენებული საინჟინრო ინფრასტრუქტურის ობიექტი; სამუშაოები მიმდინარეობს 13 ობიექტზე.

02 02 ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური

2017 წლის გეგმა 17,402.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 15,548.8 ათასი ლარით. რაც გეგმის 89%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ავარიული შენობების ჩამოშლის საშიშროების თავიდან აცილების შედეგად მობინადრეთა უსაფრთხოების ამაღლება და ნორმალური ცხოვრების უზრუნველყოფა; თბილისის მოქალაქეთა გაუმჯობესებული საბინაო - საყოფაცხოვრებო პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ავარიული საცხოვრებელი სახლების გამაგრება–გაძლიერების სამუშაოები ჩატარდა შემდეგ ობიექტებზე: საბურთალოს რაიონში, პეკინის ქ.N45-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების; ვაზისუბნის IV მ/რ, II კვარტალი, კორპუსი #9-ში მდებარე 9 სართულიანი საცხ. სახლის #1 ავარიული ბლოკ-სექციის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების (II ეტაპი, მრავალწლიანი); პეკინის

ქ.N24-24ა-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; ვარკეთილი 3, I მ/რ. კორპ. №24-ში მდებარე 9 სართულიანი ავარიული სახლის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; ვარკეთილი 3, მე-3 მ/რ, #321 კორპუსის გამაგრება; ვაზისუბნის დასახლებაში მდებარე #5 ავარიული კორპუსის 5, 4, 3 და 2 ბლოკსექციის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; ვაკის რაიონში მინდელის ქუჩა #1 -ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; ქეთევან წამებულის ქ.#78-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის პირველი სადარბაზოს გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; ვაკის რაიონში, ფალიაშვილის ქუჩა #64-ში მდებარე 4 სართულიანი საცხოვრებელი სახლის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები (მრავალწლიანი); სამგორის რ-ნი, კახეთის გზატკეცილი #19-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; სამგორის რაინში, მოსკოვის გამზ. IV კვ. კორპ. №6-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; ვარკეთილის 3, IIIა მ/რ-ის N341 ავარიული კორპუსის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; სამგორის რაიონში, ვარკეთილი, III მასივი, X კვ. კორპ. №17-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; სამგორის რაიონში, ჭიჭინაძის ქ.#2-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; საბურთალოს რ-ნი, შარტავას ქ.#18ა-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლების გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; ცოტნე დადიანის ქუჩა №105-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის და №34 – ში მდებარე #9 კორპუსის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; ნაძალადევის რაიონში, ჩარგლის ქ.#26-ში მდებარე ავარიული სახლის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; ვარკეთილი 3, IIIა მ/რ.- ში №344-ე კორპუსის აღდგენა-გამაგრების სამუშაოები; ვაზისუბნის დასახლება #17-ში მდებარე ავარიული კორპუსის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; ნაძალადევის რაიონში ცოტნე დადიანის II მ/რ, კორპუსი #2-ის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; სამგორის რაიონში ვარკეთილი ზემო პლატო კორპ. #43-ის აღდგენა-გამაგრების სამუშაოები; ისნის რაიონში, შირაქის ქუჩა №3-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; პეკინის ქ.#24-24ა-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის

გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები (II ეტაპი - ეზოს მხრიდან მიშენებული ნაწილის გამაგრება-გაძლიერება); დიდუბის რაიონში თევდორე მღვდლის ქუჩა #10-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის გამაგრება-გაძლიერებს სამუშაოები; ნაძალადევის რაიონში, დავით გურამიშვილის გამზ. №50-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; ვაზისუბნის IV მ/რ. I კვ. კორპ. №8 საცხოვრებელი სახლის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; გლდანის რაიონში ლიბანის ქუჩა #1-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; ქ.თბილისში, ავარიული შენობა-ნაგებობების დაზიანებული და/ან ჩამონგრეული ფრაგმენტების სადემონტაჟო და ინერტული (სამშენებლო ნარჩენების) გატანის სამუშაოები .

მიმდინარე პერიოდში ხორციელდება და უახლოეს პერიოდში დასრულდება სამუშაოები შემდეგ მისამართებზე: ვაკის რაიონში, ნუცუბიძის პლატო IV მ/რ-ში, N19ბ კორპუსის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების (მეორე ეტაპი); საბურთალოს რაიონში ხვიჩიას ქ.#36/40-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები (მრავალწლიანი); სამგორის რაიონში ოცხელის ქუჩა #4-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები (მრავალწლიანი); ვაკის რაიონი, ნუცუბიძის პლატო, III მ/რაიონი, III კვარტალი კორპ. №10-ის აღდგენა-გამაგრების სამუშაოები (მრავალწლიანი); ვარკეთილი III, I მ/რ-ში მდებარე №3 კორპუსის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; საბურთალოს რაიონში, ბროლოსანის ქუჩა #25/31 და #31-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლების გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; ქ. თბილისის მასშტაბით არსებული შენობა-ნაგებობების გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; საბურთალოს რაიონში, პეკინის მაგზ. #35-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; სამგორის რაიონში ბოგდან ხმელნიცკის ქუჩა #147ა-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; საბურთალოს რაიონი, პანკისის ქ. N3-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების (მრავალწლიანი).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: გამაგრებითი სამუშაოები დასრულდა 27 შენობა-ნაგებობაზე; სამუშაოები მიმდინარეობს 9 ობიექტზე.

02 03 საპროექტო-სახიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, ტექნიკური პირობები, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები დაფინანსებულია 5,885.2 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 6,020.9 ათასი ლარის 97.7%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

02 03 01 საპროექტო-სახიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, კონსერვაცია და სხვა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური

2017 წლის გეგმა 1,379.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,250.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 91%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მშენებლობის განხორციელება სრულყოფილი პროექტების საფუძველზე, სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით; პროექტების საფუძველზე მაღალხარისხიანად შესრულებული სამშენებლო სამუშაოები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში საპროექტო დოკუმენტაცია მომზადდა შემდეგი ობიექტებისათვის: საპროექტო დოკუმენტაცია მომზადდა შემდეგი ობიექტებისათვის: ვაკის რაიონში, ნუცუბიძის პლატო, მე-III მ.რ III კვ. კორპ. N10-ში მდებარე საცხოვრებელი სახლისა და ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ნუცუბიძის პლატო, მე-II მ.რ II კვ. კორპ. N4-ში მდებარე საცხოვრებელის სახლის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურები; თევდორე მღვდლის ქ.№15-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურები; ქ. თბილისის ტერიტორიაზე საბავშვო ბაგა-ბაღების შიდა ეზოების ასფალტის საფარის, წყალსადენ-კანალიზაციის, სადრენაჟე და სანიაღვრე ქსელების მოწყობისა და აღდგენა-რეკონსტრუქციის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურები; ვაკის რაიონში, ნუცუბიძის IV მ/რ-ში სანიაღვრე ქსელის (ფერმწერთა ქუჩიდან ელ. ამაშუკელის

ქუჩამდე) რეკონსტრუქცია-მოწყობის სამუშოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურები; საბურთალოს რაიონში, პეტრე იბერის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურები; სამგორის რაიონში, ოცხელის ქ.4-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურები; სამგორის რაიონში, ვარკეთილის ზ/პ-ზე N12-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურები; საბურთალოს რაიონი, პანკისის ქ. N3-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურები; ისნის რაიონში, ნავთლუღის ჩიხი #9-ის მიმდებარედ დაზიანებული ნავთლუღის ხევის სანიაღვრე კოლექტორის აღდგენის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; ვაკის რაიონში, ნუცუბიძის პლატო IV მ/რ-ში, N19ბ კორპუსის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; ზაჰესის დასახლებაში საავტომობილო ხიდის გამოკვლევა-გამოცდა; ისნის რაიონში მოსკოვის გამზ. N7-ში მდებარე კორპ. N1-ის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურები; ჩუღურეთის რაიონში, აჭარის ქ.N10-ში მდებარე კორპუსის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურები; ვაკის რაიონში ი. მოსაშვილის ქ.N14-16-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურები; ნაძალადევის რაიონში, ცოტნე დადიანის ქ.N315-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურები; საბურთალოს რაიონში თ. იოსებიძის ქ.N57-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურები; დიდუბის რაიონში, თევდორე მღვდლის ქ.N5ბ-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის I და II სადარბაზოს გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურები; საბურთალოს რაიონში, დიდ დიღომში,პეტრიწის ქ.N5ა-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; ისნის

რაიონში, ვაზისუბანი IV მ/რ, II კვ. N11-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურები; სამგორის რაიონში ჯავახეთის ქ.N3-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; ისნის რაიონში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N145-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; სამგორის რაიონში, ვარკეთილი ზ/პ, II მ/რ, კორპუსი N2 -ის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურები; სამგორის რაიონში, მ. ცისკარიშვილის ქ.N2ა-ში ავარიული საცხოვრებელი კორპუსის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; კრწანისის რაიონში, კრწანისის ქუჩა #3-ში მდებარე #2 ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურები; ისნის რაიონში, ვაზისუბნის მე-III მ/რ-ის, მე-II კვარტლის N17-ში მდებარე ავარიული კორპუსის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურები; ისნის რაიონში, კახეთის გზატკეცილი N44-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურები; დავით აღმაშენებლის ხეივანში ქვეითთა მიწისზედა საფეხმავლო გადასასვლელის მოწყობის საპროექტო მომსახურება; კახეთის გზატკეცილის (მარჯვენა) სათადარიგო ზოლის მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურები; კახეთის გზატკეცილის (მარცხენა) სათადარიგო ზოლის მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურები; სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილზე N3ა-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრება-აღდგენის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურები; სამგორის რაიონში კახეთის გზატკეცილისა და ჯავახეთის ქუჩის გადაკვეთაზე საავტომობილო ხიდი-გზაგამტარის აღდგენა-რეკონსტრუქციის სამუშოები; ვაკის რაიონში ი. მოსაშვილის ქუჩა N22-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის საძირკვლის უსაფრთხოებისათვის სადრენაჟო სისტემის მოწყობის სამუშაოები; საბურთალოს რაიონში, ვაჟა-ფშაველას გამზ. N2-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის

გამაგრება-აღდგენის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურები; სამგორის რაიონში, ვარკეთილის მე-3 მასივში, მე-6 კვარტლის N10-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრება-აღდგენის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურები; მთაწმინდის რაიონში, ღამბაშიძის ქ.N3-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრება-აღდგენის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურები; საბურთალოს რაიონში, დარასელიას ქ. N1- ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრება-აღდგენის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურები; მთაწმინდის რაიონში დ.ყიფიანის ქ.48-ს მიმდებარედ საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურები; სამგორის რაიონში, ვარკეთილის III მასივის VII კვ-ში მდებარე N6 ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრება-აღდგენის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურები; ჩუღურეთის რაიონში, ზაარბრიუკენის მოედნის #2-ში შენობის მიმდებარედ ზედაპირული წყლების აცილების და შიდა ეზოს სანიაღვრე ქსელის მოწყობის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურები; სამგორის რაიონში, ვარკეთილი 3, I მ/რ, N25-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურები; თბილისი-ნაფეტვრები-ახალდაბის გზის მოწყობის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების მომსახურები; თბილისის ზღვიდან ვაზისუბნის მეორე მიკრორაიონში ჩასასვლელი გზისა და სამების ეკლესიის და მახთას მთაზე ეკლესიის დამაკავშირებელი გზის გადაკვეთაზე სატრანსპორტო კვანძის, მონასტერთან მისასვლელი გზის, შიდა გზების და მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე ავტოპარკინგის მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურები; კუს ტბასთან მისასვლელი ალტერნატიული გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; სამგორის რაიონში, ქინძმარაულის ქუჩა II შესახვევი N2ა-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრება-აღდგენის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურები; საბურთალოს რაიონში, დიდი დიღმის დასახლებაში მირიან მეფის ქუჩისა და დემეტრე თავდადებულის ქუჩის დამაკავშირებელი ახალი გზის მოწყობის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების

მომსახურები; ავჭალა-2-ში სულხან-საბა ორბელიანის ქუჩისა და ამავე ქუჩიდან თბილისის შემოვლით გზამდე მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურები; მთაწმინდის რაიონში, თარხნიშვილის ქ.N21-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრება-აღდგენის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურები; სამგორის რაიონში, ვარკეთილი 3, I მ/რ-ის, N32-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრება-აღდგენის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურები; სამგორის რაიონში, ქიზიყის ქუჩა N11-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრება-აღდგენის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურები; ისნის რაიონში ალაზნისა და გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩების რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურები; ისნის რაიონში ბერი გაბრიელ სალოსის ქ.#147 და #147ა კორპუსების მიმდებარედ სანიაღვრე კოლექტორის მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურები; საბურთალოს რაიონში, პეკინის ქ.N23-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრება-აღდგენის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურები; სამგორის რაიონში, ვარკეთილი 3, IIIა მ/რ კორპ. N320-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრება-აღდგენის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურები; ზაჰესის ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე სანიაღვრე კოლექტორის მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; სოფელ კიკეთში გალაქტიონ ტაბიძისა და ნიკო დადიანის ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურები; სამგორის რაიონში, ვარკეთილი 3, II მ/რ N7-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრება-აღდგენის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: მომზადდა 56 ობიექტის საპროექტო დოკუმენტაცია.

02 03 02 სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა, პროექტების ექსპერტიზა, ლაბორატორიული კვლევები და სხვა ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია

2017წლის გეგმა 4,641.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 4,634.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.8%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: საავტომობილო გზების, წყალსადენ–კანალიზაციისა და სანიაღვრე ქსელების მშენებლობის და სარეაბილიტაციო სამუშაოების, საინჟინრო ნაგებობების მშენებლობის სამუშაოებზე ზედამხედველობის განხორციელება სრულყოფილი პროექტების საფუძველზე, სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით; ლაბორატორიული კვლევების მომზადება; შესრულებული სამუშაოების აქტების, ფორმა 2–ების შემოწმება და დადასტურება; საპროექტო დოკუმენტაციის, დეფექტური აქტებისა და ტექნიკური დავალებების ანალიზი; მონიტორინგის განხორციელება სხვადასხვა სამუშაოებზე.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიის ფუნქციონირების ხარჯები (თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება, მივლინების, ოფისის ხარჯები, ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები, შენობა-ნაგებობების დაცვის ხარჯები, დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება, ავტომობილების დაზღვევისა და დასუფთავების მოსაკრებლის ხარჯები, ძირითადი აქტივების შეძენის და სხვა). მიმდინარე პერიოდში ლაბორატორიის მიერ ზედამხედველობა განხორციელდა შემდეგი მიმართულებებით:

საავტომობილო გზების ტექნიკური ზედამხედველობის და ლაბორატორიული სამუშაოები: ზედამხედველობა განხორციელდა 2381 ობიექტზე. აქედან: თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ობიექტი – 1102, გამგეობების ობიექტი – 1279;

ლაბორატორიამ განახორციელა: ასფალტ–ბეტონის ნარევის კვლევა – 2222, საკონტროლო კერნის ამოჭრა ლაბორატორიული კვლევისათვის – 9044 კერნი.

წყალსადენ–კანალიზაციისა და სანიაღვრე ქსელების მოწყობის ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების მიერ დასრულებულია სამუშაოები 451

ობიექტზე, აქედან: თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ობიექტი – 71, გამგეობების ობიექტი – 380;

ხელოვნური და სამოქალაქო ნაგებობების ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების მიერ შესრულდა საზედამხედველო სამუშაოები 845 ობიექტზე, აქედან: თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ობიექტი – 580, გამგეობების ობიექტი – 265;

საპროექტო დოკუმენტაციის ანალიზისა და ავარიული შენობების ტექნიკური მდგომარეობის განყოფილების მიერ მომზადებულია 356 დასკვნა, ასევე ჩატარებულია 1552 ტექნიკური დოკუმენტაციის (პროექტების) ანალიზი შემდეგი მიმართულებებით: საავტომობილო გზების ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილება – 868 პროექტის ანალიზი; წყალსადენ–კანალიზაციისა და სანიაღვრე ქსელების მოწყობა - 206 პროექტის ანალიზი; ხელოვნური ნაგებობები - 478 პროექტის ანალიზი; დასკვნები ავარიული შენობების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ – 356 პროექტის ანალიზი;

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების მიერ ჩატარებულია შემდეგი სამუშაოები გამგეობების 2892 ობიექტზე, აქედან: სამშენებლო ობიექტების ტექზედამხედველობის შემოწმება – 2469, ლიფტების ტექზედამხედველობის შემოწმება – 423;

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საპროექტო დოკუმენტაციის, ხარჯთაღრიცხვების ექსპერტიზისა და შესრულებული სამუშაოების აქტების ანალიზის განყოფილებაში შემოსულია 4894 ხარჯთაღრიცხვებისა და საპროექტო დოკუმენტაცია.

02 05 გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური

2017 წლის გეგმა 4,543.2 ათასი ლარი, დაფინანსდა 3,650.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 80%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: განათებული ქალაქი და ობიექტების მინათებით მხატვრული ეფექტის გაზრდა, განათებულ ქუჩებში მოსახლეობის და

სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო გადაადგილება; კრიმინოგენული ფაქტორების შემცირება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში შპს „თბილსერვის ჯგუფის“ მიერ მომსახურეობა (ექსპლოატაცია) გაეწია დედაქალაქის მასშტაბით არსებულ გარე განათების და მხატვრული მინათების სანათებს, გახორციელდა საყრდენი ბოძებისა და სანათების მონტაჟის სამუშაოები. მიმდინარე პერიოდში ექსპლოატაცია გაეწია 121 079 სანათს, მათ შორის: გარე განათება – 107 288 სანათი, მხატვრული მინათება – 13 791 სანათი. მიმდინარე პერიოდში დამონტაჟდა 103 ახალი განათების ბოძი და 912 ახალი სანათი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: მიმდინარე პერიოდში მოეწყო 103 ცალი განათების ბოძი და შეიცვალა 912 ცალი სანათი.

02 06 სანიაღვრე ქსელის მოვლა-პატრონობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური

2017 წლის გეგმა 2,480.1 ათასი ლარი დაფინანსდა 2,407.3 ათასი ლარით. გეგმის 97%.

დასახული შუალედური შედეგები: სანიაღვრე ქსელის გამართული ფუნქციონირება ქალაქის კომუნალური მეურნეობის მოწესრიგება, ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შექმნა; ქალაქში დატბორილი ადგილების აღმოფხვრა, ტრანსპორტის ფუნქციონირების ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: პროგრამის ფარგლებში შპს “თბილსერვის ჯგუფი” ატარებს სანიაღვრე ქსელების საექსპლუატაციო და პროფილაქტიკურ სამუშაოებს. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი სახის სამუშაოები: სანიაღვრე კოლექტორების, სათავე ნაგებობების შემოწმება (ზედაპირულად და სანიაღვრე კოლექტორში გავლით) – 272,5 კმ; სათავე ნაგებობების, სანიაღვრე წვიმმიმღებების, სანიაღვრე ჭების, გვერდმიმღებების და არასტანდარტული ჭების გაწმენდა –28 130 ც; კიუვეტების გაწმენდა – 27 787 გრძ.მ; სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების გარეცხვა სპეც.ტექნიკის გამოყენებით – 87 735 გრძ.მ; დაზიანებული

ცხაურების, გვერდმიმღებების ხუფების და ყრუ ხუფების შეცვლა – 578 ც.; სადრენაჟე და სანიაღვრე სისტემების აღდგენა, მოწყობა (სანიაღვრე ჭების შეკეთება, თუჯის ოთხკუთხა ჩარჩო, გვერდმიმღების ჩარჩო, რ/ბ ჭის რგოლი დ=1000მმ, რ/ბ ფილა (თუჯის ჩარჩო ხუფით), ახალი ჭების მოწყობა (თუჯის ჩარჩო-ხუფით ან ცხაურით) - 708 ც.

02 07 ქალაქგაფორმებითი ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მერიის ადმინისტრაცია

2017 წლის გეგმა 4,543.2 ათასი ლარი დაფინანსდა 3,650.7 ათასი ლარით. რაც გეგმის 80%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: დედაქალაქის მაღალმხატვრულ დონეზე გაფორმება; ღონისძიებათა ტექნიკური უზრუნველყოფა მაღალ დონეზე.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: საახალწლო ილუმინაციების ექსპლოატაცია და დემონტაჟი; მემორიალური დაფების დამზადება-მონტაჟი; სახელმწიფო დროშების განთავსება, შეცვლა და ჩამოხსნა; საკონცერტო და ღონისძიებებისათვის საჭირო მონიტორებით მომსახურება; ბიოტუალეტებით მომსახურება; სადღესასწაულო, სარიტუალო ყვავილებითა და თაიგულებით მომსახურება; სპეცეფექტებითა და მხატვრული ფოიერვერკით მომსახურება; სასცენო-საკონცერტო განათება-მინათების აპარატურით მომსახურება; გახმოვანების საკონცერტო აპარატურით მომსახურება; პროფესიონალური გახმოვანების საკონცერტო აპარატურით მომსახურება; სხვადსხვა სცენებით, სასცენო კონსტრუქციებით, ტრიბუნებით, პლატფორმებით, საგრიმიორებით, კოშკებით და ბეგ-რაუნდის კონსტრუქციებით მომსახურება; საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავი საზეიმო ღონისძიების ორგანიზებისათვის პროექტორებით და ვიდეო სერვერით მომსახურება; საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავი საზეიმო ღონისძიების ორგანიზებისათვის სასცენო დეკორაციებით მომსახურება; 2017 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავი საზეიმო ღონისძიების ორგანიზებისათვის

საბანერე კონსტრუქციის ტრანსპორტირების, მონტაჟის/დემონტაჟის და დასაწყობების მომსახურება; ღონისძიებების ელექტროფიცირება; უვიზო მიმოსვლის შემოღების თარიღის აღნიშვნასთან დაკავშირებით დიოდური ლედ-სანათის და სადროშე ბოძების გორგოლაჭების შესყიდვა; „თბილისობა 2017“-ის დღესასწაულთან დაკავშირებით მდ. მტკვარზე ტივით გასეირნებისათვის გასაშვები ადგილის მოწესრიგება, რეკვიზიტებით მომსახურება, სხვადასხვა სახარჯი მასალების შესყიდვა; თბილისში არსებული ძეგლების და პანთეონებში არსებული საფლავების აღდგენა რესტავრაცია; 2018 წლის საახალწლო ღონისძიებების ტექნიკური უზრუნველყოფისათვის საციგურაო (სინთეტიკური ყინული) მოედნით მომსახურება; დეკორაციების (მანათობელი ფიგურების, გამათბობლების, ნაძვის ხის მოსართავი სათამაშოების, დეკორირებული სცენით მომსახურების, სასცენო-საკონცერტო განათებისა და მინათების აპარატურით მომსახურების, საახალწლო ინსტალაციების და თაღის აღდგენა-რესტავრაციის, დედაენის ბაღის მოსართავი აქსესუარების, გირლიანდების ტრანსპორტირების, მონტაჟი-დემონტაჟისა და დასაწყობების მომსახურების, გახმოვანების საკონცერტო აპარატურით მომსახურების, დეკორატიული ღობის აწყობის მომსახურების, სახარჯი მასალების შესყიდვა; 2017 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავი საზეიმო ღონისძიების ორგანიზებისათვის საბანერე კონსტრუქციის დამზადების ტრანსპორტირების, მონტაჟის/დემონტაჟის და დასაწყობების მომსახურება; 2018 წლის საახალწლო ღონისძიებების ტექნიკური უზრუნველყოფისათვის ჯიხურების შესყიდვა.

02 09 კეთილმოწყობის ღონისძიებები დაფინანსებულია 39,157.2 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 39,840.3 ათასი ლარის 98%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

02 09 01 კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური

2017 წლის გეგმა 5,123.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 4,880.1 ათასი ლარით. რაც გეგმის 95%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მოსახლეობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა; მოსახლეობის დაცვა გარემოს მავნე ზემოქმედებისაგან; ქალაქის იერსახის გალამაზება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა სახის მომსახურება და სამუშაოები: ვაზიანის ქიმიურ ნივთიერებათა სამარხის მოვლა-პატრონობის მომსახურება (მრავალწლიანი); ქ. თბილისში, „მშვიდობის ხიდი“-ს მოვლა-პატრონობის მომსახურება (მრავალწლიანი);გმირთა მოედანზე, მემორიალური სვეტისა და მიმდებარე ტერიტორიის მოვლა-პატრონობის მომსახურება (მრავალწლიანი); ქ. თბილისის ტერიტორიაზე არსებული კლდეებიდან ჩამოშლილი კლდოვანი გრუნტის მასის გასუფთავება-გატანის სამუშაოები; ქ.თბილისის მასშტაბით დაზიანებული ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა-შეკეთების სამუშაოები; ქ. თბილისში, ლითონის დეკორატიული ცხაურების ჩარჩოების მონტაჟი; ქალაქ თბილისში, ქუჩების დასახელებებისა და ნუმერაციის აღმნიშვნელი აბრების მონტაჟი; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსათავსებელი ლითონის დეკორატიული ცხაურების მონტაჟი; შადრევნების მოვლა-პატრონობა.

02 09 08 ინფრასტრუქტურის ფუნქციონირების ხელშეწყობისა და მოძრავი ქონების აღრიცხვა-რეგულირება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მერიის ადმინისტრაცია

2017 წლის გეგმა 222.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 193.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 87%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობით დღესასწაულებისა და სხვადასხვა ღონისძიებების უზრუნველყოფა; მოწესრიგებული სასაწყობო მეურნეობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: რკინის შემზღუდავი ჯებირების მოწყობა და ალაგება; სხვადასხვა ღონისძიებების უზრუნველსაყოფად კარვების მოწყობის მომსახურება;

კარვების, ტენტების რეცხვა; სარემონტო სამუშაოები საწყობებში; სასაწყობე ბაზის ტერიტორიის შემოღობვის სამუშაოები; სასაწყობე ბაზებში სტელაჟების მოწყობის სამუშაოები; სასწორის შესყიდვა.

02 09 09 უკანონო ნაგებობების დემონტაჟი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

2017 წლის გეგმა 77.6 ათასი ლარი დაფინანსდა 41.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 53%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ლიკვიდირებული უკანონო მშენებლობები; ქალაქის გაუმჯობესებული იერსახე.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: 438,5 კვ.მ. კაპიტალური შენობა-ნაგებობის დემონტაჟი (მონოლითური გადახურვით); 334 კვ.მ კაპიტალური გადაუხურავი ან არამონოლითურად გადახურული შენობა-ნაგებობების და კაპიტალური ღობეების დემონტაჟი; 61 კვ.მ უკანონო ჯიხურის დემონტაჟი; 787,8 კუბ.მ. ნარჩენების დატვირთვა მის სარგებლობაში არსებულ ავტომანქანებზე და ტრანსპორტირება ნაგავსაყრელზე; 572,2 კვ.მ მსუბუქი კონსტრუქციის დემონტაჟი; 191,5 გრძ.მ მარტივი ტიპის ღობეების მოხსნა.

02 09 10 კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გლდანის რაიონის გამგეობა

2017 წლის გეგმა 3,824.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 3,808.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.6%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: 25 მისამართზე დამონტაჟდა ფიტნეს ტრენაჟორის

მოწყობილობები; 10 მისამართზე დამონტაჟდა ფანჩატური; 24 სპორტულ მოედანს ჩაუტარდა მიმდინარე შეკეთების სამუშაოები; 10 სპორტულ მოედანს ჩაუტარდა მოწყობა-რეაბილიტაციიის სამუშაოები; 28 მისამართზე არსებულ სკვერებს ჩაუტარდა მიმდინარე შეკეთების სამუშაოები; 2 მისამართზე მოეწყო 5935.36 გრძ.მ საკანალიზაციო ქსელი; 2 მისამართზე მოეწყო 582.85 გრძ.მ სანიაღვრე ქსელი; ხარჯი გაწეულია: სკვერების საპროექტო დოკუმენტაციაზე; რაიონის ტერიტორიის გამწვანების და ხეების მოჭრა-სხვლის სამუშაოებზე, სამშენებლო ნაგვის გატანის მომსახურებაზე, 33 მისამართზე ჩატარდა სკვერების მოწყობა-რეაბილიტაცის სამუშაოები; 12 მისამართზე ქუჩის დამაკავშირებელი კიბეების მოწყობის სამუშაოებზე, 4 მისამართზე ავარიული ელემენტების აღდგენის სამუშაოებზე, რაიონის ტერიტორიაზე 200 ცალი საპარკე სკამის მოწყობის სამუშაოებზე, 24 მისამართზე სტიქიის შედეგად დაზიანებული კორპუსის სახურავის აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოებზე, ლიბანის ქ. N6-ში არსებული ავარიული საცხოვრებელი სახლის ექსპერტიზის დასკვნისთვის და 79 მისამართზე მცხოვრებ სოციალურად დაუცველ მოქალაქეს დაუფინანსდა საცხოვრებლის გაზიფიცირების საფასური, ფინანსური დახმარება გაეწია 7 ეკლესიას, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხით - 7 000,0 ლარით დაფინანსდა გმირ კურსანტების ქუჩა N8-ში მცხოვრები 19 ოჯახისათვის ელექტროენერგიის ქსელზე მიერთების საფასური; შეკეთდა ჯანჯღავას N1-ში ძლიერი ქარისგან დაზიანებული საცხოვრებელი სახლის სახურავი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა - 16 მისამართზე ავარიული ელემენტების გამაგრების და ქუჩის კიბეების მოწყობა; სპორტული მოედნის, სკვერის, ტრენაჟორების და ფანჩატურების მოწყობა რეაბილიტაცია 106 მისამართზე; 200 ცალი საპარკე სკამის მოწყობა, 5935.36 გრძ.მ საკანალიზაციო ქსელის და 582.85 გრძ.მ სანიაღვრე ქსელის მოწყობის სამუშაოები 4 მისამართზე; მოსახლეობის გაუმჯობესებული საყოფაცხოვრებო პირობები - 24 მისამართზე სტიქიის შედეგად დაზიანებული კორპუსის სახურავის აღდგენა-რეაბილიტაცია, 79 მოქალაქის

ინდივიდუალური გაზიფიცირების სამუშაოები; 7 ეკლესიის ფინანსური დახმარება.

02 09 11 კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ნაძალადევის რაიონის გამგეობა

2017 წლის გეგმა 3,092.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 3,067.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 99%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის დაფინანსდა: ხეების სხვლა-ფორმირების (1007 ძირი); მოჭრის (217 ძირი); კუნძების ამოღების (46 ძირი) და მოთხრილი ხეების დაჭრა-გატანის (33 ძირი) სამუშაოები; ც. დადიანისა და მანჯგალაძის ქუჩების გზაგამყოფი მწვანე ზოლის მიმდებარედ, საათის სამონტაჟო სამუშაოები; 4 მისამართზე საკანალიზაციო ქსელის მოწყობის სამუშაოები; სოციალურად დაუცველ 281 ოჯახს დაუფინანსდა საცხოვრებლის გაზიფიცირების საფასური. ფინანსური დახმარება გაეწია - რაიონის ტერიტორიაზე მდებარე 6 ეკლესიას; რაიონის ტერიტორიაზე 237 ცალი საპარკე სკამის მოწყობის სამუშაოები; დაფინანსდა 27 ობიექტზე შესრულებული გზის დამჭერი საყრდენი კედლის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება; შესყიდულია და რაიონის ტერიტორიაზე დამონტაჟდა 237 ერთეული საპარკე სკამი; ხარჯი გაიწია ნაძალადევის რაიონში გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობის (13,314 ჰა) და გამწვანების მიზნით 400 ცალი პირამიდული კვიპაროზის ნერგის, დარგვა, მოვლა-პატრონობის მომსახურებაზე; სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლის (ჭ. ბენდელიანის ქუჩა კ.1ბ, მე-2 სადარბაზო) სახურავის მიმდინარე შეკეთების სამუშაოებზე; შესრულებულია ნაძალადევის რაიონის ინფრასტრუქტურის მოწესრიგების სამუშაოები 46 მისამართზე (მ/შ: დაზიანებული ქვაფენილის რეაბილიტაცია,

მეტალის ღობის მოწყობის, კედლის დემონტაჟი, სამშენებლო ნარჩენების გატანა, საფეხმავლო ბილიკების, უსაფრთხოების მოაჯირების მოწყობისა და იერსახის მოწესრიგების სხვა სამუშაოები); დაფინანსებულია 5 ობიექტზე სატრანსპორტო კვანძზე ჩამოსასვლელად კიბეების მოწყობა- რეაბილიტაციის სამუშაოები (თემქა მე-3 მ/რ, 3-კვ, N48 კორპუსის მიმდებარედ; ბეჟანიშვილის მე-2 შესახვევი, N49 მიმდებარედ; სვანეთის ქ. N39 -ის მიმდებარედ; მეტრო სადგური - სარაჯიშვილის მიმდებარედ; ჭოლა ლომთათიძის ქუჩის მე-2 შესახვევში N26-ის მიმდებარედ; 12 ობიექტზე საყრდენი კედლების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები; დაფინანსდა 14 სკვერის (სარწყავი სისტემით), საბავშვო გასართობი ატრაქციონის და სპორტულ გამაჯანსაღებელი ანსამბლის დიზაინ-პროექტის და ხარჯთაღრიცხვის მომზადების მომსახურება; დაფინანსებულია რაიონის ტერიტორიზე 16 სპორტული მოედნისა და დასასვენებელი ტერიტორიების მოწყობის სამუშაოები; რაიონში ქუჩების სადრენაჟე-სანიაღვრე ქსელების მოწყობის სამუშაოები (7 მისამართი); დაფინანსებულია (5 მისამართი) სანიაღვრე ქსელის მოწყობა-რეაბილიტაციის დეფექტური აქტებისა და ტექნიკური დავალების (ხარჯთაღრიცხვით) შედგენის მომსახურება; ხარჯი გაწეულია 20 ობიექტზე, 78 ერთეული ატრაქციონის შეძენა-მონტაჟის სამუშაოებზე. 2 ობიექტზე დაფინანსდა ურეკისა და ანაპის 414 დივიზიის ქუჩების გადაკვეთაზე (პოლიციის მიმდებარედ) არსებულ სკვერში შადრევან-აუზის და მეტრო „ნაძალადევის“ მიმდებარედ არსებული სკვერის შადრევან-აუზის რეაბილიტაციისა და მოვლა-პატრონობის მომსახურების, შადრევნის მიმდებარედ სასმელი წყლის დეკორატიული ნიჟარების მოწყობის სამუშაოები, ასევე, მოხმარებული წყლისა და ელექტროენერგიის ხარჯი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: ხეების მოჭრა-გადაბელვის სამუშაოები 1224 ძირი; დამზადდა და დამონტაჟდა 237 ერთეული საბაღე სკამი; 20 ობიექტზე მოეწყო ბავშვთა გასართობი ატრაქციონები; რეაბილიტაცია ჩაუტარდა 16 სპორტულ მოედანს; საყრდენი კედლის, სანიაღვრე ქსელის, სკვერების საპროექტო დოკუმენტაცია; იერსახის მოწესრიგების, გრუნტის დამჭერი კედლების აღდგენა-მშენებლობის, სადრენაჟე-სანიაღვრე ქსელების

მოწყობის, საკანალიზაციო ქსელის მშენებლობის, სატრანსპორტო კვანძზე ჩამოსასვლელი კიბეების მოწყობა-რეაბილიტაციის, შადრევნებისა და სასმელი წყლის დეკორატიული ნიჟარების მოწყობა-რეაბილირაციის და სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოები ჩატარდა - 74 მისამართზე; მოსახლეობის დახმარების მიზნით გაზიფიცირების სამუშაოები დაუფინანსდა 281 ოჯახს; ფინანსური დახმარება გაეწია 6 ეკლესიას.

02 09 12 კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: დიდუბის რაიონის გამგეობა

2017 წლის გეგმა 3,890.5 ათასი ლარი დაფინანსდა 3,838.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.7%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის:

საფეხმავლო კიბეების აღდგენა-შეკეთების სამუშაოები (ცაბაძის ქ. N1, წერეთლის 105-113, დ/მ II კვ. N 13,14, 16, 19 კორპ; დ/მ VI კვ. 1 კორპ. სამტრედიის ქ. კორპ. N4ა; მირცხულავას ქ. N16 კორპ.)

საცხოვრებელი სახლების ეზოებში წყალსადენ-კანალიზაციისა და სანიაღვრე ქსელის აღდგენა–შეკეთება (ხოშარაულის ქ. N25 (კანალიზაცია); დ/მ VI კვ. N2 კორპ.ეზო (კანალიზაცია); წერეთლის ქ. N 55 (კანალიზაცია); დ/მ I კვ. N3ა-3ბ ეზო; დ/მ II კვ. 5ბ კორპ. (კანალიზაცია); დ/მ II კვ. N19, N11, N7ა-7ბ კორპ. კორპ. ეზო (კანალიზაცია), დ/მ მე-III კვ. N9 და N 10 კორპ. ეზო (კანალიზაცია); დ/მ მე-III. N 2-17-18-39 კორპ.(კანალიზაცია); დ/მ მე-III კვ. კორპ N6-6ა-6ბ-6გ 6ვ კორპ. მიმდებარედ (კანალიზაცის ქსელის გაწმენდა); დ/მ IV კვ. N19, კორპ. ეზო (კანალიზაცია), დ/მ IV კვ. N25 კორპ. ეზო (სანიაღვრე), დ/მ მე- VI კვ. N20ა-22ბ კორპ. ეზო (კანალიზაცია); გუდაუთის ქ. N3 (კანალიზაცია); გვეტაძის ქ. კორპ. N4, N6 და N8 (კანალიზაცია და სანიაღვრე); წერეთლის გამზ. კორპ. N7; N77ა -

(კანალიზაცია); წერეთლის გამზ. კორპ. N65 (კანალიზაცია); სამტრედიის ქ. N13-15-17; ბოხუას ჩიხი(სანიაღვრე); ბათუმის ჩიხი N19 (კანალიზაცია); ბათუმის ჩიხი N15 კორპ. ეზო (კანალიზაცია); ქურდიანის ქ.N6 კორპ.ეზო; აღმაშენებლის N172 კორპ. ეზო; გაფრინდაულის ქ.N6 კორპ. ეზო; ფოთის ქ.N38 კორპ. ეზო; წერეთლის N8, N10, N77ბ, კორპ. ეზო; დ/მ 1 კვ. N11 კორპ. (სანიაღვრე); გორის ქ. N2/5 ეზოს (წყალ-კანალიზაცია); ბათუმის ქ. შესახვევი N4, N6 ეზო (წყალსადენ-კანალიზაცია); ზუგდიდის ქ.N3; N12 კორპ. ეზო (კანალიზაცია); ხოშრაულის ქ.N7 ეზო (წყალსადენ-კანალიზაცია); წერეთლის გამზ. N6, N11 ეზო; ხოშარაულის N6 ეზო (კანალიზაცია); N2 წინ, კერესელიძის 2 შესახვევი N14; ახმეტელის ქ.N4 ეზო (კანალიზაცია); ბაგრატიონის N59 კორპ. ეზო (წყალსადენ-კანალიზაცია); წყალსადენ-კანალიზაციის და სანიაღვრე ქსელების სარეაბილიტაციო სამუშაობის დეფექტური აქტების შედგენა შესაბამისი ტექნიკური დავალებით და ესკიზით;

დახმარება გაეწია რაიონის ტერიტორიაზე მდებარე 8 ეკლესიას;

ბუნებრივი გაზის ინდივიდუალური შეყვანის ერთი წერტილის სამონტაჟო სამუშაოები; დიდუბის რაიონის ტერიტორიაზე ახალი სკვერი მოწყო 6 მისამართზე: დ/მ მე- II კვ. N10, N17 კორპუსების მიმდებარედ; დ/მ მე- III კვ. N4 კორპ. მიმდებარედ; დ/მ მე- III კვ. N1ა და N1ბკორპ. მიმდებარედ; დ/მ მე- VI კვ. N20 კორპ. მიმდებარედ; პაიჭაძის ქ.N1-ის მიმდებარედ; აკ.წერეთლი გამზ. N49/51 კორპ.მიმდებარედ

არსებული სკვერების შეკეთების სამუშაოები: დ/მ I კვ. N7, N1ა კორპ. მიმდებარედ; დ/მ III კვ. N11-12, N17, N28, N33, N34, N35, N37, N39 კორპ. მიმდებარედ; დ/მ III კვ. N1ა, N1ბ, N13, N14, N34, N35, N36, N37, N38, N11-12, N17 კორპუსების მიმდებარედ; დ/მ IV კვ. N3, N10, N12, კორპ. მიმდებარედ; დ/მ V კვ. N6, N9, N10, N14, N17, N18, N19, N25 კორპ. მიმდებარედ; დ/მ VI კვ. N4, N5, N5ა, N7, N18, N22, N20, N23 კორპ. მიმდებარედ, წერეთლის გამზ. N2, N7, N9, N10, N55, N61, N67, N71-73, N77, N77ბ, N78, N89, N93, 1 კორპუსების მიმდებარედ; წყალტუბოს ქ. N1, N2, N3, N4, N9 კორპ. მიმდებარედ; ცაბაძის ქ.N1, N2, N3 კორპ. მიმდებარედ; ბელიაშვილის ქ.N1, N12-ს კორპუსების მიმდებარედ; მირცხულავას ქუჩისა და მტკვრის მარცხენა სანაპიროს კვეთა; სამტრედიის ქ.N4ა-ს მიმდებარედ;

სამტრედიის ქ.N1, N4ა კორპ. მიმდებარედ; ბათუმის ქ.N2-ს მიმდებარედ; ევდოშვილის ქ.N2/10 კორპ. მიმდებარედ; ფოთის ქ.N38 მიმდებარედ; კეიდიას ქ. N9 კორპ. მიმდებარედ; აღმაშენებლის გამზ. N195 კორპ. მიმდებარედ; ვ.ბაგრატიონის N61 კორპ. ბაგრატიონის გამზ. N71 კორპ. მიმდებარედ; მიმდებარედ; ახმეტელის ქუჩა N2 და N4 კორპუსების მიმდებარედ; ყიფიანის ქ.N4 მიმდებარედ; სტანისლავსკის ქ.N5 მიმდებარედ; თ.მღვდლის N13, N48 კორპ. მიმდებარე ტერიტორია, ცაბაძის ქ.N3, N9 კორპ.მიმდებარედ; ფოთის ქ.N41-ე კორპ მიმდებარედ; მიქელაძის ქ.N13 კორპ. მიმდებარედ; ქურდიანის ქ.N10-ე კორპ. მიმდებარედ; ვორონინის ჩიხი N6-ის კორპ. მიმდებარედ; აგლაძის ქ. N26. სკვერების მოვლა-პატრონობა;

არსებული სპორტული მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოები. დ/მ I კვ. N10 კორპ. მიმდებარედ; დ/მ II კვ. N8, N10 კორპ. N13-14 კორპუსის მიმდებარედ; დ/მ III კვ. N1ა, N 11-12, N34, N35 კორპუსების მიმდებარედ, დ/მ ბელიაშვილის ქ. N12, N40 კორპ. მიმდებარედ; დ/მ IV კვ. N22 კორპ. მიმდებარედ; დ/მ V კვ. N6, N13, N14, N15, N20, 35 კორპ. მიმდებარედ; დ/მ VI კვ. N20, N22 კორპ. მიმდებარედ; წერეთლის გამზ. N55, N78 კორპ. მიმდებარედ; ლუბლიანას N11-ის მიმდებარედ; ვლადიმერ ვორონინის ქ. N36 მიმდებარედ; წერეთლის გამზ.ვანის ჩიხი N4-ის მიმდებარედ; აგლაძის ქ. N39ა.

არსებული საფეხმავლო ბილიკების შეკეთების სამუშაოები ბელიაშვილის ქ.N12-ს მიმდებარედ და ბათუმის ქ.N2-ში. ბეტონის ახალი საფეხმავლო ბილიკი მოეწყო დ/მ II კვ. N 11 კორპ. მიმდებარედ.

ახალი უსაფრთხოების მოაჯირების მოწყობა გოგოლაური ქუჩა, სამტრედიის ქ. კორპ. N2, სამტრედიის ქ. N17 მიმდებარედ; დ/მ I კვ. N7, N14 კორპ. დ/მ I კვ. N9, N14ა კორპ. მიმდებარედ; წერეთლის გამზირი და რ.გვეტაძის ქუჩის კვეთა; დ/მ როზაქიძის ქ. N7; დ/მ I კვ. N 9 კორპ. მიმდებარედ; დ/მ II კვ. N12, N13 კორპ. დ/მ II კვ მდ. დიღმულას მიმდებარედ; დ/მ II კვ. N12, N13 კორპ; დ/მ II კვ. N2 კორპ. მიმდებარედ; დ/მ III კვ. N4, N14, N16, N26, N33, N34 კორპ. მიმდებარედ; დ/მ III კვ. N20 კორპ. დ/მ IV კვ. N17 კორპ. მიმდებარედ; დ/მ IV კვ. N6 კორპ. უკან; დ/მ V კვ. N5 კორპ. მიმდებარედ; დ/მ V კვ. N2, N18 კორპუსების წინ; დ/მ V კვ. N2, N25

კორპუსების უკან; დ/მ VI კვ. N18, N22ბ, N20, კორპუსების წინ; დ/მასივი-ბელიაშვილის ქ.N12-ს მიმდებარედ; წერეთლის გამზირი N140, წერეთლის გამზირი N12 კორპ. უკან; აკ.წერეთლის ძეგლის მიმდებარედ; ქუთაისის ქ.N24 მიმდებარედ; ლუბლიანა ქ.N11ა კორპ მიმდებარედ; დ/მ ახმეტელის ქ. N8 კორპ. მიმდებარედ; ევდოშვილის ქ. კორპუსი N2/10 წინ.

არსებული უსაფრთხოების მოაჯირების შეკეთება დ/მ VI კვ. N16 კორპ. დ/მ I კვ. N6, N8 კორპ. დ/მ II კვ. N3 კორპ. მირცხულავას ქ N4 (N22 სკოლის მიმდებარედ), მირცხულავას ქ.N10,12,14,16 მიმდებარედ, სამტედიის ქ.N2 მიმდებარედ, წერეთლის გამზ. N105 მიმდებარედ, დ/მ VI კვ. N12, 13, 23 კორპ. მიმდებარედ, დ/მ I კვ. N10, 6-8 კორპ. მიმდებარედ და დ/მ IV კვ. N10 კორპ. მიმდებარედ;

დ. აღმაშენებლის სახელობის ხეივნის და ს.ახმეტელის ქუჩის კუთხეში არსებული ნაგებობისთვის 11 ცალი საქართველოს სახელმწიფო დროშის შესყიდვა და მოხდა ამ ნაგებობისთვის საჭირო ელ.ენერგიის ხარჯის გადახდა; ხმელი, ზეხმელი და ავარიული ხეების მოჭრა, სხვლა-ფორმირების, კუნძების ამოძირკვისა და დამუშავება-გატანის მომსახურება; დაზიანებული შენობა-ნაგებობების ნაწილობრივი დემონტაჟის და მონტაჟის, დროებითი გამაგრების ღონისძიებები; დიდუბის რაიონის ტერიტორიაზე საბავშვო სათამაშოების (ატრაქციონების) შეძენა-მონტაჟის და სათამაშო მოედნის მოწყობა დ/მ III კვ. N29-ე კორპუსის მიმდებარედ; დ/მ IV კვ. N5, N9, კორპუსების მიმდებარედ; დ/მ V კვ. N12, N24 კორპუსების მიმდებარედ; დ/მ ახმეტელის N10 კორპ. მიმდებარედ; დ/მ ბელიაშვილის ქ. N12-ის მიმდებარედ; ვანის ქ N4-ის მიმდებარედ; კედიას ქ. N9-ის მიმდებარედ; სტანისლავსკის ქ. N5-ის მიმდებარედ; ბაგრატიონის კორპ. N5-ის; ბლოკი N2-ის მიმდებარედ; ზუგდიდის ქ. N12-ის მიმდებარედ.

ფიტნესის ტრენაჟორების შესყიდვის და ტრენაჟორებისთვის საჩრდილობელი ფანჩატურისა და კაუჩუკის რბილსაფარიანი მოედნის მოწყობა დ/მ I კვ. N7 კორპ. მიმდებარედ; დ/მ III კვ. N39 კორპ. მიმდებარედ; დ/მ IV კვ, N7, N17, N3 კორპუსების მიმდებარედ; ახმეტელის ქ. N2-4 კორპ. მიმდებარედ; დ/მ VI კვ. N20-21 კორპ. მიმდებარედ; ბელიაშვილის ქ. N12-ის მიმდებარედ; აგლაძის ქ. N 34 კორპ. მიმდებარედ; ცაბაძის ქ.N4 კორპ. მიმდებარედ; თ.მღვდლის ქ. N49 კორპ.

მიმდებარედ; თ.მღვდლის ქ.N51 კორპ. მიმდებარედ; წერეთლის გამზ. N48 კორპ. მიმდებარედ; წერეთლის გამზ. N 63 კორპ. მიმდებარედ; ხოშარაულის ქ N27 კორპ. მიმდებარედ. ხანძრის შედეგად დაზიანებული თამარ მეფის გამზ. N20-ში მდებარე საცხოვრაბალი სახლის გამაგრება-გაძლიერების და აღგენა-რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შდგენა რომელიც მერიის სარეზერვო ფონდიდან იქნა გამოყოფილი; ასევე დაფინანსდა შენობის დაზიანებული სახურავის შეკეთების სამუშაოები თ.მღვდლის ქ. N13-ში.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: შესრულდა არსებული სკერის აღდგენა-რეაბილიტაცია – 47 მისამართზე; სკვერის მოწყობა -6 მისამართი; საბავშვო სათამაშოების (ატრაქციონების) შეძენა-მონტაჟი -12 მისამართზე; ეკლესიების ფინანსური დახმარება - 8 ეკლესია; წყალსადენ-კანალიზაციისა და სანიაღვრე ქსელის რეაბილიტაცია - 41 მისამართზე 5342.77 გრძ/მ

02 09 13 კეთილმოწყობის ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჩუღურეთის რაიონის გამგეობა

2017 წლის გეგმა 3,070.6 ათასი ლარი, დაფინანსდა 3,012.0 ათსი ლარით, რაც გეგმის 98%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: საცხოვრებელი სახლების ეზოებში - უზნაძის ქ.N2-ში, მარჯანიშვილის ქ. N89/24-ში, უზნაძის ქ.N59, N91-ში, ქვალონის ქუჩაზე, ჭალადიდის ქუჩაზე, ჩუბინიშვილის ქ.N8, ჩიქობავას ქ.N11,29,39, ნ.ჩხეიძის ქ.N21, მაზნიაშვილის ქ.N15, 9 ძმის ქ.N38, ჩაისუბნის ქ.N3, ბუხაიძის ქ.N19, ჩიტაიას ქ.N4, ბერიშვილის ჩიხი ქ.N8, ლენტეხის ქ.N3 და ძეგამის პირველი ჩიხი N1-ში მოხდა 725 გრძ/მ წყალსადენ-კანალიზაციისა და სანიაღვრე ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოები; რაიონის ტერიტორიაზე სტიქიისა და სიძველისაგან დაზიანებული

შენობა-ნაგებობების ნანგრევებისგან გაწმენდის, სამშენებლო ნაგვისა და ჩამოშლილი გრუნტის გატანის სამუშაოები 164 მისამართზე; საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოები შემდეგ (40) მისამართებზე: ვეძათხევის შეს. N14-16, ბაგრატიონის ქ.N50,51,52,75,83, მანგლისის ქ. N7, ჩეჩელაშვილის ქ.N12,25,82,87, ლარეხის მე-2 შესახ. N18ა, მეუნარგიას I შესახ. N4, მნათობის ქ. N5,21,22,23,48, სალიას ქ. N56-58, აგარის ქ. N24, II ახალი არსენალის ქ.N8, აფხაზეთის 1 შესახვევი N18, თამარაშენის ქ.N3, აბაშიძის ქ.N14, ანთელავას ქ.N9-11, ლალიონის შეს. N5, ჩაისუბნის ქ. N8,12,13, ზაზიაშვილის მე-3 შეს. ქ. N21, 9 ძმის ქ. N18,48, ხუდადოვის ქ.N49,53, ყირიმის ქ.N13, მარჯანიშვილის ქ.N16ა, თოიძის ქ.N31, არსენალის მთის ქ.N9, დიღომბარის ქ.N4, აფხაზეთის 1-ელი შესახ. ქ.N12, ლამის მე-2 შესახ. N3 და ართვინის ქ.N12; სპორტული მოედნების აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები შემდეგ (20) მისამართებზე: დგებუაძის ქ.N1-ში, აჭარის ქ.N10-ში, ნორიოს აღმ. N54-ში, დავითაშვილის ქ.N48-ში, უზნაძის ქ.N4-ში, დ.აღმაშენებლის გამზ. N147-ში, ლებარდეს ქ-ზე, ართვინის ქ.N2-ში, საქარის ქ.N7-9-ში, ჩიტაიას მე-2 ჩიხში, მნათობის ქ. N80-ში, პ.სააკაძის ქ.N19-ში, რომის ქ.N4-ში, სააკაძის ქ.N19 და სხვა. ხოლო ხუდადოვის ქ.N173, მე-6 კორპუსის მიმდებარედ ახალი სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები; რაიონის ტერიტორიაზე 33-მდე არსებულ სკვერების მოვლა-პატრონობა, ახალი სკვერების მოწყობა შემდეგ მისამართებზე: აჭარის ქ. N10, ბაქოს ქ.N1, მეუნარგიას ქ.N58, ვერხანის ქ.N7 და ხუდადოვის ქ. N3-ში; მოაჯირეებისა და რკინა-ბეტონის კონსტრუქციების მოწყობა; ქუჩის ავეჯისა (ფანჩატურები, სკამები და ურნები), საქანელებისა (3 კომლექტი) და ფიტნეს ტრენაჟორების (5 კომლექტი) შესყიდვა-მონტაჟი, 40 ცალი თუჯის ბარიერის შესყიდვა-დამონტაჟება; სასმელი წყლის ნიჟარების მოვლა-პატრონობა, ხეების გასხვლა-გადაბელვა, მოჭრა და დამუშავა-გატანა, ხის კუნძების ამოღება-გატანა, გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა, სხვადასხვა ჯიშის ბუჩქის (716 ძირი) დარგვა, რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები სოციალურად დაუცველი და შეჭირვებული 54 ოჯახისათვის ინდივიდუალური გამრიცხველიანება; მარჯანიშვილის ქუჩა N32-ში, ნინოშვილის ქ.N41ბ-ში და ლამის ქ.N3ა-ში საცხოვრებელი სახლის ავარიული ნაწილის მიმდინარე შეკეთების სამუშაოები და

ჩიტაიას ქ. N20-ში ხანძრისაგან დაზიანებული საცხოვრებელი სახლის სახურავისა და სართულების მიმდინარე შეკეთების სამუშაოები. მათ შორის ჩიტაიას ქ. N20-ში ხანძრისაგან დაზიანებული საცხოვრებელი სახლის სახურავისა და სართულების მიმდინარე შეკეთების სამუშაოების დასაფინანსებლად სარეზერვო ფონდიდან გამოიყო და გადარიცხულია 122.6 ათასი ლარი, ასევე დახმარება გაეწია რაიონის ტერიტორიაზე მდებარე 10 ეკლესიას. მათ შორის 15,0 ათასი ლარით სარეზერვო ფონდიდან დაფინანსდა ქ.თბილისის წმ. დიმიტრი ყიფიანის სახელობის ეკლესიის კულტურის ცენტრის მიმდინარე სარემონტო სამუშაოების ღირებულება. ასევე, დაფინანსებულია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა - საყრდენი კედელის მოწყობა - 40 მისამართი; სკვერის მოწყობა, აღდგენა-რეაბილიტაცია - 38 მისამართი; სპორტული მოედნების მოწყობა, აღდგენა-რეაბილიტაცია - 21 მისამართი; რ/ბეტონის კიბეებისა და მოაჯირეების მოწყობა - 45 მისამართი; ატრაქციონები, ფიტნეს ტრენაჟორები - 8 კომპლექტი; წყალსადენ-კანალიზაციის, სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელის რეაბილიტაცია - 725 გრძ/მ; მოსახლეობის გაუმჯობესებული საყოფაცხოვრებო პირობები - გაზიფიცირებით უზრუნველყოფილი სოციალურად დაუცველი 54 ოჯახი; 10 ეკლესიის ფინანსური დახმარება.

02 09 14 კეთილმოწყობის ღონისძიებები ვაკის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ვაკის რაიონის გამგეობა

2017 წლის გეგმა 3,428.3 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: მცირეფასიანი საპარკე სკამების შეძენა-მონტაჟი (200 სკამი); მყარი ურბანული ნარჩენების გატანა; რაიონის ტერიტორიაზე არსებული

გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა; ხეების გასხვლა-გადაბელვა და მოჭრა (3192 ძირი); 2000 გრძ.მ ლითონის მოაჯირეების(ღობეების)აღდგენა-მოწყობა; დაზიანებული შენობა-ნაგებობებისა და აივნების ფასადური რეაბილიტაციის, პარაპეტების მონტაჟისა და ავარიული შენობების დროებით გამაგრების სამუშაოები (56 მისამართი); ინდივიდუალური გაზიფიცირების სამუშაოები 10 ოჯახზე; სპორტული მოედნების მოწყობა, აღდგენა-რეაბილიტაცია (15 მისამართი), მათ შორის მოეწყო 2 ახალი სპორტული მოედანი კალისტრატე ქუთათელიძის ქ. N17-ში და ვაჟა-ფშაველას მეორე კვ. 37ა-37ბ კორპუსების მიმდებარედ.; საყრდენი კედლების მოწყობა (13 მისამართი); სკვერების აღდგენა-რეაბილიტაცია (29 მისამართი); ფიტნეს ტრენაჟორების მოწოობა (5 მისამართი); წყალსადენ-კანალიზაციის, სადრენაჟედა სანიაღვრე ქსელების მოწყობა-რეაბილიტაცია (5 მისამართი); ფიტნეს ტრენაჟორების მოწყობა (17 მისამართი). ასევე, დახმარება გაეწია რაიონის ტერიტორიაზე მდებარე 19 ეკლესიას. ამასთან, დაფინანსებულია წყალსადენ-კანალიზაციის, სადრენაჟედა სანიაღვრე ქსელების, სპორტული მოედნების, კიბეების, საფეხმავლო ბილიკების და პანდუსების, საყრდენი კედლისა და სკვერების მოწყობისა და აღდგენა-რეკონსტრუქციისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა - სკვერების მოწყობა და აღდენა რეაბილიტაცია 29 მისამართზე; ლითონის მოაჯირეების მოწყობა 2000 გრძ.მ, სპორტული მოედნების მოწყობა და აღდენა რეაბილიტაცია - 15 მისამართზე, საყრდენი კედლების მოწყობა - 13 მისამართი, სანიაღვრე და წყალ-კანალიზაციის ქსელის სისტემების მოწყობა 5 მისამართი, მოსახლეობის გაუმჯობესებული საყოფაცხოვრებო პირობები - გაზიფიცირებით უზრუნველყოფილი 10 ოჯახი; ფიტნეს ტრენაჟორების მოწყობა - 17 მისამართი), 19 ეკლესიის ფინანსური დახმარება.

02 09 15 კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: საბურთალოს რაიონის გამგეობა

2017 წლის გეგმა 4,156.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 4,041.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 97%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: ხეების გასხვლა-გადაბელვა; გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა; მწვანე გაზონისა და ნერგების შესყიდვა; 250 ცალი საპარკე სკამის შეძენა-მონტაჟი; 100 ცალი სანაგვე ურნის შეძენა-მონტაჟი; მყარი ურბანული ნარჩენების გატანა; ინდივიდუალური გაზაფიცირების სამუშაოები 18 ოჯახზე; მიმდინარე წლის 20-21 მარტს ძლიერი ქარის (გრიგალის) შედეგად დაზიანებული შენობების რეაბილიტაცია; საყრდენი კედლების მოწყობა 3 მისამართზე (ალ ყაზბეგის გამზირი 37, ბალანჩივაძის ქ. N71 და საირმის ქ.N2); საკანალიზაციო ქსელის მოწყობა (სამუშაო შესრულდა დიდ დიღომში ბარონ დებაიას ქუჩის გაგრძელებაზე და დიღმის სანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე); სანიაღვრე ქსელის მოწყობა 6 მისამართზე (ასათიანის ქ. N14, ცინცაძის ქ. N38, დ.დ 186 სკოლის მიმდებარედ, სოფელ დიღომში გოგიშვილის ქუჩაზე აღმაშენებლისა და თამარ მეფის ქუჩის გავლით, სოფელ დიღომში რუსთაველის ქუჩაზე მილის ხევამდე და ვაჟა--ფშაველას N17-ის ეზოში); სკვერების მოწყობა-რეაბილიტაცია შემდეგ მისამართებზე: თამარაშვილის ქ.N19-1; თამარაშვილის ქ. N19-2; გოთუას ქ. N8; კოსტავას ქ. N67/85; მიცკევიჩის ქ. N17-21; ვაჟა ფშაველას 11; ბახტრიონის ქ. N39-ს მიმდებარედ; ბუდაპეშტის ქ.N2-ის მიმდებარედ; ბუდაპეშტის ქ.N6-ის მიმდებარედ; დ.დ. მე-3 მ.რ. კ. N9 და N21-ის მიმდებარედ; თოფურიას ქ.N12-ის მიმდებარედ; იოსებიძის ქ.N72-74-ს შორის; იოსებიძის ქუჩა კვირიკეს სახ ეკლესიის მიმდებარედ; პეკინის ქ.N9-11-ს შორის; ტაშკენტის ქ.N31-ის მიმდებარედ, ყაზბეგის გამზირი N25ა-ს ეზოში; შარტავას ქ. N45-ის მიმდებარედ, ხვიჩიას ქ.N32-ის მიმდებარედ, დოლიძის ქ.N10-ის მიმდებარედ, პეკინის ქ.N2; პეტრიწის ქუჩა 186 სკოლის მიმდებარედ, ფანასკერტელის ქ.N12-1 და ქ.N12-2.

სპორტული მოედნების აღდგენა-მოწყობა შემდეგ მისამართებზე: ტაშკენტის ქუჩა N31; გოთუას ქ.N19-ის მიმდებარედ; ზ.ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩა კ.12-ის მიმდებარედ; პეკინის გამზირი N11-ის მიდებარედ, დ.დ მე-4 მ/რ კ. N11-ის მიმდებარედ; იოსებიძის ქ.N72-ის მიმდებარედ; ბუდაპეშტის ქ.N7-9-ის მიმდებარედ; პეკინის გამზ. 14-ის მიმდებარედ; დ.დ. მე-4 მ/რ. საბავშვო ბაღი „ხუთკუნჭულა“-ს მიმდებარედ; შარტავას ქ.N45ა-ს მიმდებარედ; ყაზბეგის გამზ. 1-ის მიმდებარედ; დოლიძის ქ.N4-ის მიმდებარედ; პეკინის გამზ. 16-ის მიმდებარედ; ბახტრიონის ქ.N29-ის მიმდებარედ; ყაზბეგის გამზ. N25-ის მიმდებარედ; კოსტავას ქ. 75გ-ს მიმდებარედ; დ.დ. მე-3 მ.რ. კ. N34-ის მიმდებარედ; დ.დ. მე-3 მ.რ. კ. N15-ის მიმდებარედ; ვაჟა ფშაველას 1 შესახვევი 3-ის მიმდებარედ; ვაჟა ფშაველას N36-38-ის მიმდებარედ; მიცკევიჩის ქ.N17-ის მიმდებარედ; ალასანიას ქ.N23-ის მიმდებარედ; პეკინის ქ. N2-ის მიმდებარედ და სოფელი დიღომი-ზემო უბანი. კიბეების აღდგენა-მოწყობა 6 მისამართზე ცინცაძის ქუჩა N81 და N83-ის მიმდებარედ; ჩიქოვანის ქუჩა N34-ის მიმდებარედ; პატარა დიღომი-გვიმრაძის ქუჩის მიმდებარედ, ბაკურიანის ქ.N18-დან ფანასკერტელის ქუჩამდე და არდაზიანის ქუჩის მიმდებარედ. გარე გამოყენების ფიტნეს ტრენაჟორების შეძენა-მონტაჟი, ტრენაჟორებისათვის საჩრდილობელი ფანჩატურისა და მოედნის მოწყობა. ტრენაჟორები განთავსდა შემდეგ მისამართებზე: პეკინის ქ.N14,17ა; დ.დ პეტრიწის ქუჩა 186 სკოლის წინ; ვაშლიჯვარის დასახლება N4ბ; დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა; თავდადებულის ქ.N4-6-8; დ.დ მე-4 მ/რ კორპ. N6-7-8; ბუდაპეშტის ქ.N6; ვაჟა-ფშაველას გამზ. კორპ. N46-ს ეზო; მიცკევიჩის ქ.N20 და ნუცუბიძის ქ.N46. ფანჩატური მოეწყო 20 მისამართზე: ფანასკერტელის 6; ემხვარის ქ. კორპ. 9; სოფ. დიღომი დიდგორის 82; საირმის ქ. კორპ. 6; თამარაშვილის ქ. კორპ. 17-19; ვაჟა ფშაველას ქ.N23; იოსებიძის ქ.N51ა; გიორგი ბრწყინვალეს ქ.N21; ვაშლიჯვარი 13ა კორპ.14; პატარა დიღომი მეურნეობის დასახლება მე-17 სკოლის მიმდებარედ; ვაჟა ფშაველას N42; თავდადებულის ქ.N12; თავდადებულის ქ.N6; ტაშკენტის ქ.N18; გაზაფხულის ქ.N24; მიცკევიჩის ქ. კორპ. 9; პეკინის გამზ კორპ. 41; გამსახურდიას მე-2 კვ. კორპ 6; იყალთოს მთა კორპ. 1; ემხვარის ქ. კორპ. 1ა. ასევე დახმარება გაეწია რაიონის ტერიტორიაზე მდებარე 14 ეკლესია-მონასტერს

და ერთ მუსლიმანთა სამლოცველო სახლს. ამასთან დაფინანსებულია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა - 3 მისამართზე საყრდენი კედლის აღდგენა-მოწყობა; სკვერის მოწყობა, აღდგენა-რეაბილიტაცია - 26 მისამართზე; სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელის აღდგენა-მოწყობა 8 მისამართზე; სპორტული მოედნების აღდგენა-მოწყობა 24 მისამართზე; ტრენაჟორების მოწყობა 11 მისამართზე; კიბეების აღდგენა-მოწყობა 6 მისამართზე; ფანჩატურების მოწყობა 20 მისამართზე, მოსახლეობის გაუმჯობესებული საყოფაცხოვრებო პირობები - გაზიფიცირებით უზრუნველყოფილი სოციალურად დაუცველი 18 ოჯახი; 250 ცალი საპარკე სკამის შეძენა-მონტაჟი,14 ეკლესია-მონასტრის (მათ შორის ერთი მუსლიმანთა სამლოცველო სახლი) ფინანსური დახმარება.

02 09 16 კეთილმოწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ისნის რაიონის გამგეობა

2017 წლის გეგმა 2,210.0 ათასი ლარი დაფინანსდა 2,198.5 ათასი ლარი, რაც გეგმის 99.5%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: გადაიბელა-გაისხვლა და მოიჭრა 2 003 ავარიული ხე, 8 მისამართზე გრუნტის დამჭერი რ/ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობა, 4 მისამართზე დაზიანებული კიბე-პანდუსის მოწყობა-რეაბილიტაცია, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ მებრძოლთა მემორიალის მოწყობა და მიმდებარე ტერიტორიის გამწვანება, 6 სკვერის მოწყობა, 21 სპორტული მოედნის მოწყობა-რეაბილიტაცია, 23 მისამართზე სკვერებსა და სპორტულ მოედნებზე დაზიანებული ფრაგმენტების აღდგენა-შეკეთება, 12 მისამართზე განხორციელდა სანიაღვრე ქსელების რეაბილიტაცია, 2 მისამართზე

წყალსადენი ქსელების რეაბილიტაცია, 3 მისამართზე დაიდგა ფანჩატური (ტრენაჟორებით), დაიდგა 150 ერთეული საბაღე სკამი და 18 ცალი საბაღე ურნა, 29 მისამართზე ავარიულ საცხოვრებელ სახლს ჩაუტარდა დემონტაჟის, დამზღვევი ღონისძიებების და სამშენებლო ნაგვის გატანის სამუშაოები; სოციალურად დაუცველი 57 ოჯახის საცხოვრებლის გაზიფიცირება, 13 ეკლესიას გაეწია ფინანსური დახმარება, გაწეულია საყრდენი კედლების, საჭიდაო არენის, სკვერების და სპორტული მოედნების მოწყობა-მშენებლობის საინჟინრო-საპროექტო მომსახურების; გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობის, დეფექტური აქტების შედგენის და ზედამხედველობის ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა - გრუნტის დამჭერი რ/ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობა - 8 მისამართი, დაზიანებული კიბე-პანდუსის მოწყობა-რეაბილიტაცია - 4 მისამართი, სკვერის, ფანჩატურის (ტრენაჟორებით) და სპორტული მოედნის მოწყობა-რეაბილიტაცია - 53 მისამართი; ავარიული საცხოვრებელი სახლების დემონტაჟის, დამზღვევი ღონისძიებების და სამშენებლო ნაგვის გატანის სამუშაოები - 29 მისამართი; მოსახლეობის გაუმჯობესებული საყოფაცხოვრებო პირობები - სოციალურად დაუცველი 57 ოჯახის საცხოვრებლის გაზიფიცირება, 13 ეკლესიის ფინანსური დახმარება.

02 09 17 კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სამგორის რაიონის გამგეობა

2017 წლის გეგმა 4,434.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: გაწეულია ავარიული ხეების მოჭრის და ფორმირების, ბალახის თიბვის, გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობის, ქვეწარმავლების საწინააღმდეგო სადეზინფექციო სამუშაოები; 3 მისამართზე განხორციელდა საყრდენი კედლის მოწყობა, *22 მისამართზე*

სანიაღვრე ქსელების რეაბილიტაცია, 63 მისამართზე საკანალიზაციო ქსელების შეკეთება - მოწყობა, 31 მისამართზე წყალსადენი ქსელის მოწყობა, 15 მისამართზე სპორტული მოედნის და 19 მისამართზე სკვერის მოწყობა, სოციალურად დაუცველი 323 ოჯახის გაზიფიცირება, 1 მისამართზე მოეწყო გაზის ქსელი, 21 ეკლესიას გაეწია ფინანსური დახმარება, გაწეულია ინფრასტრუქტურული პროექტების დეფექტური აქტების შედგენის და საპროექტო სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა - საყრდენი კედლის მოწყობა - 3 მისამართი, სკვერის მოწყობა - 19 მისამართი, სპორტული მოედნის მოწყობა - 15 მისამართი; გაუმჯობესებული საყოფაცხოვრებო პირობები - სოციალურად დაუცველი 323 ოჯახის საცხოვრებლის გაზიფიცირება, 21 ეკლესიის ფინანსური დახმარება.

02 09 18 კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კრწანისის რაიონის გამგეობა

2017 წლის გეგმა 3,323.7 ათასი ლარი, დაფინანსდა 3,307.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.5%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა და დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: დაზიანებული შენობა-ნაგებობზე წინმსწრები დამზღვევი ღონისძიებებიდა ავარიული უბნების გამაგრების სამუშაოები შემდეგ მისამართებზე: ნიშნიანიძის ქ.N19, დიუმას ქ.N22, კათალიკოსის ქ.N9 და ყავლაშვილის შესახვევი N3-ში, კუპტინის ჩიხი N9-ში და ასათიანის N5-ში, ფაბრიკის შეს. N6, ისპაჰანლის ქ. N7, N9 და ქუმსიაშვილის ქ. N4-ში, ასკანის ქ.N8, ქვემო გომის ჩიხი N4-ში, ივერიის ჩიხი N6, ბეთლემის აღმართი N4, სულთნიშნის ქ.N12, აბოვიანის ქ. N12/13 და ვერცხლის ქ.N33-ში; ავარიული შენობების დემონტაჟი: შ.დადიანის ქ.N16-ში საცხოვრებელის სახლის მზიდი კედლის ფრაგმენტის დროებითი გამაგრებისა და სადგურის ქუჩის N57-აში

კორპუსის სახურავის რეაბილიტაციის სამუშაოები, გორგასალის ქუჩა N23-ში საცხოვრებელი სახლის ფასადის რეაბილიტაციის სამუშაოები, დადიანის ქუჩაზე N18-ში მდებარე სახლის ჭედური ლითონის წინაფარის აღდგენა-რესტავრაციის სამუშაოები; მიტოვებული სამშენებლო ნარჩენის სანქციონირებელ ნაგავსაყრელზე გადაყრა; სკვერების მოწყობის სამუშაოები: 300 არაგველის სკვერის სრული რეაბილიტაცია, 300 არაგველის სახ.სკვერში და რუსთავის გზატკ.19-ის მიმდებარედ ბულვარში საბავშვო ატრაქციონების, ფანჩატურების და პერგოლების მოწყობა, ფანჩატურების და პერგოლების მოწყობა, ფონიჭალა 3-ში სსიპ N70-ე საჯარო სკოლის მიმდებარედ სკვერის მოწყობა, ფონიჭალა 3-ში, კორპ N19-23 მიმდებარედ არსებული სკვერის მოწყობა; სხვადასხვა სკვერში გარე განათების მოწყობა; სხვადასხვა ლოკაციაზე სარწყავი სისტემის მონტაჟი, ლეღთახევში,ხიდების მოსაწყობად-ლითონის პროფილების და კონსტრუქციების, დამცავი პერგოლა-ფარის მოწყობა,რუსთავის გზატეკილის N19-ში, კორპ. N3-ის მიმდებარედ დეკორატიული აუზის გადახურვა, სკვერებში სარწყავი სისტემის მფრქვევანების დასაცავად 650 ც.მცირეფასიანი პლასტმასის ხუფების შეძენა; საზოგადოებრივი ტუალეტების მოვლა-პატრონობა; სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები: მეორე ხეივნის ქუჩაზე მოეწყო ახალი სპორტული მოედანი და გორგასლის მესამე შესახვევში კორპ.N2-ის მიმდებარედ შეკეთდა არსებული სპორტული მოედანი; ვაგზლის ქუჩის მიმდებარედ სანიაღვრე კოლექტორის მოწყობა; საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები: სოფელ ფონიჭალაში აზერბაიჯანული სასაფლაოს მიმდებარედ, გორგასლის ქ. N103 კორპ 1-ის უკან, ქუმსიშვილის ქ. N9-ში და ბერძნის ქ. N16-ში; მონოლითური კიბის მოწყობა რუსთავის გზატკეცილის N247-ის მიმდებარედ; სამღებროს ქ. N21-ის მიმდებარედ კიბის მონტაჟი; წყლის სასმელი ნიჟარებისა და 3 ცალი საზოგადოებრივი ტუალეტის წყლის ხარჯი; საზოგადოებრივი ტუალეტების მოვლა-პატრონობა; გამწვანებული ტერიტორიების და დეკორატიული ხე-მცენარეების მოვლა-პატრონობა; ხმელი, ზეხმელი და ავარიული ხეების დამუშავება-გატანა; ფონიჭალის დამაკავშირებელი მიწისქვეშა გზაგამტარის მოწყობის სამუშაოებისათვის სანებართვო საფასური; რაიონის ტერიტორიაზე

სხვადასხვა მცირე მიმდინარე სარემონტო სამუშაოები; რუსთავის გზატკეცილი N19 კორპ 3-ის მიმდებარედ შადრევნის რეაბილიტაცია; 300 არაგველის სკვერში მარადიული ცეცხლის ბუნებრივი აირის ხარჯი; სხვადასხვა მცირეფასიანი (გოფრირებული მილი,ელ კაბელი, ელ.გამანაწილებელი ყუთები, კანალიზაციის ლუქები, სანათის დგარები, ონკანები) საქონლის შეძენა; 150 ცალი სანაგვე ურნისა და 154 ცალი საპარკე სკამის შეძენა; ავარიული შენობა ნაგებობების და ობიექტების შემოსაფარგლად დროებითი ღობეების დამზადება-მონტაჟი; რაიონის ტერიტორიაზე ღობე-მოაჯირეების დამზადება-მონტაჟი; მოძრაობის შემზღუდველი ბოლარდის შეკეთება, შეძენა-მონტაჟი (მათ შორის 8 ცალი მოძრაობის შემზღუდავი ბოლარდის შეძენა-მონტაჟი); 300 ცალი მოძრაობის შემზღუდავი ბარიერების შეძენა, 5 კომპლექტი ფიტნეს ტრენაჟორების შეძენა-მონტაჟი, ინდივიდუალური გაზაფიცირების სამუშაოები 3 ოჯახზე; ასევე დახმარება გაეწია რაიონის ტერიტორიაზე მდებარე 9 ეკლესიას და სურბ გევორგის ეკლესიასთან არსებული საგანმანათლებლო ცენტრს - ,,ვერნატური“ სარემონტო სამუშაოებისათვის. გარდა ამისა, ხანძრის შედეგად დაზიანებული 4 სახლის რეაბილიტაციისათვის (რუსთაველის გზატკეცილი N125-ში მდებარე, ფონიჭალა, გრიგოლ გულბიანის ქ N21 და N23_ში და ფონიჭალა 3, კორპ N19, ბინა 49-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი), სარეზერვო ფონდიდან გამოიყო თანხა 74.2 ათასი ლარი, საიდანაც გადარიცხულია 73.0 ათასი ლარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა - 4 მისამართზე საყრდენი კედლის დამჭერი კონსტრუქციების მოწყობა; 2 მისამართზე სპორტული მოედნის მოწყობა; 5 ცალი ფიტნეს ტრენაჟორის შეძენა-მონტაჟი; მოსახლეობის გაუმჯობესებული საყოფაცხოვრებო პირობები - გაზიფიცირებით უზრუნველყოფილი სოციალურად დაუცველი 3 ოჯახი; სანიაღვრე ქსელის მოწყობა 1 მისამართზე; სკვერის აღდგენა-რეაბილიტაცია 2 მისამართზე; ავარიული საცხოვრებელი სახლების გამაგრება 4 მისამართზე; 9 ეკლესიის ფინანსური დახმარება.

02 09 19 კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მთაწმინდის რაიონის გამგეობა

2017 წლის გეგმა 2,984.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 2,906.6 ათსი ლარით, რაც გეგმის 97.4%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: ვ. ანჯაფარიძის ქ.N16-ში არსებული შენობის და გ. ქიქოძის ქ.N13-ში რკინაბეტონის საჰაეროს კაპიტალური შეკეთების, კოჯორში - გ. ტაბიძის ქ. I ჩიხი 2-ში და ტაბახმელაში პანდუსის მოწყობის, თბილისი-კოჯრის გზატკ. N25-ში კიბის და პანდუსის კაპიტალური შეკეთება; მაჩაბლის ქ. 18-ში ხანძრისაგან დაზიანებული სახლის კაპიტალური შეკეთების სამუშაოები; ნ.ნიკოლაძის ქ.N2-ში მდებარე ავარიული სახლის კაპიტალური შეკეთების წინმსწრებ-დამზღვევი სამუშაოები; ტაბახმელაში, ლაშა-გიორგის III ჩიხში სანიაღვრე ქსელის კაპიტალური შეკეთების სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა; კოსტავას II შესახვევში, მელიქი-შვილის ქ.N49ა, პეტრიაშვილის ქ.N7, ტაბახმელა-გუმბათების წყაროს მიმდებარედ სპორტული მოედნების მიმდინარე შეკეთება; მთაწმინდის რაიონის ტერიტორიაზე დაზიანებული შენობა-ნაგებობების ნანგრევებისაგან ტერიტორიის გაწმენდის, სამშენებლო ნაგვისა და გრუნტის გატანის სამუშაოები; მთაწმინდის რაიონის ტერიტორიაზე დაზიანებული ხეების მოჭრის, ფორმირების, კუნძების ამოძირკვის მომსახურება; მთაწმინდის რაიონის ტერიტორიის ფარგლებში მდებარე ნარიყალა-მთაწმინდის ტურისტული ბილიკის მოვლის და მიმდინარე შეკეთების სამუშაოები; მთაწმინდის რაიონის ტერიტორიაზე ქვეითად მოსიარულეთა ზონების მიმდინარე შეკეთების სამუშაოები; დაზიანებული მოაჯირებისა და ბარიერის ბოძების მიმდინარე შეკეთების სამუშაოები; ვ. ბერიძის ქ.N2-ში, ძმები კაკაბაძეების ქ. №22-ში, ვ.პეტრიაშვილის ჩიხი №5ა-ში და რიწის ქ. №12-ში გრუნტის დამჭერი კედლების და გ.რჩეულიშვილის №32ბ-ში რკინაბეტონის კედელის კაპიტალური შეკეთების სამუშაოები; ქ. თბილისში,

ბელინსკის ქ.N61-ში; პ.იაშვილის ქ.N15-ში; ი. თარხნიშვილის I ჩიხი N7-ში; შ. ნიშნიანიძის ქ.N12-ში; კიკეთში - დიდებისა და თაყაიშვილის ქუჩის გადაკვეთაზე; ტაბახმელაში - მე-11 და მე-18 კორპუსების მიმდებარედ ბაღების მოწყობის და არსებული ბაღების აღდგენა-შეკეთების სამუშაოები; კ. მესხის ქ. N14-ში მდებარე ხანძრისაგან დაზიანებული საცხოვრებელი სახლის კაპიტალური შეკეთების სამუშაოები; გ. ქიქოძის ქ. N6-ში მდებარე ხანძრისაგან დაზიანებული საცხოვრებელი სახლის კაპიტალური შეკეთების სამუშაოები; 8 მარტის ქ. N6-ში კიბის კაპიტალური შეკეთების და საყრდენი კედლის მოწყობის, ვ.აბაშიძის ქუჩა N8-ში აგურის ღობის, გოგებაშვილის I გასასვლელში რკინაბეტონის კედლის, კიბის და მოაჯირის, რ.თაბუკაშვილის ქ. N40-ში ღობის, უკლებას ქ. N3-ში კიბის და რკინაბეტონის კედლის კაპიტალური შეკეთების, ბორბალოს ქუჩაზე კიბის მიმდინარე შეკეთების და ი.გოგებაშვილის მე-3 შეს. I ჩიხი N13-ში გრუნტის დამჭერი კედლის მოწყობის სამუშაოები; ათონელის ქ.N27-ში მდებარე შენობის სტიქიისაგან დაზიანებული სახურავის კაპიტალური შეკეთების სამუშაოები; გუნიას ქ.N10-ში გრუნტის დამჭერი რკინაბეტონის კედლისა და ლითონის ღობის, გუნიას ქ.N13-ში გრუნტის დამჭერი რკინაბეტონის კედლის და ლითონის მოაჯირის, ძმ. კაკაბაძეების ქ.N23-ში გრუნტის დამჭერი რკინაბეტონის კედლის, კერესელიძის ქ.N7-ში კედლის, შინდისში, ნ.ბარათაშვილის ქ.N9-ში გრუნტის დამჭერი რკინაბეტონის კედლისა და ღობის, წავკისში, თავისუფლების ქ.N19-ში გრუნტის დამჭერი რკინაბეტონის კედლისა და ღობის კაპიტალური შეკეთების სამუშაოები; ლ. ასათიანის ქ. №58-ში, პ.იაშვილის ქ. №10-ში გრუნტის დამჭერი კედლის, კოჯორში, იუნკერების ქ. N1-ში გრუნტის დამჭერი რკინაბეტონის კედლის და კოჯორში, იუნკერების ქუჩაზე გრუნტის დამჭერი რკინაბეტონის კედლის და ლითონის მოაჯირის კაპიტალური შეკეთების სამუშაოები; შ. დადიანის ქუჩაზე კენტი ნომრების წინ ტროტუარის კაპიტალური კეთილმოწყობის სამუშაოები; წავკისში, სტადიონის მოწყობის სამუშაოები; პ. კაკაბაძის ქუჩაზე ტვერელის სახელობის ეკლესიის მიმდებარედ მოსასვენებლი ზონის მოწყობის სამუშაოები; მამა დავითის ტაძართან მისასვლელ საფეხმავლო ბილიკზე არსებული მოაჯირების მიმდინარე შეკეთების სამუშაოები.

პეტრიაშვილის ქ.N7-თან სკვერში საბავშვო გასართობი სივრცისა და ცხოველების გასასეირნებელი სპეციალური მოედნის და შინდისში, 9 აპრილის მემორიალთან სკვერის მოწყობის სამუშაოები; კიკეთში, ა.წერეთლის ქუჩაზე, N17-დან N46-მდე და მის მიმდებარედ და წავკისში, უძოს ქუჩაზე სანიაღვრე ქსელის მოწყობის სამუშაოები; თბილისში, ალ. ჭავჭავაძის ქ.N19-თან, რ.ჯაფარიძის ქ.N20-თან და წავკისში, კოჯრის გზატკეცილი N45-ის მიმდებარედ მოეწყო სპორტული მოედნები; სკვერები შეკეთდა შემდეგ მისამართებზე: ი. გოგებაშვილის ქ. N39 და N43, ჭონქაძის ქუჩა (ვილნიუსის სკვერი), სანაპიროს ქ. N8, მთაწმინდის ქუჩა (სულხან-საბას სკვერი), ტაბახმელა, მე-2, მე-5, მე-6, მე-8, მე-10, მე-12, მე-17 და მე-19 კორპუსების მიმდებარედ, შინდისში, ჭავჭავაძისა და ბარათაშვილის ქუჩაზე, თბილისში, სულხან საბას ქუჩაზე, გ, რჩეულიშვილის მე-4 კორპუსთან, წავკისში, რუსთაველის ქუჩაზე, კოჯორში, აზეულას და იუნკერების ქუჩაზე, კიკეთში, დიდების ქუჩაზე. დაფინანსდა ეკლესიების სარემონტო სამუშაოები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა - შენობების გამაგრების სამუშაოები 11 მისამართზე, გრუნტის დამჭერი კედლების აღდგენა-მშენებლობის სამუშაოები 16 მისამართზე, გამწვანების ღონისძიებები 25000 კვ.მ ფართობზე, წყლის დასალევი ნიჟარების მოვლა-ექსპლუატაციის სამუშაოები 15 მისამართზე, ჭრა-ფორმირების სამუშაოები ჩაუტარდა 2094 ძირ ხე-მცენარეს;17 ეკლესიის ფინანსური დახმარება.

02 10 ქალაქის განვითარების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდი

2017 წლის გეგმა 37,927.6 ათასი ლარი, დაფინანსდა 37,672.4 ათასი ლარით. რაც გეგმის 99%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: შენარჩუნებული თბილისის კულტურული მემკვიდრეობა, რესტავრირებული არქიტექტურული ძეგლები, აღდგენილი და რეაბილიტირებული შენობები, მოსახლეობის გაუმჯობესებული საყოფაცხორებო პირობები, კეთილმოწყობილი საცხოვრებელი ინფრასტრუფტურა, ქალაქის ინოვაციური განვითარება, ქალაქგანვითარების კონცეფციების მეთოდური უზრუნველყოფა, ქალაქგანვითარებაში ჩართული

ინვესტორები და დონორები, ქონების რეალიზაციით მიღებული დამატებითი შემოსავლები, ფონდის მიერ განხორციელებული ღონისძიებების ამაღლებული ხარჯთეფექტიანობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია თბილისის განვითარების ფონდის ფუნქციონირების ხარჯები. გარდა ამისა, სამუშაოები მიმდინარეობდა შემდეგ მიმართულებებზე: „საველე სკოლის“ პროექტის ხარჯები; პროექტირების მიმართულებით ხარჯები.

მსხვილი არეალების რეაბილიტაციის პროგრამით პროექტ „ახალი ტფილისის“ ფარგლებში დასრულდა დავით აღმაშენებლის გამზირზე რეაბილიტაციის სამუშაოები, ორბელიანის მოედანის რეაბილიტაცია (საინჟინრო-საკომუნიკაციო ქსელები) და დაიწყო ორბელიანის მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოები; ლ.გუდიაშვილის მოედანზე (ხიმინჯები, კანალიზაცია) სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ისტორიულ-კულტურული ძეგლების და სხვა შენობების რეაბილიტაციის ფარგლებში, განხორციელდა დავით აღმაშენებლის N34-36, N22 რეაბილიტაცია; ბეთლემის N10 საცხოვრებელი სახლის და თუმანიანის მე-2 ჩიხი N3-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები; დადიანის N32 და N34 სახლების სარეაბილიტაციო სამუშაოები; ყავლაშვილის N5-7-ის სარეაბილიტაციო სამუშაოები; ყავლაშვილის N9-ის სარეაბილიტაციო სამუშაოები; პუშკინის N19-ის სარეაბილიტაციო სამუშაოები; ნარიყალას ციხის სარეაბილიტაციო სამუშაოები; კონსერვატორიის შენობის სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები.

ისტორიული სადარბაზოების რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ღვინის აღმართის ისტორიული სადარბაზოს რეაბილიტაცია.

მუზეუმების რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში გრძელდება ილიას მუზეუმის (ჯავახიშვილის N7) სარეაბილიტაციო სამუშაოები.

სარეკრეაციო ზონების რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში დასრულდა ლისის ტბის შემოვლითი გზის მოწყობის სამუშაოები და რიყის პარკის ტერიტორიაზე ავტოსადგომის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: აღდგენილი და გამაგრებული ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და სხვა საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რაოდენობა. საინჟინრო - სარეაბილიტაციო პროექტების რაოდენობა. ქალაქანვითარებითი პოტენციალის გამოსავლენად ჩატარებული კვლევების რაოდენობა. ოჯახების რაოდენობა, რომელთაც გაუუმჯობესდათ საცხოვრებელი და საბინაო პირობები. დასაქმებული მოქალაქეების რაოდენობა, რომლებიც ჩაერთვებიან სამშენებლო, ტურისტულ და კომერციულ დარგებში.

02 11 2015 წლის 13-14 ივნისს ძლიერი წვიმის შედეგად გამოწვეული სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური; საფინანსო საქალაქო სამსახური; ვაკის რაიონის გამგეობა.

2017 წლის გეგმა 4,146.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 3,616.4 ათასი ლარით. რაც გეგმის 87%-ია.

დასახული საბოლოო შედეგები: სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების რეაბილიტირება და დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობების შექმნა

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული საბოლოო შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია 2015 წლის 13-14 ივნისს თბილისში მოხდარი ძლიერი წვიმით გამოწვეული სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება, მათ შორის:


კეთილმოწყობის სამსახურის მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეულია სტიქიის შედეგად ბაგების ელ.სადგურის ტერიტორიაზე დაზიანებული სანიაღვრე კოლექტორის აღდგენის სამუშაოები და ასევე დაფინანსებულია ძოწენიძის ქუჩაზე სანიაღვრე კოლექტორის შეკეთება (სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფისათვის ღირებულებიდან დაკავებული 2,5%-ის დაფარვა).


საფინანსო სამსახურის მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეულია სტიქიის შედეგად დაზიანებული ავტომობილების მესაკუთრეებისათვის (5 კაცი) მიყენებული ზიანის ანაზღაურების ხარჯები 16.3 ათასი ლარის ოდენობით.


სტიქიის შედეგად დაზარალებული 8 ოჯახისაგან გამოსყიდული იქნა მათ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება და გაიცა ფულადი სახსრები მათი საცხოვრისით უზრუნველყოფის მიზნით, 2,304.3 ათასი ლარის ოდენობით.

ვაკის რაიონის გამგეობის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელდა და დაფინანსდა შემდეგი სახის ღონისძიებები: 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ 3 ოჯახზე, საოჯახო ნივთების შესაძენად, გაიცა ერთჯერადი ფინანსური დახმარება 27.2 ათასი ლარის ოდენობით; 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიით დაზიანებული სახლების სარემონტო სამუშაოებზე (49 მისამართი) დაიხარჯა 1,266.0 ათასი ლარი.(მათ შორის 1 მისამართი დაფინანსდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან 10.3 ათასი ლარით)

❖ **ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება**







03 01 გამწვანების ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური

2017 წლის გეგმა 13,397.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 11,996.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 89.5%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: დედაქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის და მოსახლეობის დასვენების პირობების გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში სისტემატიურად ხორციელდებოდა: არსებული მწვანე ზოლების, ბაღ-პარკების მოვლა-პატრონობა (აგრო-ტექნიკური ღონისძიებები), თბილისში 56 ერთეული სასმელი სოკოს მოვლა–პატრონობა, ხე-ბუჩქების ფორმირება, გამწვანებული ტერიტორიების შევსება ნერგებით;

სხვადასხვა სკვერების და გამწვანებული ტერიტორიების აღდგენითი სამუშაოები, კერძოდ აღდგენილია: კ. ხეთაგუროვის სახ. არსებული სკვერი, ვაზის უბანის დასახლებაში N90 სკოლის წინ არსებული სკვერი, ტექსელის სკვერი, დ.აბაშიძის სკვერი, კრწანისის N7 მიმდებარე სკვერი, ინსბრუკის სახელობის სკვერი, ბუკიას სახელობის ბაღი, კრწანისის N12 მიმდებარედ არსებული სკვერი, ჯ.კახიძის სახ. სკვერი, ევროპის მოედანი (ფურნიტურის აღდგენა), N164 სკოლის მიმდებარე სკვერი, გლდანის IV კვ 112 კორპუსის მიმდებარე სკვერი, ნუცუბიძის ქუჩაზე N179 კორპუსის მიმდებარედ არსებული სკვერი, ვაზისუბნის დასახლების 1-3 კორპუსის მიმდებარე სკვერი, შ. პეტეფის ქ. 36-ის პირდაპირ არსებული სკვერის აღდგენა, ვაზისუბნის 3 მ/რ 1 და მე-2 კვარტლებს შორის არსებული სკვერის აღდგენა, ბერი სალოსის ქ. 1/3 მიმდებარედ არსებული სკვერის რეაბილიტაცია, სარაჯიშვილის N6 ის მიმდებარედ არსებული სკვერის რეაბილიტაცია, ისნის რაიონში საცურაო აუზი „ოლიმპიკის“ მიმდებარე სკვერის მოწყობა, დიღომში მე-3 კვარტალში 34 კორპუსის მიმდებარედ არსებული სკვერი. მოეწყო ცირკის მიმდებარედ არსებული სკვერი და ი.ჭავჭავაზის N83 მიმდებარეს არსებული სკვერი.

ქ. თბილისში განხორციელდა: სხვადასხვა სახეობის თბილი და ცივი სეზონის 1 300 000 ერთეული ყვავილების შესყიდვა და დარგვა, სხვადასხვა სახეობის დეკორატიული ბუჩქოვანი 10 586 ერთეული მცენარის შესყიდვა-დარგვა,

სხვადასხვა სახეობის 20 000 ერთეული ხე–მცენარის რგვის ღონისძიებები და დარგული ნერგების მოვლა-პატრონობა. დ. გურამიშვილის გამზირზე 18 190 ერთეული დეკორატიული მცენარით დენდროლოგიის რეაბილიტაცია, მ. გელოვანის გამზირზე 630 ერთეული დეკორატიული მცენარით დენდროლოგიის რეაბილიტაცია.

ქ. თბილისში და მის შემოგარენში განხორციელდა არსებული ნარგავების ფიტოსანიტარული გამოკვლევა, მავნებელ დაავადებათა შესწავლა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების შემუშავება, მავნებელ დაავადებათა წინაღმდეგ ბრძოლის პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება, ხეების სხვლა-ფორმირება, ზეხმელი და ავარიული ხეების მოჭრა-დამუშავება და გატანა.

განხორციელდა ტოპო გადაღებების ჩატარების საშუალებით სხვადასხვა ობიექტებზე სტრუქტურა დარღვეული ნიადაგის გატანის რაოდენობის დადგენა, მიწოდებული ნოყიერი და ყამირი ნიადაგის რაოდენობების (მ3–ში) დადგენა და სხვადასხვა ტერიტორიაზე მწვანე თარგებიდან სტრუქტურა დარღვეული ნიადაგის ფენის მოშორება და მისი 6 492 მ3 ნოყიერი და ყამირი ფენით შევსება. ქალაქის გამწვანებულ ტერიტორიაზე განხორციელდა 40 000მ2 ფართობზე ჰიდროთესვა და 15 000 მ2 მწვანე გაზონის (რულონი) მოწყობის მომსახურება. შეძენილი და დამონტაჟებული იქნა 780 ერთეული საბაღე ფურნიტურა. განხირციელდა გამწვანებული ზოლების სარწყავი სისტემის აღდგენა რეკონსტრუქცია.

ქ. თბილისის ტერიტორიაზე სხვადასხვა ბაღის, სკვერის და გამწვანებული ტერიტორიის მოწყობის საპროექტო სამუშაოები: ვარკეთილის 3, 3ა მ/რ-ში N325 კორპუსის მიმდებარედ არსებულის სკვერის აღდგენა-მოწყობის საპროექტო სამუშაოები, ვაზისუბნის დასახლების N8-ის მიმდებარედ არსებულის სკვერის აღდგენა-მოწყობის საპროექტო სამუშაოები, ვაჟა-ფშაველას გამზირზე არსებული გელოვანის სახ. სკვერის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა.

სხვადასხვა სკვერების და გამწვანებული ტერიტორიის მოწყობა-აღდგენითი სამუშაოები: გ. სააკაძის სახელობის მოედნის ცენტრალური გამწვანებული ტერიტორიის აღდგენა-მოწყობის სამუშაოები, ვაჟა-ფშაველას გამზ. 71-ის წინ

არსებული ოვალური გამწვანებული გამყოფის ზოლის აღდგენა-მოწყობის სამუშაოები, ვაჟა-ფშაველას გამზირზე არსებული ხეივნის (სკვერის) რეკონსტრუქციის სამუშაოები, გლდანის გამგეობის წინ არსებული არსებული გამწვანებულ ტერიტორიის აღდგენა-მოწყობა,

ბარათაშვილის ქუჩაზე არსებული გამწვანებულ ტერიტორიაზე დეკორატიული თარგების აღდგენა-მოწყობა, ვაზისუბნის დასახლების N#8-ის მიმდებარედ არსებული სკვერის აღდგენა-მოწყობის სამუშაოები, ვაჟა-ფშაველას გამზირზე არსებული სკვერისთვის (ხეივნის) დეკორატიული ღობეების მოწყობის სამუშაოები. სათამაშო ატრაქციონების შეძენა-მონტაჟი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: დარგული სხვადახვა ჯიშის ხე–მცენარეების რაოდენობა - 20000 ც. ნერგი; დროულად ჩატარებული, მავნებელ დაავადებათა გამოკვლევა და შემდგომ მათი პროფილაქტიკური წამლობა; აღდგენილი და მოწყობილი სარეკრეაციო ზონა; აღდგენილია და მოწყობილია თბილისის ტერიტორიაზე არსებული დაზიანებული ფურნიტურა და სარწყავი–ქსელები.

03 02 დასუფთავების ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური

2017 წლის გეგმა 61,115.7 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: დედაქალაქში სანიტარული წესრიგის შენარჩუნება, ეპიდემიური დაავადებების გავრცელების თავიდან აცილება, ქუჩებისა და მოედნების დაგვა-დასუფთავება და ნარჩენებისაგან გაწმენდა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ჩატარდა შემდეგი სამუშაოები: მყარი და დიდი ზომის ნარჩენების გაუვნებელყოფისა და უტილიზაციის სამუშაოები; ქუჩების დაგვა-დასუფთავების სამუშაოები; დაგვა - დასუფთავებისას შეგროვებული ნარჩენების ნაგავსაყრელამდე ტრანსპორტირების ღონისძიებები; ნაგავსაყრელ პოლიგონზე ნარჩენების განთავსების სამუშაოები. საანგარიშო პერიოდში ხორციელდებოდა 12 156 833 კვ.მ ქუჩების და მოედნების ყოველთვიური დაგვა დასუფთავების სამუშაოები; 5 231 924 კვ.მ შიდა

კვარტალური ქუჩებისა და ეზოების დასუფთავების სამუშაოები; 3 601 896 კვ.მ სკვერების ტერიტორიის დასუფთავება; 2 001 200 კვ.მ ხევებისა და ფერდობების დასუფთავება. გარდა ამისა, განხორციელდა შპს „თბილსერვისის“ კაპიტალის ზრდა ქ.თბილისის მყარი ნარჩენების პოლიგონის მესამე უჯრედის მშენებლობის დასაწყებად (800.0 ათასი ლარი) და სხვადასხვა ზომის ნაგავშემკრები კონტეინერების შესაძენად (600.8 ათასი ლარი).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: დასუფთავებულ იქნა 22 991 853 კვ.მ ტერიტორიის ფართობი.

03 03 თბილისის ზოოლოგიური პარკის და ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 4,608.9 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 4,588.7 ათასი ლარის 99.6%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

03 03 01 თბილისის ზოოლოგიური პარკის განვითარების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ თბილისის ზოოლოგიური პარკი

2017 წლის გეგმა 3,184.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 3,165.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.4%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ქალაქში შეიქმნება ყველა სოციალური ფენისათვის ხელმისაწვდომი დასვენებისა და გართობის ადგილი; ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობაზე დადებითი ზეგავლენა, ვინაიდან ზოოპარკის ტერიტორიაზე ხდება როგორც უკვე არსებული მცენარეულობის მოვლა, აგრეთვე ახალი ხე-მცენარეების დარგვა; საერთაშორისო სტანდარტის ზოოპარკის შექმნა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულ იქნა თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების, ჯანმრთელობის დაზღვევის, პარკში დაცული ცხოველების კვების, კომუნალური გადასახადების, საკომუნიკაციო მომსახურეობის, სამეურნეო საქონელის (მარაგები), საკანცელარიო საქონელის, აუდიტორული მომსახურების, ქონების შეძენის, საოფისე ტექნიკის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის და მიმდინარე შეკეთების ხარჯები, მოსაკრებლის, გადასახადების, შენობა-ნაგებობის და მათი მიმდებარე ტერიტორიის მიმდინარე

რემონტის, კულტურული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიების, ვეტერინალური სამედიცინო მომსახურების, ევროპული ზოოპარკებისა და აკვარიუმების ასოციაციის (EAZA) საწევრო გადასახადი, პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული და სხვა ხარჯები. გარდა ამისა, საკუთარი სახსრებიდან გაწეული იქნა 805.0 ათასი ლარი შემდეგი ღონისძიებებზე: მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება (დანამატი, პრემია), შენობა-ნაგებობების დაცვის ხარჯი, მობილური ტელეფონის ხარჯი, ინტერნეტმომსახურეობა, მოსაკრებლის, დღგ-ს, მოგების, ქონების, მიწის გადასახადის ხაჯრები, კომპიუტერული პროგრამების განახლების ხარჯები, მივლინების ხარჯები, შენობა-ნაგებობის და მათი მიმდებარე ტერიტორიის მიმდინარე რემონტის ხარჯები, ტრანსპორტის დაქირავების (გადაზიდვა-გადაყვანის) ხარჯი, ზოოპარკის ბალანსზე არსებული მანქანების საწვავის ხარჯი, მანქანების მიმდინარე რემონტის, სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯი, სამეურნეო საქონელის ხარჯი, სამედიცინო ხარჯი, წარმომადგენლობითი ხარჯი, საოფისე ტექნიკის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის ხარჯი, სხვა შენობა-ნაგებობები (ვოლიერების მშენებლობა), ქონების შეძენა, სატრანსპორტო საშუალების დაზღვევის ხარჯი, პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯი, სხვა მანქანა-დანადგარების, ინვენტარის და სხვადასხვა ხარჯები. საბოლოოდ განხორციელდა წყალდიდობის შედეგად მიყენებული ზიანის ლიკვიდაცია; მომზადდა ახალი ვოლიერების პროექტები, რომლის მიხედვითაც ახალი ზოოპარკის ტერიტორიაზე (თბილისის ზღვის მიმდებარედ) აშენდა ახალი ვოლიერები და მოეწყო ბავშვთა გასართობ-შემეცნებითი მოედანი; სასწავლო ცენტრში გაიზარდა სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისა და მოსწავლეთა რაოდენობა. ვიზიტორთა რაოდენობამ 2017 წლის განმავლობაში შეადგინა 265 033 ვიზიტორი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 83 355 ვიზიტორით მეტია (2016 წლის ვიზიტორთა რაოდენობა 181 678) ანუ 45.9%-ით მეტია წინა წლის შედეგებზე.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: ზოოლოგიურ პარკში ვიზიტორთა რაოდენობამ შეადგინა 265 033. ;

03 03 02 ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი

2017 წლის გეგმა 1,424.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,423.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ბოტანიკური ბაღის მცენარეთა ცოცხალი კოლექციების მოვლა-გამდიდრება; ფლორის ენდემური და იშვიათი სახეობების, აგრეთვე ეკონომიკური მცენარეების (სამკურნალო, დეკორატიული, საკვები, ეთერ-ზეთოვანი, საღებავი, მთრიმლავი და სხვ.) კოლექციათა შევსება; ბოტანიკური ბაღის აღდგენილი და გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა; ხელმისაწვდომი დასვენებისა და გართობის ადგილი; ბოტანიკური ბაღის ცნობადობის გაზრდა და ეკოსაგანმანათლებლო როლის ზრდა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა: ბოტანიკური ბაღის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება (ხელფასები, დანამატები) და სოციალური დახმარება (ბიულეტინი), გადახდილია ბაღის ფუნქციონირებისთვის კომუნალური მომსახურების ხარჯები (ელ. ენერგია, ბუნებრივი აირი, წყალი, დასუფთავება) გაწეულია კავშირგაბმულობის ხარჯები (სატელეფონო ხარჯი, ინტერნეტმომსახურება) გაწეულია სატრანსპორტო საშუალებების მიმდინარე რემონტის, დაზღვევის და ექსპლოატაციის ხარჯი, ბაღის ტერიტორიაზე შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტების ხარჯი, პოლიგრაფიული, ბეჭვდითი, განცხადების განთავსების და მსგავსი ხარჯები, სალარო აპარატების მომსახურების ხარჯი, გაწეულია სამეურნეო საყოფაცხოვრებო და საკანცელარიო საქონლის/მომსახურების ხარჯი, საწვავის ხარჯი, საფოსტო/საკურიერო მომსახურების ხარჯი, ბაღისთვის სხვადასხვა ინვენტარის შეძენის, მონტაჟის, მოწყობის და განახლების ხარჯი, შეძენილია კომპიუტერული ტექნიკა და აქსესუარები, გაწეულია ბუღალტრული პროგრამის შეძენის ხარჯი, ბაღისთვის შეძენილია სამეცნიერო ხასიათის ჟურნალ გაზეთები, გაწეულია ლაბორატორიული ოთახის მოწყობასთან დაკავშირებული ხარჯი, ბაღის ტერიტორიაზე შენობა-ნაგებობების კაპიტალური რემონტის ხარჯი, მცენარეების,


მცენარეთა თესლების, ბოლქვების, მცენარეთა დაცვის საშუალებების და მსგავსის შეძენის ხარჯი, სამივლინებო ხარჯები, გრძელვადიანი სტარატეგიული განვითარების გეგმასთან და სხვა სამუშაო შეხვედრებთან დაკავშირებული ხარჯები, ტექნიკის, ტექნიკური ხელსაწყოების შეძენა/ხარჯი, შეძენილია ლაბორატორიული მოწყობილობები, გაწეულია ბაღის ტერიტორიაზე ნაკვეთის შემოღობვის სამუშაოების ხარჯი, დაცვის სიგნალიზაციის მომსახურების ხარჯი, შეძენილია ოფისის სხვადასხვა ინვენტარი, ტექნიკის და მანქანა-დანადგარების მიმდინარე რემონტის ხარჯი, ორგანიზაციისთვის შეძენილია მსუბუქი ავტომობილი, სათვალთვალო სისტემის მოწყობის მიზნით დამონტაჟდა კამერები, გაწეულ იქნა საკანალიზაციო სისტემის მოწყობა/განახლების ხარჯი, რეკლამის ხარჯი, სხვადასხავა კაპიტალური, საამშენებლო/მოწყობითი და განახლების, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების ხარჯი, სხვადასხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ხარჯი. გარდა ამისა, საკუთარი სახსრებიდან 2017 წელს გაწეულია 1,112.5 ათასი ლარი შემდეგ ღონისძიებებზე: გაცემულია ბოტანიკური ბაღის თანამშრომელთა ხელფასები (თანამდებობრივი სარგო, დანამატი, შტატგარეშე თანამშრომელთა ხელფასები და დანამატები), სოციალური დახმარება, სამივლინებო ხარჯები, კავშირგაბმულობის ხარჯები, სანოტარო და მთარგმნელობითი მომსახურების ხარჯები, სატრანსპორტო საშუალებების მიმდინარე რემონტის, დაზღვევის და ექსპლოატაციის ხარჯები, ფოტოგრაფიული მომსახურების ხარჯები, კომპიუტერული ტექნიკის და აქსესუარების შეძენის ხარჯი, სამეურნეო საყოფაცხოვრებო და საკანცელარიო საქონლის/მომსახურების შეძენის ხარჯი, მცენარეების, მცენარეთა თესლების, ბოლქვების, მცენარეთა დაცვის საშუალებების და მსგავსის შეძენის ხარჯები, შეძენილია ოფისისთვის სხვადასხვა ინვენტარი, გაწეულია პოლიგრაფიული, ბეჭდითი, განცხადების და მსგავსი ხარჯები, ბაღის ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯი, საბიუჯეტო გადასახადის ხარჯი, ტენდერში მონაწილეობის ხარჯი, ტრანსპორტის დაქირავების ხარჯი, საწვავის ხარჯი, სალარო აპარატების მომსახურების ხარჯი, დაცვის სიგნალიზაციის მომსახურების ხარჯი, სარეკლამო ხარჯები, ბანკის მომსახურების

ხარჯი, გრძელვადიანი სტარატეგიული განვითარების გეგმასთან და სხვა სამუშაო შეხვედრებთან დაკავშირებული ხარჯები, ლაბორატორიული ოთახის მოწყობასთან დაკავშირებული ხარჯი, სოციოლოგიურ კვლევასთან დაკავშირებული ხარჯი, ფიტოსანიტარული სერტიფიკატის და სხვა სანებართვო მოსაკრებლების ხარჯი, მომზადდა ნაგავსაყრელის რეაბილიტაციის პროექტი და ხარჯთაღრიცხვა, გაწეულია გათბობის სისტების ზედამხედველობის ხარჯი, სახანძრო სისტემის გამართვის ხარჯი, შენობა ნაგებობების კაპიტალური რემონტის ხარჯი, ბოტანიკური ბაღების კონსერვაციის საერთაშორისო საბჭო''-ში (BGCI) საწევროს ხარჯი, აღსრულების ბიუროს მიერ დაკისრებული გადასახდელის ხარჯი, ბაღის ტოფოგრაფიული რუკის დამზადების ხარჯი, კომპიტერული ტექნიკის შეძენის ხარჯი, საექსპერტო/საშემფასებლო მომახურების ხარჯი, შეძენილია ღვაწლმოსილ თანამშრომელთათვის ჯილდოს სახით გადასაცემად ნივთები, გაწეულია წარმომადგენლობითი ხარჯი, დეზინფექციის, მედიკამენტების, სამედიცინო და მსგავსი ხარჯები, კომუნალური ხარჯები, ტექნიკის, ტექნიკური ხელსაწყოების შეძენის ხარჯი, ტექნიკის და მანქანა-დანადგარების მიმდინარე რემონტის ხარჯი. ვიზიტორთა რაოდენობამ 2017 წლის განმავლობაში შეადგინა 260 721, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (196 432) შედარებით 41775-ით მეტი ანუ 32.7%-ით მეტია წინა წლის შედეგებზე.


მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: ვიზიტორთა რაოდენობამ ბოტანიკურ ბაღში შეადგინა 260 721.

❖ ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა


ათასი ლარი



ათასი ლარი



	დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა	ინოვაციების და ტექნოლოგიების განვითარება	თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში	ბიზნესის სტიმულირება	თბილისი-ტურისტულად მიმზიდველი ქალაქი	ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია	მერიის სისტემის საქმიანობის ხელშეწყობა	თბილისის მეწარმეობის ხელშეწყობის ცენტრი	თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები
2015 წლის ფაქტი	894,3	2 898,9	131,9	3 153,6	318,4	74,9	161,9	1 291,7	3,5
2016 წლის ფაქტი	1 899,8	325,3	420,7	7,7	52,3	533,5	265,1	298,7	17,8
2017 წლის ფაქტი	453,3	248,0	425,1	65,6	39,9	6,4	39,7	0,0	0,0



04 01 ბიზნესის სტიმულირება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური

2017 წლის გეგმა 76.6 ათასი ლარი დაფინანდა 65.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 86%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ახალი საწარმოებისა და ბიზნეს ერთეულების წარმოქმნა და ან სწრაფი განვითარება; ახალი სამუშაო ადგილების შექმნა; დამწყები და არსებული მეწარმეების ხელსაყრელი ბიზნეს გარემოს შექმნა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ტურიზმისა და მასპინძლობის ფორუმი. ასევე, შეძენილ იქნა თბილისის ტერიტორიაზე მოსახლეობისათვის საკვირაო ბაზრობების მოსაწყობად საჭირო მოწყობილობები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: 11 სოც. მეწარმის და 63 ტრადიციული რეწვის ოსტატის წარმოებული საქონლისა და მომსახურების პოპულარიზაციის და პროდუქციის რეალიზაციის მხარდაჭერა. „სტარტ აპ საქართველოს“ ფარგლებში განხორციელებული საკვირაო ბაზრობების გამართვისათვის ტექნიკური და ინვენტარით მხარდაჭერა

04 04 თბილისი – საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური

2017 წლის გეგმა 425.3 ათასი ლარი, დაფინანსდა 425.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: თბილისის ამაღლებული რეპუტაცია/ცნობადობა საზღვარგარეთ; არსებულ და ახალ პარტნიორებთან ერთად განხორციელებული/შემუშავებული ღონისძიებები/ პროექტები/ რეკომენდაციები; ადგილობრივად ორგანიზებული ღონისძიებები: ქალაქებისა და რეგიონების ევროპული კვირეული "ღია დღეების" ფარგლებში, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების საერთაშორისო ფორუმი; სამუშაო შეხვედრა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების შესახებ; სამუშაო შეხვედრები დონორ ორგანიზაციებთან; "მერების შეთანხმების" ფარგლებში, ევროკავშირის მიერ დადგენილ ვადებში ჩატარებული ენერგეტიკის დღეები, განხორციელებული ენერგოეფექტური პროექტები და მერების შეთანხმების ყოველწლიურ კონფერენციაში თბილისის წარმოჩენა და შესაბამისი წარმომადგენლობის უზრუნველყოფა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გადახდილი იქნა „ევროპის მთავარი ქალაქთა ქსელის“ და „ენერგოქალაქების ასოციაციაში“ გაწევრიანების საწევრო გადასახადი; გარდა ამისა, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს: ქ.დუბაიში ყოველწლიურ საინვესტიციო ფორუმის მუშაობაში; ქ.ხარკოვში საერთაშორისო ტურისტულ ფორუმში - „ხარკოვი: პარტნიორობა ტურიზმში“; ქ.სტოკჰოლმში „EUROCITIES“ ქალაქთა ქსელის სამუშაო ჯგუფის შუალედურ ღონისძიებაში; ქ.შტუტგარდში “Energycities“ ქალაქთა ქსელის ყოველწლიურ კონფერენციაში, ასევე მდგრადი ენერგეტიკის კვირეულის ფარგლებში ჩატარებულ ღონისძიებებში; ქ.გორში საერთაშორისო ფორუმში - „ფონდების მოძიების სტრატეგია“; ქ.ათენში საქართველო-საბერძნეთის ორმხრივ ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ თანამშრომლობის ერთობლივ მთავრობათაშორის კომიტეტის მე-3 სხდომის მიმდინარეობაში; ქ.პრაღაში საქართველო-ჩეხეთის ორმხრივ ეკონომიკურ და

ტექნოლოგიურ თანამშრომლობის ერთობლივ მთავრობათაშორის კომიტეტის მე-3 სხდომის მიმდინარეობაში; ქ.პაიანგში გაეროს განვითარების პროგრამის წარმომადგენლობის (UNDP) მიერ დაგეგმილ აზიის ფორუმში; ქ.ბარსელონაში „EUROCITIES“ ქალაქთა ქსელის ფარგლებში „Local events with global impacts:Cities strengthening their international creative position through world-class cultural events and facilities” სამუშო შეხვედრაში; ქ.ტოკიოში აზიის განვითარების ბანკში „მდგრადი განვითარებისა და კლიმატური ცვლილებების თემაზე აზიის ლიდერობის პროგრამაში; ქ.ასტანაში “ASTANA EQSPRO-2017”-ის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში; ქ.ლონდონში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ორგანიზებით მუნიციპალური ტრანსპორტის გაუმჯობესების მიზნით სამუშაო შეხვედრაში; ქ.რეგენში (გერმანია) კონფერენციაში „ადგილობრივი ეკონომიკის ხელშეწყობა“; ქ.ატლანტაში „2017 ატლანტა საერთაშორისო ბიზნეს განვითარების სამიტი“-ში; ქ.ლუბლიანაში ლუბლიანას მუნიციპალიტეტისა და „GOFORSIGHT”-ის მიერ ორგანიზებულ ფორუმში „კეთილდღეობის ქალაქი-მომავლის ქალაქი“; პროექტის "Who is the Mole" განხორციელება. ჩატარდა კონფერენცია "ქალის როლი ეკონომიკის ზრდასა და რეფორმების შემუშავებაში"; „მდგრადი ენერგეტიკის დღეები 2017“; „ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მე-10 საერთაშორისო ფორუმი“; „ევროსითი“-ს ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიება. ტურისტული ფორუმი „ხარკოვი: პარტნიორობა ტურიზმში; „მოვლენათა და სპორტული ტურიზმის საერთაშორისო კონფერენცია sportsway tourism”; სომელიეთა ღონისძიება - „ქართული ღვინის ეროვნული კონკურსი", გამარჯვებული ღვინოების დაჯილდოების ცერემონია; გარდა ამისა, მარშალ-გელოვანის გამზირზე განთავსდა საინფორმაციო-სარეკლამო ბანერი და შემენილ იქნა საინფორმაციო ბროშურა “Travel advice on City secrets” და ტურისტული გზამკვლევი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: თბილისის საინვესტიციო პოტენციალით დაინტერესებული ყაზახი ინვესტორები, რომელთა მეშვეობით მოხდება ინფორმაციის ფართოდ გავრცელება, როგორც ყაზახეთში, ისე მეზობელ სხვა ქვეყნებში; აღმოსავლეთ პარტნიორობის ქალაქებთან ახალი

ტურისტული და ინოვაციური პროექტების განვითარება; რამდენიმე ადგილობრივ ენერგო კომპანიასთან თანამშრომლობით ახალი პროექტები თბილისის, როგორც ფილმების გადასაღებად საუკეთესო ლოკაცია დაინტერესებული ევროპელი და ამერიკელი პარტნიორები, რომელთანაც დაიგეგმება და განხორციელდება ახალი პროექტები; „ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მე-10 საერთაშორისო ფორუმის“ შედეგად მოხდა თბილისის ცნობადობის ამაღლება და გამოვლინდა ახალი საერთაშორისო დონის პარტნიორები, რომელთან თანამშრომლობით ჩატარდება 2018 წლის „ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მე-11 საერთაშორისო ფორუმი“.

04 07 მერიის სისტემის საქმიანობის ხელშეწყობა დაფინანსებულია 39.7 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 93.6 ათასი ლარის 42%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

04 07 02 შიდა აუდიტორული სისტემის გამართვა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახური

2017 წლის გეგმა 16.3 ათასი ლარი, დაფინანსდა 11.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 71%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მერიის სისტემაში შემავალი სტრუქტურული ერთეულების გამართული და ეფექტური ფუნქციონირება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია მივლინების ხარჯები ქალაქ ვარშავაში და ქალაქ ზაარბრუკენში, საკონსულტაციო შეხვედრებზე გამოცდილების გაზიარების მიზნით. ასევე, შპს ,,ხარისხის ლაბორატორია - LLC Quality Lab”-სა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურს შორის გაფორმებული N04.07.02/10/573 30.11.2017 ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელდა ლაბორატორიული მომსახურება - სახეობრივი კვლევა ცხენისა და ვირის ხორცის იდენტიფიკაციაზე.

04 07 03 სახელმწიფო შესყიდვების სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის მომსახურება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური

2017 წლის გეგმა 10.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 1.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 11%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: სახელმწიფო შესყიდვებისათვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის მაქსიმალური სიზუსტე და ობიექტურობა; თბილისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების გამჭვირვალობა და საბიუჯეტო ასიგნებების დაგეგმვის ეფექტიანობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებისათვის (ადმინისტრაცია და საქალაქო სამსახურები), სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიზნით შესასყიდი საქონლის, მომსახურების და სამუშაოს სავარაუდო ღირებულების დადგენის ხარჯები, კერძოდ, 500 000 ლარს ზემოთ ღირებულების 1 ობიექტზე.

დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტება: თანხების აუთვისებლობა განპირობებულია შესასყიდი საქონლის, მომსახურების და სამუშაოს სავარაუდო ღირებულების დადგენის მომსახურებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების მხრიდან, შესყიდვების საქალაქო სამსახურში სავარაუდო ღირებულების დადგენაზე 1 მოთხოვნაზე მეტი არ წარდგენილა.

04 07 05 საფინანსო სისტემის მოწესრიგების ღონისძებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: საფინანსო საქალაქო სამსახური

2017 წლის გეგმა 67.3 ათასი ლარი, დაფინანსდა 27.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 40%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დაქვემდებარებულ სსიპ-ებში და ა(ა)იპ-ებში ბუღალტრული აღრიცხვა-

ანგარიშგების და ბალანსის წარმოების სრულყოფის, კანონმდებლობასთან შესაბამისობის და ხარისხობრივი მაჩვენებლების ამაღლება; ქალაქ თბილისის მუნიციაპლიტეტის მერიის საფინანსო სისტემაში მერიის მიერ დაფუძნებული ორგანიზაციების ეფექტური ინტეგრირება და ადეკვატური პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გადახდილ იქნა ა(ა)იპ „საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციაში“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საწევრო შენატანი. ასევე, შესყიდულ იქნა ახალი, ადგილობრივ ბიუჯეტზე მორგებული ბუღალტრული პროგრამული უზრუნველყოფა (ინსტალაცია და ლიცენზია).

დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტება: ასიგნებების აუთვისებლობა განპირობებულია იმ მიზეზით, რომ ქვეპროგრამის ფარგლებში გამოცხადებული იყო მრავალწლიანი ტენდერი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დაფუძნებული სსიპ-ებისა და ა(ა)იპ-ების ბალანსების შემოწმებისათვის, რომლის თანახმადაც თანხის ნაწილის - 30%-ის ათვისება, გაწეული მომსახურების შესაბამისად, უნდა მომხდარიყო 2017 წელს. მიღება-ჩაბარების დოკუმენტები წარმოდგენილი იქნა დეკემბრის ბოლოს და თანხის გადარიცხვა 2017 წელს ვერ განხორციელდა.

04 08 თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური

2017 წლის გეგმა 39.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: ქალაქის ტურისტული პოტენციალის წარმოჩენა და პოპულარიზაცია; ქალაქში არსებული ტურისტული ობიექტების შესახებ ინფორმაციის თვმოყრა და მასზე ხელმისაწვდომობის გაზრდა; ტურისტული ბიზნესების ხელშეწყობა; უცხოელ ვიზიტორთა რაოდენობისა და თბილისის ატრაქციულობის ზრდა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: შეიქმნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ორი ახალი ტურისტული რუკის დიზაინი; მიმდინარეობს თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებული ტურისტული ღირსშესანიშნაობების აღწერა და ბაზის შექმნა; თბილისის მერიამ მონაწილეობა მიიღო "ტურიზმის ეროვნული დაჯილდოების" ცერემონია "Welcome to Georgia"- ორგანიზებაში.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: შეიქმნა: 2 ტურისტული რუკა (ქართულ და ინგლისურ ენაზე); 1 მოსახევი ტიპის თბილისის ცენტრალური ნაწილის ტურისტული რუკა; 1 პანორამული რუკა 6 პანორამული ტურისტული მარშრუტით; 6 რუკა საინფორმაციო-ტურისტულ დაფაზე განსათავსებლად; განხორციელდა: 380 ტურისტული ობიექტის შესახებ ფოტო და ტექსტუალური მასალის თავმოყრა, თბილისის ტურისტული შესაძლებლობების პოპულარიზაცია; გამოვლინდა ტურიზმის სფეროში მოღვაწე წარმატებული კომპანიები.

04 09 ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური

2017 წლის გეგმა 14.2 ათასი ლარი, დაფინანსდა 6.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 45%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ინვესტორთა მომსახურების გაუმჯობესება; ინვესტორთა გაზრდილი ინფორმირებულობა თბილისის საინვესტიციო შესაძლებლობის შესახებ; მოსალოდნელია ქალაქ თბილისის ცნობადობის გაზრდა; პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის გააქტიურება; კონკრეტული საინვესტიციო პროექტების შექმნა და მათი რეალიზაცია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია მდგრადი ენერგეტიკის საინფორმაციო ცენტრის ბროშურების, კატალოგის „თბილისის

ჟურნალი“ და კონფერენციის პროგრამის შესახებ (ქართულ და ინგლისურ ენაზე) დაბეჭდვის ხარჯები; ძველი თბილისის და თბილისის ტურისტული რუკები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: დაიბეჭდა თბილისის ტურისტული რუკა 30 000 ცალი; ძველი თბილისის ტურისტული რუკა (მოსახევი ტიპის) 40 000 ცალი; კატალოგი „თბილისის ჟურნალი“ 2000 ცალი; მდგრადი ენერგეტიკის საინფორმაციო ცენტრის ბროშურები- 2100 ცალი; ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მეათე საერთაშორისო ფორუმის პროგრამა (ქართულ და ინგლისურ ენაზე) 700 ცალი.

დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტება: აუთვისებლობა გამოწვეულია იმით, რომ 2017 წლის ბოლოს ვერ მოესწრო შესრულებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება, რადგან მიღება-ჩაბარების დოკუმენტები წარმოდგენილი იქნა დეკემბრის ბოლოს.

04 10 ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური

2017 წლის გეგმა 248.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: დანერგილი ინოვაციური პროექტები და ახალი ტექნოლოგიები ქალაქის მასშტაბით; ქალაქისთვის SMART CITY სტატუსის მინიჭება; ჩატარებული კვლევების საფუძველზე განხორციელებული მასშტაბური პროექტები; ენერგოექტურობის კუთხით განხორციელებული პროექტები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში მომზადდა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის და გამგეობების ადმინისტრაციული შენობების ენერგოეფექტური რეაბილიტაციის საინჟინრო საპროექტო დოკუმენტაციის და ექსპლოატაციის პროცესში მენეჯმენტის კონცეფცია.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: მიმდინარეობს ქალაქების მონაცემების მსოფლიო საბჭოს (WCCD) მიერ თბილისის მონაცემების ვერიფიკაციის პროცესი. საპროექტოს მიხედვით

პროექტის განხორციელების შემთხვევაში მოხდება ენერგოდანახარჯების შემცირება 20 პროცენტით.

04 12 დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური

2017 წლის გეგმა 480.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 453.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 94%-ია.


დასახული შუალედური შედეგები: დედაქალაქის მდგრადი განვითარება და მოსახლეობის ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოთი უზრუნველოფა, გრძელვადიანი ქალაქმშენებლობითი სტრატეგიის განსაზღვრა და ტერიტორიების სამშენებლო განვითარების მართვის ქმედითი ინსტრუმენტის შექმნა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა: შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება, არამატერიალური ძირითადი აქტივის გენერალური გეგმის პროექტის მეოთხე ეტაპის სამუშაოების შესყიდვა.


მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ექეფტურობის შეფასება შესაძლებელია მიწისა და უძრავი ქონების, აგრეთვე ტერიტორიების ქალაქმშენებლობითი ღირებულებით, ინვესტიციების ზრდით, ქალაქების კონკურენციაში დაკავებული ადგილით. ეფექტურობის შეფასებისას გამოიყოფა 3 ასპექტი: მიწათსარგებლობითი, ქალაქმშენებლობითი, გარემოსდაცვითი.

- **ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება**


ათასი ლარი



ათასი ლარი



05 01 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 29,416.2 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 29,673.4 ათასი ლარის 99%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:



05 01 08 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა გლდანის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გლდანის რაიონის გამგეობა

2017 წლის გეგმა 2,180.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ინსტიტუტის განვითარება, მათი აქტიური ჩართულობა საერთო სარგებლობაში არსებული ქონების მოვლა-პატრონობის საქმეში, გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და კომუნალური პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: მათ შორის: 106 მისამართზე ჩატარდა 42217,2 კვ.მ ბრტყელი სახურავის რეაბილიტაციის სამუშაოები; 5 მისამართზე შეკეთდა 2600,5 კვ.მ ქანობიანი სახურავი; 33 ობიექტზე განხორციელდა კორპუსის შიდა წყალ-კანალიზაციის ქსელის რეაბილიტაცია; 48 მისამართზე განხორციელდა საერთო სარგებლობის კიბეების აღდგენის სამუშაოები; სართულშუა ნაპრალების

რეაბილიტაცია განხორციელდა 21 მისამართზე; 5 მისამართზე დამონტაჟდა სადარბაზოს სენსორული განათებები; 1 მისამართზე განხორციელდა ამხანაგობის კუთვნილი მიმდებარე ტერიტორიის წითელ ხაზებში დაფიქსირება. 12 სადარბაზოს ჩაუტარდა შიდა რემონტი (თაღების რეაბილიტაცია); გარემონტდა 42 ლიფტი; 28 მისამართზე გაკეთდა წყალსაწრეტი მილები (ჟოლობი); კაპიტალური გამაგრების პროექტის მომზადება-ექსპერტიზა გახორციელდა 1 ობიექტზე. 1 მისამართზე გაკეთდა არაუმეტეს სამსართულიანი შენობის ან/და მისი შემადგენელი ელემენტების კაპიტალური გამაგრება. 1 მისამართზე განხორციელდა შშმპ პანდუსების, სპეციალური ამწეების და ლიფტების მონტაჟი, 1 მისამართზე გაკეთდა სადარბაზოს მეტალის კარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: სამუშაოები ჩატარდა 305 მისამართზე.

05 01 09 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ნაძალადევის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ნაძალადევის რაიონის გამგეობა

2017წლის გეგმა 2,835.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 2,794.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.5%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ინსტიტუტის განვითარება, მათი აქტიური ჩართულობა საერთო სარგებლობაში არსებული ქონების მოვლა-პატრონობის საქმეში, გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და კომუნალური პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: 33 ობიექტზე 81 სადარბაზოს წყალსაწრეტი მილის შეკეთება-მონტაჟის სამუშაოები; შესრულდა 143 სადარბაზოს 38341.7კვ.მ ფართის ბრტყელი სახურავის შეკეთების სამუშაოები; 19 ობიექტზე შესრულდა 41 სადარბაზოს 11742 კვ.მ ფართის ქანობიანი სახურავის შეკეთების სამუშაოები; 47 ობიექტზე 113 სადარბაზოს შიდა წყალ-კანალიზაციის გაყვანილობის შეკეთების სამუშაოები; 4 სადარბაზოს 4 ობიექტზე ჩაუტარდა

კიბის მიმდინარე შეკეთების სამუშაოები; 36 ობიექტზე შესრულდა 36 სადარბაზოს ლიფტის მიმდინარე შეკეთების სამუშაოები; 1 ობიექტზე 2 სადარბაზოსათვის მიშენების კონსტრუქციების მდგრადობისა და სეისმომედეგობის განსაზღვრის სამუშაოები; 5 ობიექტზე 8 სადარბაზოსათვის შესრულდა სენსორული განათების მონტაჟის სამუშაოები; 1 ობიექტზე 1 სადარბაზოს შესასვლელის გაღების ვიდეო/აუდიო სისტემის სამონტაჟო სამუშაოები. 12 ობიექტზე დამონტაჟდა 29 სადარბაზოს მეტალის კარები; 12 ობიექტზე 17 სადარბაზოს ჩაუიტარდა შიდა სარემონტო სამუშაოები; 1 ობიექტზე მოეწყო 2 სადარბაზოს მიწისქვეშა ავტოსადგომი; ხარჯი გაიწია ერთ ობიექტზე სადარბაზოს ავრიულობის ხარისხის ექსპერტიზის მომსახურებაზე; დაფინანსდა 9 ობიექტზე (5 სადარბაზო და 6 იტალიური ეზო) მიმდინარე და კაპიტალური შეკეთების სამუშაოების პროექტის შედგენის მომსახურება და 2 ობიექტზე კორპუსის სართულებშორის ნაპრალების შეკეთების სამუშაოები; 3 ობიექტზე დაფინანსდა კაპიტალური გამაგრების სამუშაოები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: სამუშაოები ჩატარდა 253 მისამართზე.

05 01 10 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა დიდუბის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: დიდუბის რაიონის გამგეობა

2017 წლის გეგმა 3,098.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 3,094.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ინსტიტუტის განვითარება, მათი აქტიური ჩართულობა საერთო სარგებლობაში არსებული ქონების მოვლა-პატრონობის საქმეში, გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და კომუნალური პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში შიდა წყალ–კანალიზაციის ქსელების შეცვლა – შეკეთება შესრულდა 36

მისამართზე; მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში სადარბაზოს რემონტი შესრულდა 18 მისამართზე; ქანობიანი სახურავის შეცვლა – შეკეთება 53 მისამართზე; ბრტყელი სახურავის შეცვლა – შეკეთება 34 მისამართზე; სადარბაზოს კარების, ეზოს საერთო სარგებლობის ჭიშკრის აღდგენა შეკეთება შესრულდა 21 მისამართზე; მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში სადარბაზოების სენსორული განათება შესრულდა 4 მისამართზე; მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კაპიტალური გამაგრება შესრულდა 7 მისამართზე; მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში სახურავის წყალსაწრეტი მილების შეკეთება 49 მისამართზე; მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში სართულშუა ნაპრალების მიმდინარე შეკეთება შესრულდა 36 მისამართზე; მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში ლიფტების მიმდინარე შკეთების სამუშაოები შესრულდა 36 მისამართზე; მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში კიბეების შეკეთების მიმდინარე სამუშაოები შესრულდა 15 მისამართზე; მრავალბინიან საცხოვრებელ სახლების კაპიტალური გამაგრების არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტების მომზადება 12 მისამართზე. მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში საერთო სარგებლობის აივნების აღდგენა შეკეთება 2 მისამართზე; მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში სადარბაზოს შესასვლელის გაღების ვიდეო/აუდიო სისტემის ე.წ. „დომოფონი“ დამონტაჟდა 2 მისამართზე.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: სამუშაოები ჩატარდა 325 მისამართზე.

05 01 11 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ჩუღურეთის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჩუღურეთის რაიონის გამგეობა

2017 წლის გეგმა 3,433.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 3,419.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.6%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ინსტიტუტის განვითარება, მათი აქტიური ჩართულობა საერთო სარგებლობაში არსებული ქონების მოვლა-პატრონობის საქმეში, გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და კომუნალური პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: შეკეთდა 15 440კვ.მ ბრტყელი/ქანობიანი სახურავი 55 მისამართზე; ლიფტის შეკეთება 11 მისამართზე; შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის შეკეთება 44 მისამართზე; საცხოვრებელი სახლების სახურავების წყალსაწრეტი მილების შეკეთება 4 მისამართზე; ეზოს საერთო სარგებლობის ჭიშკრის აღდგენა და სადარბაზოს კარების დამზადება-მონტაჟი 52 მისამართზე; პანელოვან შენობებში სართულშუა ნაპრალების რეაბილიტაცია 1 მისამართზე; სადარბაზოების შიდა რემონტი 35 მისამართზე; საერთო სარგებლობის კიბეების აღდგენა 27 მისამართზე; სადარბაზოების სენსორული განათების სამუშაოები 4 მისამართზე; საცხოვრებელი კორპუსების კაპიტალური გამაგრებითი სამუშაოები 34 მისამართზე; საერთო სარგებლობის აივნების აღდგენა 14 მისამართზე, დომოფონის დამონტაჟება 1 მისამართზე. ასევე დაფინანსებულია საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: სამუშაოები ჩატარდა 282 მისამართზე; შეკეთდა 15440 კვ.მ ბრტყელი და ქანობიანი სახურავი.

05 01 12 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ვაკის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ვაკის რაიონის გამგეობა

2017 წლის გეგმა 2,758.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 2,756.9ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ინსტიტუტის განვითარება, მათი აქტიური ჩართულობა საერთო სარგებლობაში არსებული ქონების მოვლა-პატრონობის საქმეში, გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და კომუნალური პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: შეკეთდა 21923/5970 კვ.მ ბრტყელი/ქანობიანი სახურავი 60 მისამართზე; ლიფტის შეკეთება 97 მისამართზე;

შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის შეკეთება 54 მისამართზე; საცხოვრებელი სახლების სახურავების წყალსაწრეტი მილების შეკეთება 43 მისამართზე; სადარბაზოს კარების დამზადება მონტაჟი 18 მისამართზე; საერთო სარგებლობის კიბეების აღდგენა 27 მისამართზე; სადარბაზოების სენსორული განათების სამუშაოები 14 მისამართზე; პანელოვან შენობებში სართულშუა ნაპრალების რეაბილიტაცია 20 მისამართზე, სადარბაზოების შიდა რემონტი 15 მისამართზე, დომოფონის დამონტაჟება 1 მისამართზე, შენობის კაპიტალური გამაგრებითი სამუშაოები 3 მისამართზე. ასევე დაფინანსებულია საპროექტო დოკუმენტაციის შედგენისა მომსახურების ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: სამუშაოები ჩატარდა 352 მისამართზე; შეკეთდა 27893 კვ.მ ბრტყელი და ქანობიანი სახურავი.

05 01 13 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა საბურთალოს რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: საბურთალოს რაიონის გამგეობა

2017 წლის გეგმა 3,419.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 3,404.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.6%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ინსტიტუტის განვითარება, მათი აქტიური ჩართულობა საერთო სარგებლობაში არსებული ქონების მოვლა-პატრონობის საქმეში, გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და კომუნალური პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: შენობის ბრტყელი და ქანობიანი სახურავების შეკეთება 62 მისამართზე 29 336 კვ.მ; ლიფტის შეკეთება 106 მისამართზე; შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის შეკეთება 46 მისამართზე; საცხოვრებელი სახლების სახურავების წყალსაწრეტი მილების შეკეთება 20 მისამართზე; სადარბაზოს კარების დამზადება-მონტაჟი 5 მისამართზე; პანელოვან შენობებში სართულშუა ნაპრალების რეაბილიტაცია 67 მისამართზე; საერთო სარგებლობის კიბეების აღდგენა 4 მისამართზე; სადარბაზოების სენსორული

განათების სამუშაოები 1 მისამართზე; დომოფონის დამონტაჟება 1 მისამართზე, შენობის გამაგრების სამუშაოები 3 მისამართზე და საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: სამუშაოები ჩატარდა 315 მისამართზე; შეკეთდა 29 336 კვ.მ ბრტყელი და ქანობიანი სახურავი.

05 01 14 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ისნის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ისნის რაიონის გამგეობა

2017 წლის გეგმა 3,332.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 3,315.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.95%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ინსტიტუტის განვითარება, მათი აქტიური ჩართულობა საერთო სარგებლობაში არსებული ქონების მოვლა-პატრონობის საქმეში, გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და კომუნალური პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: 109 მისამართზე ქანობიანი და ბრტყელი სახურავის შეკეთების სამუშაოები, ლიფტის შეკეთების სამუშაოები 42 მისამართზე, შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის სამუშაოები 47 ობიექტზე, სახურავის წყალსაწრეტი მილების შეკეთება 47 მისამართზე, საერთო სარგებლობის ჭიშკრის აღდგენა ან/და სადარბაზოს კარებების დამზადება-მონტაჟი 14 მისამართზე, 3 მისამართზე ამხანაგობის კუთვნილი მიმდებარე ტერიტორიის დაფიქსირების სამუშაოები (წითელ ზოლებში მოქცევა), სართულშორის ნაპრალების რეაბილიტაციის სამუშაოები 36 მისამართზე, 6 ობიექტზე სადარბაზოების შიდა სარემონტო სამუშაოები, 6 მისამართზე საერთო სარგებლობის ხის, ქვის და ლითონის კიბეების აღდგენის სამუშაოები; სენსორული განათების მონტაჟი 9 მისამართზე, 6 ობიექტზე შენობის კაპიტალური გამაგრების სამუშაოები, დომოფონის მონტაჟი 1 ობიექტზე, შენობის გამაგრების არქიტექტორულ - სამშენებლო პროექტის მომზადების და პროექტის ექსპერტიზის სამუშაოები 11 ობიექტზე.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: სამუშაოები ჩატარდა 326 მისამართზე.

05 01 15 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა სამგორის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სამგორის რაიონის გამგეობა

2017 წლის გეგმა 2,644.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 2,643.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ინსტიტუტის განვითარება, მათი აქტიური ჩართულობა საერთო სარგებლობაში არსებული ქონების მოვლა-პატრონობის საქმეში, გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და კომუნალური პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა სახის სოციალური დახმარება გაეწია 13226 მოქალაქის ოჯახს. მათ შორის: სამედიცინო მომსახურებით დახმარება გაეწია 1045 მოქალაქეს; მედიკამენტებით დახმარება 5281 მოქალაქეს; უკიდურესად უმწეო და სოციალურად დაუცველ 94 ოჯახის გარდაცვლილი წევრის დაკრძალვის სარიტუალო მომსახურება; 150 ოჯახს შეშის მიწოდებაზე; 7 ოჯახს სტიქიის (ხანძრის) შედეგად დაზიანებული ქონების კომპენსაცია; სხვადასხვა საყოფაცხოვრებო საჭიროებისთვის 1514 ოჯახს გაეწია დამარება; რაიონში მცხოვრები სოციალურად დაუცველი და უმწეო 3019 ბენეფიციარისათვის აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით შეძენილი იქნა სასაჩუქრე ნობათი და 2116 ბენეციციარზე შეძენილია საახალწლო ნობათი; ასევე სარეზერვო ფონდიდან თანხა გამოიყო კოჯორში იუნკერების ქუჩა N17-ში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ბენეფიციარების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების ასანაზღაურებლად (38131 ლარი).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: მოქალაქეთა სამედიცინო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება - დახმარება გაეწია 13226 ბენეფიციარს.

06 02 20 წყალმომარგების სისტემის მოწესრიგება რაიონებში დაფინანსებულია 2,960.0 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 2,960.0 ათასი ლარის 100%) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

06 02 20 01 წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება გლდანის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გლდანის რაიონის გამგეობა

2017 წლის გეგმა 486.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 485.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მოსახლეობის კომუნალური პირობების გაუმჯობესება

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 4 ამხანაგობის თხოვნით წყალმომარაგების ქსელების მოწყობა (ამხანაგობა „ნამყენი“

- თეთრი ტბის მიმდებარე ტერიტორია; ამხანაგობა „ლომისა“ - ელექტროქვესადგურის, იგივე სამრეწველო ზონის მიმდებარე დასახლება; ამხანაგობა „ფიჭვები“ - მეგობრობის, იმერეთისა და ასათიანის ქუჩები; ამხანაგობა „მეგობრობა“ - წერეთლისა და 26 მაისის ქუჩების და მიმდებარე დასახლება).

06 02 20 02 წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება საბურთალოს რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: საბურთალოს რაიონის გამგეობა

2017 წლის გეგმა 2,474.2 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: სასმელი წყლის პრობლემის მოგვარება, გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში თანხა გადაირიცხა ორი ოჯახის მომხმარებლად მიერთებაზე, ამხანაგობების: „მარკო პოლო“ და „იმედი“ წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოებზე - 934,0 ათასი ლარი და ასევე, „ძველი ვეძისის“ წყალმომარაგების ქსელის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებაზე, ექსპერტიზაზე და ქსელის მოწყობის სამუშაოებზე გადარიცხულია 1,539,3 ათასი ლარი, მათ შორის ავანსის სახით გადარიცხულია 1,500.0 ათასი ლარი.

მიღწეული შედეგების შეფასების ინდიკატორები: პროექტების განხორციელების შედეგად წყალმომარაგების ქსელით უზრუნველყოფილი იქნება 630-მდე ოჯახი.

06 02 21 თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ "თბილისის მუნიციპალური თავშესაფარი"

2017 წლის გეგმა 1,396.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,337.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 96%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მიუსაფარი პირის თავშესაფრით დაკმაყოფილება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია მემორანდუმით გათვალისწინებული ხარჯები ა(ა)იპ „წმინდა მამა გაბრიელის სახელობის მიუსაფარ მოხუცთა პალიატიური ჰოსპისი“ - სთან 66.8 ათასი ლარის ოდენობით. ამასთან, გაწეულია ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური თავშესაფარის ფუნქციონირების ხელშეწყობის ხარჯები - 1,270.7 ათასი ლარი მათ შორის: თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება, შტატგარეშე თანამშრომლის ანაზღაურება, კომუნალური ხარჯები, კავშირგაბმულობის ხარჯები, საკანცელარიო საქონელის, მცირეფასიანი ინვენტარის შეძენის და სხვა. თავშესაფარი გათვლილია 240 ბენეფიციარზე, რეალურად მოსახურებას იღებს საშუალოდ 120 ბენეფიციარი.

06 02 22 სოციალურად დაუცველი 18 წლამდე მკვეთრად და მნიშვნელოვნად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2017 წლის გეგმა 646.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 607.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 94%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: სოციალურად დაუცველი 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მატერიალური პირობების გაუმჯობესება

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში სოციალურად დაუცველი 0-150 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე 18 წლამდე ასაკის შშმ პირისათვის, ოჯახის უფლებამოსილი პირის სახელზე ორ ეტაპად განხორციელდა ფულადი დახმარების გაცემა, თითოეულ ეტაპზე 400 ლარის ოდენობით. (მაისი - 963 შშმ ბავშვი, დეკემბერი - 540 შშმ ბავშვი). ამასთან, 16 შშმ ბავშვისათვის გადაირიცხა 2016 წლის კუთვნილი დახმარება - 6.4 ათასი ლარი.

06 02 23 „ვორლდ ვიჟენ საქართველოს“ სოციალურად დაუცველი ბავშვების დღის ცენტრის თანადაფინანსება“

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2017 წლის გეგმა 75.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება; ბავშვთა მიტოვების რისკის შემცირება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ,,ვოლდ ვიჟენ საქართველო“-ს აუნაზღაურდა შესრულებული სამუშაოს ღირებულება (ყოველთვიურად 11 x 6 520 ლარი, ხოლო აგვისტოს თვეში 4 070 ლარი), რომლის შესაბამისად 31.12.2015 წელს გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში №107-ე ბაღის ტერიტორიაზე არსებულ დღის ცენტრში ყოველთვიურად ხორციელდებოდა 25 სოციალურად დაუცველ ბავშვზე ზრუნვა.

06 02 24 სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2017 წლის გეგმა 544.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 542.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.6%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ფინანსური დახმარება გაეწია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში (ოჯახის სარეიტინგო ქულა 150 000 და ნაკლები) რეგისტრირებულ უსინათლო პირებს, თითოეულს 300 ლარის ოდენობით. (მაისი - 635 უსინათლო პირი, აგვისტო - 573 უსინათლო პირი, დეკემბერი - 572 უსინათლო პირი). ამასთან, 29 უსინათლო პირისთვის გადაირიცხა 2016 წლის კუთვნილი დახმარება - 8.7 ათასი ლარი.

06 02 25 სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2017 წლის გეგმა 405.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 404.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.7%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მრავალშვილიანი ოჯახების ხელშეწყობა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება; დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ფინანსური დახმარება გაეწია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში (ოჯახის სარეიტინგო ქულა 100 000 და ნაკლები) რეგისტრირებულ 807 ოჯახს, რომელთაც შეეძინათ ახალშობილი.

06 02 26 შინმოვლის თანადაფინანსება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2017 წლის გეგმა 385.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 379.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.5%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: თბილისში შინმოვლის პაციენტების მდგომარეობის გაუმჯობესება, მათი დამოუკიდებლობის და დაკარგული უნარ–ჩვევების შენარჩუნება–აღდგენა; ფსიქო–სოციალური დახმარება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში პარტნიორი ორგანიზაციების მიერ ხორციელდებოდა ,,სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მონაცემთა ერთიან ბაზაში“ 200 000 და ქვევით სარეიტინგო ქულით რეგისტრირებული თბილისში მცხოვრები ოჯახებისათვის მარტოხელა, საწოლსმიჯაჭვული პირების (ბართელის უძლურების შეფასების ინდექსი ≤95) დახმარება - შინმოვლა. განმახორციელებლის მიერ წარმოდგენილი წერილობითი

ანგარიშის საფუძველზე ანაზღაურებული იქნა შესრულებული სამუშაოს ღირებულება: ,,დიაკვნის ევანგელურ ლუთერული საზოგადოებისათვის“ – 20.0 ათასი ლარი, ,,საქართველოს კარიტასისათვის“ – 84.3 ათასი ლარი, „ჩერნოვეცკის ფონდისათვის“ – 255.2 ათასი ლარი და ბენეფიციართა შემფასებელი პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებისათვის - 13.9 ათასი ლარი.

06 02 28 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური


2017 წლის გეგმა 880.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 879.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: შშმ პირებში კულტურის აქტივობების გაზრდა; შშმ პირებში ამაღლებული განათლების დონე; შშმ პირთა გაზრდილი მოტივაცია; შშმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრაცია.


საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია 3 შტატგარეშე მოსამსახურის შრომის ანაზღაურების ხარჯები. ასევე, გაწეულია: 18 წლის ასაკის ზემოთ ქალაქ თბილისში მცხოვრები შშმ პირებისათვის, რომლებიც სარგებლობენ დღის ცენტრების (10 დღის ცენტრი) მომსახურებით, მომსახურების 25% დაფინანსება; შშმ პირთა სერვისის პროვაიდერ (დღის ცენტრი) 10 ორგანიზაციასთან, მათ შორის: ა(ა)იპ თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრი, ა(ა)იპ კავშირი ია, ა(ა)იპ ასოციაცია ანიკა, ა(ა)იპ ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება; ა(ა)იპ კავშირი ადამიანები განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ, ა(ა)იპ მშობელთა ხიდი, ა(ა)იპ აისი, ა(ა)იპ საქართველოს ყრუთა კავშირი, ა(ა)იპ სმენისა და მეტყველების დარღვევის მქონე ბავშვების დახმარების ასოციაცია, ა(ა)იპ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობისა ასოციაცია; გაწეულია უსინათლოთა გამცილებლების მომსახურების (საქართველოს უსინათლოთა კავშირი), შშმ პირთათვის სხვადასხვა საჭიროებების (ინკლუზიური ტურიზმის ცენტრი-პარსა), ჟესტური ენის გადამზადების (საქართველოს ყრუთა კავშირი) და სხვა ხარჯები.

❖ განათლება


ათასი ლარი



ათასი ლარი



	სკოლამდელი განათლების სისტემის მართვა და განვითარება	ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობა	მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე	ზოგადი განათლების სისტემის ხელშეწყობა	უწყვეტი განათლების სისტემის განვითარება	პროფესიული და ზრდასრულთა განათლების განვითარების ხელშეწყობა
2015 წლის ფაქტი	84 527,6	2 811,5	1 320,3	2 824,4	1 797,8	78,2
2016 წლის ფაქტი	96 789,4	2 848,4	2 361,7	4 144,5	2 089,0	64,0
2017 წლის ფაქტი	108 888,6	2 575,3	2 107,8	5 079,2	1 909,9	161,5



07 01 სკოლამდელი განათლების სისტემის მართვა და განვითარება დაფინანსებულია 108.888.6 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 110,393.9 ათასი ლარის 98.6%-ი). მათ შორის:

07 01 02 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო

2017 წლის გეგმა 110,393.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 108,888.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.6%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: გაუმჯობესებული და უსაფრთხო სააღმზრდელო გარემო, გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა, ბაგა-ბაღებში რეგისტრირებულ აღსაზრდელთა ჭარბი რაოდენობის განტვირთვა, ბაგა-ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება და დასაქმების ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ვაუჩერული დაფინანსების სახით, გაწეულია ბაგა–ბაღების თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების, ბავშვთა კვების ხარჯები, კომუნალური და სხვა აუცილებელი ხარჯები, რისთვისაც ბიუჯეტიდან გადარიცხულია 94,275.8 ათასი ლარი.

მიმდინარე პერიოდში ბაღის მომსახურება 171 საბავშვო ბაგა-ბაღში გაეწია 61000-მდე აღსაზრდელს.

ასევე, დაფინანსებულია ა(ა)იპ ,,თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს" ფუნქციონირების ხარჯები, კერძოდ: თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება, ოფისის ხარჯები, ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები, დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარების, ძირითადი აქტივების შეძენის და სხვა ხარჯები. გარდა ამისა, განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

2016 წელს დაიწყო და 2017 წელს დამთავრდა სოფელ წინუბანში ახალი ბაღის მშენებლობა, 2017 წელს ანაზღაურებულია ბაღის მშენებლობის ღირებულება 724.0 ათასი ლარი;

2017 წელს დამთავრდა ახალი ბაღების მშენებლობები: ვაშლიჯვარი ზონა 2-ში, ანაზღაურებულია 1,242.5 ათასი ლარი; ჩიტაიას ქუჩაზე - ანაზღაურებულია 898.4 ათასი ლარი; პეკინის ქუჩაზე - ანაზღაურებულია - 895.1 ათასი ლარი; ურეკის ქუჩაზე - ანაზღაურებულია - 1,088.1 ათასი ლარი; სოფელ გლდანში - ანაზღაურებულია - 1,001.28 ათასი ლარი; ლარი, სოფელ ფონიჭალაში - ანაზღაურებულია - 822.91 ათასი ლარი, დაბა წყნეთში - ანაზღაურებულია - 1,464.92 ათასი ლარი,

მიმდინარეობს ბაღის მშენებლობა სოფელ დიღომში, რომლისათვისაც 2017 წელს ანაზღაურებულია - 1,270.5 ათასი ლარი.

დაიწყო 8 ახალი ბაგა-ბაღის მშენებლობა ნუცუბიძის მე-4 მ/რაიონში, ზუგდიდის ქუჩაზე, დიდი დიღომის მე-3 და მე-4 მ/რაიონში, გლდანის მე-3 მ/რაიონში, ხეხილსანერგე მეურნეობასთან, პალიასტომის ქუჩაზე, გურამიშვილის გამზ#4-ში, რაზედაც ავანსის სახით გადარიცხულია 600.0 ათასი ლარი.

ჩატარებული იქნა #87, #26, #163 ბაგა-ბაღის სარეკონსტრუქციო - სარემონტო სამუშაოები, რაზედაც ანაზღაურებულია 364.6 ათასი ლარი.

ინვენტარითა და ტექნიკით აღიჭურვა 5 ახლად აშენებული საბავშვო ბაგა-ბაღი, საერთო თანხით - 208.42 ათასი ლარი. ასევე, 7 ახალ საბავშო ბაგა ბაღში დამონტაჟებულ იქნა ვიდეო სათვალთვალო კამერები და ანაზღაურდა 134.0 ათასი

ლარით. ახალი საბავშვო ბაგა-ბაღების მშენებლობის ზედამხედველობის მომსახურებაზე გაწეულია 188.0 ათასი ლარი.

შეძენილი იქნა იმედაძის ქუჩაზე და ახალ საბავშვო ბაგა-ბაღების ასაშენებლად საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რაზედაც გადარიცხულია 252.5 ათასი ლარი. გარდა ამისა, ხორციელდებოდა სხვადასხვა ღონისძიებები.

ასევე, ქვეპროგრამის ფარგლებში კეთილმოწყობის სამსახურის მიერ დაფინანსდა თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების კეთილმოწყობის ღონისძიებები 1,793.2 ათასი ლარის ოდენობით შემდეგ ღონისძიებებზე: საბავშვო ბაგა-ბაღების შიდა ეზოების ასფალტის საფარის, წყალსადენ-კანალიზაციის, სადრენაჟე და სანიაღვრე ქსელების მოწყობისა და აღდგენა-რეკონსტრუქციის სარეაბილიტაციო სამუშაოები (საბავშვო ბაგა-ბაღი №13; №39; №40; №173; №184; №186; №76; №111; №116; №167; №192; №196 და №213).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: გაიხსნა 5 ახალი საბავშო ბაგა-ბაღი და დაიწყო 8 ახალი საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა; ახალი ბაგა-ბაღების, ახალი ჯგუფების გახსნის შედეგად და სხვა გარემოებებიდან გამომდინარე დასაქმდა 600-ზე მეტი ადამიანი; ბაგა-ბაღების რეაბილიტაციის შედეგად გაუმჯობესდა და უსაფრთხო გახდა სააღმზრდელო გარემო; გაუმჯობესებდა ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურა, ბაგა-ბაღებში ახალი ჯგუფების გახსნის შედეგად ნაწილობრივ განიტვირთა აღსაზრდელთა ჭარბი რაოდენობა; გაუმჯობესდა ბაგა-ბაღების პერსონალის შრომითი პირობები.

07 02 განათლების სისტემის რეფორმირება და განვითარება დაფინანსებულია 5,079.2 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 5,613.2 ათასი ლარის 90.5%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

07 02 01 ინტელექტუალური, საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2017 წლის გეგმა 147.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 144.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 98%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: სკოლის მოსწავლეებში დებატების, საჯარო გამოსვლების, პრეზენტაციის და ეფექტური კომუნიკაციის უნარ-ჩვევების გამომუშავება; სკოლაში შეიქმნება დემოკრატიული გარემო რომელიც უზრუნველყოფს წარმატებული და აქტიური მოქალაქის ჩამოყალიბებას, განვითარდება სასკოლო კლუბები და სკოლის თვითმმართველობები, გაიზრდება მათ საქმიანობაში ჩართული მოსწავლეთა რაოდენობა; ჩამოყალიბდება თანამშრომლობა სკოლებთან, საერთაშორისო და ადგილობრივ საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან, მოძიებულ იქნება დამატებითი რესურსები სკოლის მოსწავლეების განვითარებისთვის.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სკოლების სამეურვეო საბჭოების მომართვის საფუძველზე 4 მოსწავლის მეცამეტე კლასში სწავლის საფასური; პროექტები: ა(ა)იპ „მომავლის სოფლის“ პროექტი „ბავშვები კითხულობენ ბავშვებისთვის“; ა(ა)იპ საგანმანათლებლო ცენტრი „ეტალონის“ პროექტი „საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატი ეტალონი“; აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის თბილისის 42-ე საჯარო სკოლის პროექტი „საქართველოს მოსწავლეების მონაწილეობა ახალგაზრდა ნატურალისტთა მეხუთე საერთაშორისო ტურნირზე“; ა(ა)იპ „ისტორიის მასწავლებელთა საქართველოს ასოციაცია (იმსა)“ პროექტი „ნორჩ ისტორიკოსთა სკოლის საზაფხულო ბანაკი- 2017“; პროექტი - ა(ა)იპ „Fx-ის (ეფიქსი)“ პროექტი „ახალგაზრდა ფიზიკოსთა ტურნირი (IYPT-2017)“; აკადემიკოს ი. ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის თბილისის 42-ე საჯარო სკოლის პროექტი „საქართველოს მოსწავლეების ნაკრები გუნდის მონაწილეობა მეთერთმეტე საერთაშორისო ოლიმპიადაზე ასტრონომიასა და ასტროფიზიკაში“, რომლის მიზანია საქართველოს მოსწავლეებისთვის ოლიმპიადაში მონაწილეობის ხელშემწყობი პირობების შექმნა და მოსწავლეთა წახალისება. ასევე, საანგარიშო პერიოდში გამოცხადდა კონკურსის ახალი ეტაპი სკოლის მოსწავლეებისთვის და

კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა 12 სასკოლო ინიციატივა; პროექტების განხორციელებაში ჩართული იყო 2000-მდე პირდაპირი და ირიბი ბენეფიციარი.

07 02 03 საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო

2017 წლის გეგმა 3,832.6 ათასი ლარი, დაფინანსდა 3,737.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.5%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი და მაღალი ხარისხის პროდუქტის მიღება

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ ,,მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ ფუნქციონირების ხარჯები, კერძოდ თანამშრომელთა შრომის ანაზღურება, ოფისის ხარჯები, მივლინების, წარმომადგენლობითი ხარჯები, რეკლამის ხარჯები, ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები, დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარების, დასუფთავების მოსაკრებლისა და ავტობილების დაზღვევის, კომპიუტერების და ლიცენზიების შეძენის და სხვა ხარჯები.

გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში დასრულდა 15 პროექტი, დიზაინერების მიერ დამუშავდა მერიის სხავდასხვა სამსახურების და საქვეუწყებო ორგანოების ბლანკები, ბანერები ლოგოები ვებ-გვერდების ვიზუალი, სულ ჯამში 415 დავალება, ფოტოგრაფების და ჟურნალისტების მიერ გადაღებული და გაშუქებულ იქნა თბილისის მერიის ყველა აქტივობა და თბილისის მერის ყველა მივლინება საზღვარგარეთ. ტრენერების მიერ ხდება პროგრამებით გათვალისწინებული ტრენინგების ჩატარება (სულ 31 სატრენინგო პროგრამა) ტექნიკური მხარდაჭერის სპეციალისტების მიერ გამოკვლეული და გასწორებული იქნა მერიის კომპიუტერულ ქსელში წარმოქმნილი პრობლემები. ამასთან პერმანენტულად ხდება თბილისის მერიის ყველა ვებ გვერდის ტექნიკური მხარდაჭერა. დაიწყო თბილისის მერიის სასერვერო ოთახის მოწყობა, რაც გააუმჯობესებს

ელექტრონული სერვისების ხარისხს, გაეშვა და ფუნქციონირებს დოკუმენტ ბრუნვის პროგრამა www.app.msda.ge

სააგენტოს ცხელ ხაზზე სულ შემოსული ზარების რაოდენობაა 460-ამდე, მხარდაჭერის პროგრამაში დაფიქსირებულია 540 პრობლემა, ხოლო დანარჩენი აღრიცხვის გარეთ მოხვედრილი პრობლემა გადაწყვეტილია მყისიერად Support-ის ჯგუფის ან ოპერატორის მიერ.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: განხორციელდა 15 პროექტი, 415 დავალება, 31 სატრენინგო პროგრამა, გადამზადდა მერიის სისტემის 2220 თანამშრომელი .

07 02 04 საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მერიის ადმინისტრაცია

2017 წლის გეგმა 1,363.7 ათასი ლარი, დაფინანსდა 927.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 68%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: საზოგადოების ინფორმირებულობა და პროცესებში მათი ჩართულობის უზრუნველყოფა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, მისი სტრუქტურული ერთეულებისა და რაიონის გამგეობების მიერ დაგეგმილი და განხორციელებული პროექტების შესახებ ვიდეო-რგოლების განთავსება საქართველოს ტელევიზიის სხვადასხვა არხების საშუალებით, პირდაპირი სატელევიზიო ტრანსლირება, მასთან დაკავშირებული ყველა ტექნიკური საშუალებების, ტელე-ოპერატორებისა და რეჟისორების მომსახურებით, რეკლამის სატელევიზიო ეთერში (რუსთავი 2, იმედი, MYVIDEO.GE, მაესტრო,GDS) განთავსება, სოციალურ ქსელში მერიის საქმიანობასთან დაკავშირებული საინფორმაციო სარეკლამო მომსახურება. ასევე, მერიის ადმინისტრაციისა და საქალაქო სამსახურებისათვის პოლიგრაფიული მომსახურების და საბანერე კონსტრუქციების შეძენის ხარჯები.

07 02 07 ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2017 წლის გეგმა 270.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: შშმ მოსწავლეებისათვის გაიზრდება ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობა და მათი საზოგადოებაში ჩართულობის ხარისხი.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შშმ პირებისათვის 3 ადაპტირებული ავტობუსის შეძენად პარასპორტის განვითარების ცენტრი. აღსანიშნავია, რომ ადაპტირებული ტრანსპორტი დამატებით მოემსახურება 14 სკოლის 50-მდე მოსწავლეს.

07 03 ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 2,575.3 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 2,640.7 ათასი ლარის 97.5%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

07 03 01 თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის განვითარების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური; სსიპ თბილისის მთავარი ბიბლიოთეკა

2017 წლის გეგმა 1,916.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,874.0 ათასი ლარით. რაც გეგმის 98%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: საბიბლიოთეკო ინტეგრირებული ელექტრონული პროგრამის მეშვეობით თმბ-ს ფილიალები ჩაერთვებიან ერთიან საბიბლიოთეკო სისტემაში, შეიქმნება წიგნადი ფონდისა და მკითხველთა ერთიანი ელექტრონულ მონაცემთა ბაზა, რაც ბიბლიოთეკების ელექტრონული მართვის შესაძლებლობას მოგვცემს.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის ფუნქციონირების ხარჯები (შრომის ანაზღაურების, ოფისის, კომუნალური, ტრანსპორტის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის, სოციალური უზრუნველყოფის, რბილი ინვენტარის და უნიფორმის შეძენის,

წიგნების შეძენის და სხვა ხარჯები). დღეისათვის ფუნქციონირებს თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის 34 ფილიალი თბილისის სხვადასხვა უბანში და შემოერთებული ტერიტორიების 2 ბიბლიოთეკა - სულ 36 ფილიალი, რომელშიც გაწევრიანდა 2017 წელს - 33 688 ადამიანი. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა სხვადასხვა შემეცნებითი და კულტურულ - საგანმანათლებლო ღონისძიება, მათ შორის: პოეტ გურამ ჭავჭანიძეს ახალი წიგნის „ჩემი სიყრმე, ჩემი მტკვარი“ პრეზენტაცია, მსახიობ გრიგოლ წიტაიშვილის ოთხმოცი წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიება, ლიტერატურული სალონი „საგულისონის" ჯაზური მუსიკის საღამო, ფოტოხელოვანმა გოგა ჩანადირმა პატარა მკითხველებს ზღაპრები და საბავშვო ლიტერატურა წაუკითხა, გალაკტიონ ტაბიძის მემორიალურ ბინა-მუზეუმს სტუმარობდა იზა ვეფხვაძე, საავტორო ლიტერატურული წარმოდგენით „გალაკტიონის ნატერფალები“; შეხვედრა სმენადაქვეითებული საბავშვო ბაგა-ბაღის აღსაზრდელებთან, საბავშვო წიგნის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, მსოფლიო საბავშვო მწერლების წიგნების გამოფენა; რეზო ადამიას ახალი წიგნის (ისტორიული რომანი) - „წმინდა ნინოს“ და საბავშვო ლიტერატურული ჟურნალის „დილა’’ პრეზენტაცია, პროექტის - „კითხვის საათი საბავშვო მწერალთან ერთად“ ფარგლებში შედგა ბავშვებთან შეხვედრა, დედაენის დღისადმი მიძღვნილი და ახალი წიგნების გამოფენა, ჩეხური ხელნაწერების, მანუსკრიპტების გამოფენა; მირზა გელოვანის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო, პოეზიის საღამო „მარად ჭაბუკი პოეტები“, პოეტის ნიკა ძამიაშვილის წიგნის - "როცა მზე ჩავა" პრეზენტაცია, ლადო ასათიანის დაბადებიდან 100 წლისადმი მიძღვნილი ღონისძიება, გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამო სახელწოდებით „ხილვები და ზმანებები“, ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით თოჯინების თეატრმა „თოჯინები იცინიან“ პრემიერა გამართა, ასევე მოეწყო მეთოჯინე გვანცა ნიკურაძის თოჯინების პერსონალური გამოფენა; ლიტერატურულმა სალონმა „საგულისონი“ აფხაზეთის კულტურისა და სულიერების ცენტრთან ერთად ელდინო საღარაძის პოეზიის საღამო მოაწყო, ჟურნალ „დილა“-ს პრეზენტაცია, ღონისძიება „ჩემი ბიბლიოთეკა ჩემი სამყაროა", ასევე მოეწყო ბიბლიოთეკის

პატარა მკითხველების ნახატების გამოფენა; საქართველო-კორეის ინფორმაციაზე წვდომის ცენტრში კლასიკური მუსიკის საღამო გაიმართა, გაიმართა საქართველოს და კორეის რესპუბლიკებს შორის შორის დიპლომატიური ურთიერთობის 25 წლისთავისადმი მიძღვნილი კორეული კინოს ჩვენება, ჩატარდა კომუნიკაციის და საზოგადოებასთან ურთიერთობის ტრეინინგი, საფუძველი ჩაეყარა შემეცნებით - საგანმანათლებლო პროექტს „მენტალური არითმეტიკა sumato“, განახლდა საბავშვო პროექტი „პატარა მკითხველთა კლუბი“, სპექტაკლი „ამაო გარჯა სიყვარულისა“, ლიდა(ლილი) ჯანგველაძის ლექსების კრებულის „მადლობა ღმერთო!“-ს პრეზეტაცია, პატარა მხატვრების გამოფენა „შემოდგომა 2017", გამოიფინა ბავშვების ნამუშევრები, შოთა რუსთაველის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი სპექტაკლის „ფარ-ხმალო მამა-პაპისა“ პრემიერა, საბავშვო ლიტერატურულ ჟურნალი „დილა“-ს ახალი ჟურნალის პრეზენტაცია, ჩატარდა ღონისძიება „ხელოვნება ზეცის მადლია" და მოეწყო ბიბლიოთეკის მკითხველთა მხატვრული შემოქმედების (ნახატების, ნაკეთობების) გამოფენა; გაიმართა ღონისძიება „დუტუ მეგრელი - 150“ და მოეწყო მისი შემოქმედებისადმი მიძღვნილი გამოფენა, პროექტი „ფილმები ბიბლიოთეკაში“ ფარგლებში შედგა ფილმების: „თხა ხმის სანაცვლოდ“, „ჩემი ძვირფასი, წყეული ტელეფონი“, „შავი და თეთრი“, „ჯესერი და შაქრის ლერწამი“ და „ვცეკვავ შენთვის“ ჩვენება; გაიმართა ლექცია „როგორ გავხდე წარმატებული ადამიანი, საკუთარ თავთან მუშაობის ტექნიკები“; შედგა საღამო „მამულო საყვარელო“, რომელიც ეძღვნებოდა ილია ჭავჭავაძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის და ვაჟა-ფშაველას საიუბილეო თარიღებს; გაიმართა ღონისძიება „ხელოვნება ზეცის მადლია", ლიტერატურულ - მუსიკალური კომპოზიცია „ილია - ჩვენი თანამედროვე“, ლალი მიქაიას ახალი ლექსების კრებული „მონატრება“-ს პრეზენტაცია და სხვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: სერვისებით სარგებლობს 33 688 პირი; ჩატარდა 60-მდე შემეცნებითი და კულტურულ - საგანმანათლებლო ღონისძიება.

07 03 02 თბილისის მედიათეკების გაერთიანების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ

თბილისის მედიათეკების გაერთიანება

2017 წლის გეგმა 724.2 ათასი ლარი, დაფინანსდა 701.3 ათასი ლარით. რაც გეგმის 97%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მედიათეკის წევრებისათვის გარდა სტანდარტული სერვისებისა (ბიბლიოთეკა, სამუშაო სივრცე, წიგნის პრეზენტაციები) მრავალფეროვანი საგანმანათლებლო პროგრამის შეთავაზება; აქტიური კულტურული პლატფორმა და ქმედითი ტექნიკური ინფრასტრუქტურა, რაც წაახალისებს არსებულ წევრებს, მოიზიდავს ახალ წევრებს და თანაბრად დატვირთავს მედიათეკის ფილიალებს.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაცემულ იქნა თანამშრომელთა ხელფასი, გაწეულია ოფისის ხარჯები, ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები, დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარების, შენობა-ნაგებობების დაცვის ხარჯები, ავტომობილის დაზღვევის, დასუფთავების მოსაკრებლისა და გადასახადების გადახდის, ავეჯისა და სხვა ძირითადი აქტივების შეძენის და სხვა ხარჯები. დღეისათვის ფუნქციონირებს მედიათეკის ვაკის, ვარკეთილის და ნაძალადევის ფილიალი, რომელშიც გაწევრიანდა 2017 წელს - 4 365 ადამიანი. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა სხვადასხვა შემეცნებითი და კულტურულ - საგანმანათლებლო ღონისძიება, მათ შორის: გასვლითი ტრეინინგი კახეთში, პატარა მედიათეკელის პრეზენტაცია, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ გამართა ეროვნული ლიგის პრეზენტაცია, ოთარ ჭილაძის საიუბილეო საღამო, დაუნის სინდრომის მქონე პირთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, 182-ე საჯარო სკოლის მე-3 კლასის მოსწავლეებმა ჩაატარეს ღონისძიება სახელწოდებით „მზის შვილები"; ფრანგული ინსტიტუტის ახალი პროექტების ვებ-გვერდის პრეზენტაცია, ღონისძიება სახელწოდებით “დააფასე, დაიცავი, შეიყვარე პიროვნება აუტიზმით"; პოეტ მუხრან მაჭავარიანის საიუბილეო საღამო, შეხვედრა მწერალთან დიანა ანფიმიადისთან, წიგნის პრეზენტაცია „მე-20 საუკუნის ქართული ლიტერატურა“, ნაძალადევის ფილიალის ოფიცილური გახსნის ღონისძიება, ფრანგი მოგზაურების მიერ, თვეების განმავლობაში, საქართველოში, თურქეთში, ერაყსა და ირანში

ყოფნისას გადაღებული დოკუმენტური ფოტო/ვიდეო მასალის ჩვენება; „ახალგაზრდული სადისკუსიო კლუბის“ ინიციატივით გაიმართა შეხვედრა თანამედროვე საბავშვო (და არამარტო საბავშვო) მწერალთან - ირმა მალაციძესთან, 105-ე საჯარო სკოლის მოსწავლეთა შეხვედრა მწერალ ვაჟა ოთარაშვილთან, 53-ე საჯარო სკოლის მე-4 კლასის მოსწავლეებმა გამართეს ხელნაწერი წიგნის პრეზენტაცია, ჩატარდა ნახატებისა და ფოტოების გამოფენა/კონკურსი, თემაზე ჯანსაღი ცხოვრების წესი; თბილისის მედიათეკების გაერთიანებამ და საბავშვო სტუდიამ „ET CETERA“ სოციალურად დაუცველ ბავშვებს რუსთაველის თეატრში მოუწყო სიურპრიზი და მიიწვია სპექტაკლზე "პიტერ პენი", პროექტის „პატარა მედიათეკელი“ შემაჯამებელი ღონისძიება, გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი მშვიდობისა და ინტეგრაციის საერთაშორისო ცენტრთან და ინტერნეტ ტელევიზია „პოსტივის“-თან, შედგა შეხვედრა გურამ შეროზიასთან „მოგზაურობა იაფად“, ლაშა ბუღაძის საჯარო ლექცია, საჯარო დისკუსია „რა გვიშლის ხელს განვითარებაში", შეხვედრა აზერბაიჯანელ პოეტ ლეილი სალაიევასთან, სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების მიღება და პროექტ „პატარა მედიათეკელის“ შემოდგომის პირველი შეხვედრა, ლევან ბერძენიშვილის საჯარო ლექცია ,,გენდერული პრობლემები ქართულ ლიტერატურაში“, გოგა ჩანადირის საჯარო ლექცია „სამოქალაქო კულტურა“, გიორგი კიკალიშვილის საჯარო ლექცია „Erasmus + ახალგაზრდული პროგრამები“, ზურაბ ჯაფარიძის საჯარო ლექცია „რატომ მეტი თავისუფლება“, ალეკო შუღლაძის საჯარო ლექცია „გადამალვისას“, რეჟისორ თემურ ბუტიკაშვილის ფილმის ჩვენება „სირცხვილი“, ფილმის ჩვენება და გამოფენა „მე გადავცურე ენგური“, რეჟისორ დავით ჩაკაბერიას ფილმის ჩვენება „ამოკი“, „პატარა მედიათეკელის“ შემეცნებითი ტური თბილისის ზოოპარკში „შეეხე და ისაუბრე“, მაკო ჯაოშვილის ლიტერატურულ - მუსიკალური ღონისძიება „ღვინობისთვეს ჩამოვწურე რითმები“, ესეების კონკურსი „Freelitarium 2017“ და სხვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: სერვისებით სარგებლობს 4 365 პირი; ჩატარდა 55-მდე შემეცნებითი და კულტურულ - საგანმანათლებლო ღონისძიება.

07 04 პროფესიული და ზრდასრულთა განათლების განვითარების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2017 წლის გეგმა 162.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 161.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.7%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: პროფესიული და ზრდასრულთა განათლების საშუალებით დედაქალაქის მაცხოვრებლები შეძლებენ შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებას და ღირსეულ დასაქმებას.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა პროფესიული კოლეჯ „იკაროსის“ პროექტი „პროფესიული განათლება-წარმატებული დასაქმებისაკენ მიმავალი უმოკლესი გზა“; სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის "სპექტრის" პროექტი „პროფესიული გადამზადება დასაქმებისთვის“; პროფესიულ კოლეჯთან „მერმისი“ თანამშრომლობით შემუშავდა და დაფინანსდა პროექტი „პროფესიული განათლება - დასაქმებისაკენ მიმავალი უმოკლესი გზა“, პროექტში მონაწილეობა მიიღო 60-მა ბენეფიციარმა. გაიმართა პროფესიული გადამზადების პროგრამის "ისწავლე და დასაქმდი" შემაჯამებელი ღონისძიება და გაწეულია დარბაზის იჯარის ხარჯები. მოკლევადიანი პროფესიული სასწავლო კურსების მეშვეობით სულ გადამზადდა 552 თბილისში რეგისტრირებული მოქალაქე. აღნიშნული კურსების დასრულების შემდეგ გაიცემა ორენოვანი სერტიფიკატი. პროფესიული გადამზადების პროგრამის ფარგლებში სულ დასაქმდა 265 კურსდამთავრებული.

07 05 უწყვეტი განათლების სისტემის განვითარება დაფინანსებულია 1,909.9 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 1,931.0 ათასი ლარის 98.9%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

07 05 01 უწყვეტი განათლების სისტემის განვითარება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2017 წლის გეგმა 180.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 179.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.6%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: სხვადასხვა საგანმანათლებლო კონკურსები, საზაფხულო და ზამთრის სკოლები, გაიზრდება უნივერსიტეტების და სტუდენტების ჩართულობა საგანმანათლებლო პროექტებში, ჩამოყალიბდება თანამშრომლობა კერძო სექტორსა და საუნივერსიტეტო ცენტრებს შორის, შეიქმნება ახალი სერვისები და არსებული სერვისების ხარისხი გაუმჯობესდება, ამაღლდება სტუდენტების და კურსდამთავრებულების კვალიფიკაცია, შეიქმნება სათანადო პირობები თვითრეალიზებისა და პროფესიული განვითარების კუთხით.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი პროექტები: ა(ა)იპ „ახალგაზრდა მკვლევართა ცენტრის“ პროექტი - მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „აღმოსავლეთ საქართველოს მთიენეთის ისტორია და სიძველეები“; ა(ა)იპ ევროპის დენტისტ სტუდენტთა ასოციაცია-თბილისის პროექტი - „სტუდენტთა სამეცნიერო ფორუმი 2017“; ა(ა)იპ „ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია - თბილისის“ პროექტი „იმიტირებული პროცესი სამშენებლო სამართალში“; „საქართველოს ოზონოთერაპევტთა ასოციაციის“ პროექტი „მე-7 საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია - ოზონი და სხვა სამედიცინო გაზები ბიოლოგიაში და თერაპიაში“; ა(ა)იპ „თავისუფალი აზრის ცენტრის“ პროექტი „საჯარო გამოსვლების ხელოვნება სტუდენტებში“; სსიპ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ პროექტი I საერთაშორისო სტუდენტური საზაფხულო სამეცნიერო-პრაქტიკული სკოლა „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები - ახალი ტექნოლოგიების მართვა ურბანულ და აგრარულ სექტორში”; „ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია საქართველოს“ პროექტი „იმიტირებული პროცესი სამშენებლო სამართალში“; ა(ა)იპ „ჯანმრთელობა და ქალის“ სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ჯანმრთელობის ეკოლოგიური რისკების მართვის თანამედროვე მიდგომები ურბანულ ზონებში (სისტემებში)“, პროექტში მონაწილეობდა 130 ბენეფიციარი;

ამოქმედდა უცხოელი პროფესორების ვიზიტების პროგრამა, რომლის ფარგლებშიც 2017 წლის ნოემბერში თბილისს ეწვია 10 უცხოელი პროფესორი მასტერკლასების ჩასატარებლად, პროექტში ჩართული იყო 800 ბენეფიციარი; განხორციელდა ზამთრის სკოლების კონკურსი, რომლის მიზანი იყო სტუდენტებისა და ახალგაზრდების კვალიფიკაციის ამაღლება, ინოვაციური გამოცდილების გაზიარება, მომავალ დამსაქმებლებთან კომუნიკაციის დამყარება, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება, შრომის ბაზრის მოთხოვნებთან ადაპტაცია. კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა 3 ზამთრის სკოლა: ა(ა)იპ საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაცია - პროექტი „მასტერკლასები კულტურის მენეჯმენტისა და პოლიტიკის მიმართულებით“, სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი - პროექტი „Startup for Youth“ და სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - პროექტი „მობილური და ვებ აპლიკაციების ლაბორატორია თბილისში ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდისთვის“.

07 05 02 იურიდიული კლინიკა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ სამართლებრივი დახმარებისა და საზოგადოებრივი ჩართულობის მუნიციპალური ცენტრი

2017 წლის გეგმა 506.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 492.8 ათასი ლარით. რაც გეგმის 97.4%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცემათ სტაჟირება გაიარონ იურიდიულ კლინიკაში და აიმაღლონ კვალიფიკაცია. ასევე, მიზნობრივ ჯგუფებს ექნებათ შესაბამისი იურიდიული კონსულტაციის მიღების შესაძლებლობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ ,,სამართლებრივი დახმარებისა და საზოგადოებრივი ჩართულობის მუნიციპალური ცენტრის“ ფუნქციონირების ხარჯები. კერძოდ, თანამშრომელთა ხელფასი, ოფისის ხარჯები, ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის და

მოვლა შენახვის ხარჯები, რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯები, დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარების, კომპიუტერის შეძენის და სხვა ხარჯები.

საანგარიშო პერიოდის მანძილზე, პროექტ - იურიდიული კლინიკის ოფისებში დასაქმებული იყო 10 ტრენერ–ადვოკატი; გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ორ ახალ უნივერსიტეტთან. ამჟამად ორგანიზაცია თანამშრომლობს რვა უნივერსიტეტთან და იგეგმება დამატებით ორ უნივერსიტეტთან მემორანდუმის გაფორმება. უმაღლესი სასწავლებლებიდან სტაჟირება გაიარა 250-მა სტუდენტმა. მათ შორის 57 მოხალისე პრაქტიკანტი; 5 პასიური მოხალისე პრაქტიკანტი; 36 მოხალისე სტაჟიორი; 114 მაგისტრი პრაქტიკანტი; 13 მაგისტრი სტაჟიორი; 23 ბაკალავრი პრაქტიკანტი.

პროექტ „იურიდიული კლინიკას“ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სამართლებრივი დახმარების მიზნით მომართა 15 900-მა ფიზიკურმა პირმა, მათ შორის, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფმა 2 579-მა პირმა, 3 094-მა პენსიონერმა ასაკის გამო, 438-მა იძულებით ადგილნაცვალმა პირმა და 175-მა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირმა, ასევე საანგარიშო პერიოდში სამართლებრივი დახმარების მიზნით ორგანიზაციას მომართა ორმაგი სტატუსის მქონე შემდეგმა პირებმა: სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი და ასევე შშმ 131-მა პირმა, პენსიონერი ასაკისა გამო და ასევე შშმ 113-მა პირმა და იძულებით გადაადგილებულმა და ასევე შშმ 23-მა პირმა.

მიმმართველთა მიერ წამოჭრილ პრობლემურ საკითხთა შორის აღსანიშნავია სოციალური, სამშენებლო ნებართვასთან, უძრავი ქონებასთან (მშენებლობა, ამხანაგობები, აღიარება, ლეგალიზება, პრივატიზება) დაკავშირებული, აგრეთვე, სასარჩელო და სახელშეკრულებო საკითხები. გაწეულია შემდეგი სამართლებრივი დახმარება: ზეპირი კონსულტაცია 1 999; წერილობითი კონსულტაცია 1 182; სამართლებრივი დოკუმენტის შექმნა 2 719; დაწყებული სასამართლო და ადმინისტრაციული წარმოებებიდან (სულ 2 429 საქმე), წარმატებით დასრულდა 883 და მიმდინარეა 1 139 საქმე. აღნიშნულ საქმეებზე განხორციელდა 161 წარმომადგენლობა.

07 05 03 სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2017 წლის გეგმა 1,244.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,237.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.4%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: სოციალურად დაუცველი სტუდენტებისათვის და წარმატებული მაგისტრანტებისათვის, უმაღლესი განათლება და შესაბამისად შრომის ბაზარზე წარმატება/ღირსეული დასაქმება გახდება გაცილებით ხელმისაწვდომი; გაუმჯობესდება სოციალურად დაუცველი სტუდენტების და წარმატებული მაგისტრანტების განათლების ხარისხი და გაიზრდება შრომის ბაზარზე მათი კონკურენტუნარიანობის დონე.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხილულ იქნა სწავლის დაფინანსებასთან დაკავშირებით შემოსული 2300-მდე განცხადება, გაკეთდა დასაფინანსებელი სტუდენტების მონაცემთა ბაზა და აღნიშნული განცხადებების საფუძველზე დაფინანსდა 1900 სოციალურად დაუცველი სტუდენტი. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, 2017 წლის 24 თებერვლის, N3-11 დადგენილების დანართი N1-ის შესაბამისად დაფინანსდა 255 წარჩინებულ მაგისტრანტი და გადაეცათ სერთიფიკატები. ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან შუამდგომლობა გაეწია სოციალურად შეჭირვებული ოჯახის წევრ სტუდენტებს სწავლის საფასურის დაფინანსებასთან დაკავშირებით, რომლებიც დაფინანსდნენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან. გარდა მისა, გაწეულია წარჩინებული მაგისტრანტებისთვის სერტიფიკატების გადაცემის ღონისძიების გასამართად დარბაზის იჯარის ხარჯები.

07 06 მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე

განმახორციელებელი ორგანიზაცია: განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე


2017 წლის გეგმა 2,287.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 2,107.8 ათასი ლარით. რაც გეგმის 92%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მოზარდთა ინტელექტუალური, შემოქმედებითი სულიერი და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენა და ამაღლება.


საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ ,,მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის“ ფუნქციონირების ხარჯები, კერძოდ თანამშრომელთა ხელფასი, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების, მივლინების, ოფისის ხარჯები, აუდიტორული და არქივის მომსახურების ხარჯები, ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის და მოვლა შენახვის ხარჯები, კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯები, დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარების, ავტომობილის დაზღვევის, დასუფთავების მოსაკრებლის, კომპიუტერების შეძენის ხარჯები და სხვა. გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში ჩატარდა 472 ღონისძიება, მათ შორის: 265 კულტურულ საგანმანათლებლო ღონისძიება, 85 ტრენინგი/ლექცია, 56 გასვლითი ღონისძიება, 35 კონკურსი/შეჯიბრი/ასპარეზობა, 10 კონფერენცია/კვირეული, 13 გამოფენა, 7 საერთაშორისო პროექტი, 1 საზაფხულო სკოლა. აღნიშნულ ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო ჯამში 18 540-მა ახალგაზრდამ. ამაღლდა პროექტებში ჩართული ბავშვებისა და ახალგაზრდების კულტურულ-საგანმანათლებლო დონე; გაძლიერდა თანამშრომლობა ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე.

❖ კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა


ათასი ლარი



ათასი ლარი



	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	კულტურის ღონისძიებები	თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა	ხელოვნებისა და კულტურის ობიექტების განვითარება	ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების განვითარება და პოპულარიზაცია	კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები რაიონებში	ახალგაზრდული ღონისძიებები	კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა	თბილისის თანამედროვე ბალეტის დასი	ინკლუზიური ხელოვნების ხელშეწყობა	ოლიმპიური ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის სალიკვიდაციო ღონისძიებები	თბილისის ი-რეგიონის კულტურის ცენტრი
2015 წლის ფაქტი	22 608,7	1 919,8	6 407,8	2 204,3	1 926,2	1 029,7	809,9	1 347,9	208,2	0,0	0,0	100 159,2	197,0
2016 წლის ფაქტი	11 931,9	2 072,5	5 757,6	2 065,7	1 208,8	1 000,0	1 032,2	1 462,7	487,5	200,0	44,5	441,8	0,0
2017 წლის ფაქტი	13 897,8	1 787,3	4 565,4	1 924,4	1 733,6	1 047,4	967,6	1 579,5	458,8	319,8	85,6	0,0	0,0



08 01 თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 1,924.4 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 1,927.4 ათასი ლარის 99.8%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

08 01 01 ს.ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ ს. ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი

2017 წლის გეგმა 510.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: საზოგადოების ფართო ნაწილის დაახლოება თეატრთან.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია თეატრის ფუნქციონირების ხარჯები. კერძოდ, თანამშრომელთა ხელფასი, ოფისის ხარჯები, სამედიცინო, ვიდეო-აუდიო აპარატურის შეძენის, რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის, რეკლამის ხარჯები, კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯები და სხვა; საანგარიშო პერიოდში წარმოდგენილ იქნა 179 მიმდინარე და 5 საპრემიერო სპექტაკლი, მაყურებელთა რაოდენობამ შეადგინა 16 718; მათ შორის: სპექტაკლი ო.ჰენრი „წითელკანიანთა ბელადი", გაიმართა ქართული თეატრის დღისადმი მიძღვნილი საღამო, მსახიობების ნუგზარ ყურაშვილის და გია ჯაფარიძის განვლილი გზა

თეატრსა და კინოში, გაიხსნა მათი სახელობის ვარსკვლავები; მიხა ხელაშვილის ხსოვნის დღისადმი მიძღვნილი სახალხო დღესასწაული „მიხაობა“ ჩარგალში, ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრში წარმოდგენილ იქნა სპექტაკლები „პინოქიოს თავგადასავალი“ და „სტუმარ-მასპინძელი“, პრემიერა სპექტაკლისა „იავნანა ომს“, ხულოს პროფესიული თეატრის 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით წარმოდგენილ იქნა სპექტაკლი „სტუმარ-მასპინძელი“, თეატრის და ფონდის „სამოქალაქო ინიციატივა“ ორგანიზებით მაჩხაანის თეატრში საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი გაიმართა, თეატრში ჩატარდა სხვადასხვა საერთაშორისო სემინარები და ტრეინინგები, მაჩხაანის თეატრში წარმოდგენილ იქნა სპექტაკლი „სტუმარ-მასპინძელი“ და სპექტაკლი „Пора По Парам“ მინსკის სამხატვრო თეატრთან ერთად, დასმა მონაწილეობა მიიღო ქალაქ ოდესაში გამართულ საერთაშორისო ფესტივალში, ქალაქ ბათუმში მონოპიესების ფესტივალზე შედგა პრემიერა სპექტაკლისა „ქაღალდის ჰამლეტი“, შედგა შეხვედრა უკრაინის ნაციონალური ოპერეტის სამხატვრო ხელმძღვანელთან, გაიმართა საიბულეო სპექტაკლები „იმერული რეკვიემი“ და „აივანი“ და სხვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: 5 სპექტაკლის პრემიერა, მიმდინარე სპექტაკლების რაოდენობა 179; მაყურებელთა რაოდენობა 16 718.

08 01 02 პანტომიმის სახელმწიფო თეატრი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ პანტომიმის სახელმწიფო თეატრი

2017 წლის გეგმა 367.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 364.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.4%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: პანტომიმის ხელოვნებისადმი საზოგადოების ინტერესის ზრდა, ქვეყნის კულტურის და ტრადიციების წარმოჩენა საერთაშორისო ბაზარზე ტურისტების მოზიდვა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია თეატრის ფუნქციონირების ხარჯები. კერძოდ, თანამშრომელთა ხელფასი, ოფისის ხარჯები, რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის, ტრანსპორტის დაქირავების,

კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯები და სხვა; საანგარიშო პერიოდში წარმოდგენილ იქნა 67 მიმდინარე, 4 საპრემიერო და 6 საქველმოქმედო სპექტაკლი, მაყურებელთა რაოდენობამ შეადგინა 1 816; მათ შორის: პრემიერა სპექტაკლისა „ვეფხისტყაოსანი“, სპექტაკლი „ვეფხისტყაოსანი“ წარმოდგენილ იქნა ქალაქ გორში, „შოუ ჯუნიორ“ ქენთსლიფის და პანტომიმის თეატრის კოლაბორაცია DJ კორძის თანხლებით, საქველმოქმედო ღონისძიება „სოლიდაროზა ბავშვებს“, აღინიშნა ამირან შალიკაშვილის 78 წლის იუბილე, დასრულდა მუშაობა სპექტაკლზე „ნატვრის ხე“, ცოცხალი ქანდაკებების შოუ „ვეფხისტყაოსნის გმირები“, გასვლითი სპექტაკლები ფოთში და საჩხერეში, პლასტიკისა და მოძრაობის საერთაშორისო ფესტივალი 9 აპრილის პარკში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო „პანტომიმის თეატრის“ მუსიკალურმა ბენდმა და ესპანეთიდან მოწვეულმა სტუმრებმა; თეატრმა მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო ფესტივალში პოლონეთის ქალაქ ოლავაში და კვიპროსში ქართული კულტურის დღეების ფარგლებში გამართულ ღონისძიებებში და სხვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: 4 სპექტაკლის პრემიერა, მიმდინარე სპექტაკლების რაოდენობა 67, საქველმოქმედო სპექტაკლი 6; მაყურებელთა რაოდენობა 1 816.

08 01 03 თბილისის საშემსრულებლო ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური; სსიპ თბილისის საერთაშორისო ხელოვნების საფესტივალო ცენტრი

2017 წლის გეგმა 666.3 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი, დედაქალქს მნიშვნელოვან კულტურულ, ეკონომიურ და სოციალურ უპირატესობას შესძენს; თბილისს შეუძლია მნიშვნელოვანი კულტურული ცენტრი გახდეს, მოიზიდოს ადამიანები და შექმნას ის შემოქმედებითი კაპიტალი, რომლის ღირებულება განუსაზღვრელია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია შრომის ანაზღაურების, მივლინების, ოფისის, ფესტივალის მოსამზადებელი და ორგანიზაციული ხარჯები მათ შორის: მოწვეული სტუმრებისათვის ავია ბილეთების შეძენის, სასტუმროს მომსახურების, ადგილზე ტრანსპორტირების, ჰონორარების, დეკორაციების საერთაშორისო გადაზიდვების, სპექტაკლების გასამართი და საკონფერენციო დარბაზების იჯარის, სასცენო კონსტრუქციების მოწყობის ხარჯები. ფესტივალი დაიწყო 18 სექტემბერს, სადაც საერთაშორისო პროგრამის ფარგლებში მონაწილეობა მიიღეს გერმანიის, ირლანდიის, იტალიის, რუსეთის, პოლონეთის, რუმინეთის და ბრიტანეთის დასებმა. მოწვეული დასების მონაწილეობით წარმოდგენილი იქნა 14 სპექტაკლი, ქართული სპექტაკლების რაოდენობამ შეადგინა 19, გაიმართა 3 ვორქშოფი, ნინო ქათამაძის კონცერტი და ღონისძიება ქართულ-გერმანული ერთობლივი პროექტის ფარგლებში. ასევე, ქართული თანამედროვე თეატრის პოპულარიზაციის მიზნით შეიქმნა ქართული სპექტაკლების პროგრამა Georgian Show-Case 2017, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ქართული თეატრების დასებმა და სხვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: საერთაშორისო პროგრამის ფარგლებში გაიმართა 14 სპექტაკლი, ქართული სპექტაკლების რაოდენობამ შეადგინა 19.

08 01 05 თეატრი „გლობუსი“

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ თეატრი „გლობუსი“

2017 წლის გეგმა 200.3 ათასი ლარი, დაფინანსდა 199.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.8%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მრავალფუნქციური კულტურული ცენტრის ღონისძიებების ჩატარება, მაყურებელთა რაოდენობის გაზრდა, თბილისის მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი, საინტერესო ადგილის დამკვიდრება, საერთაშორისო კავშირების განმტკიცება, მაღალმხატვრული რეპერტუარის ამოქმედება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია თეატრის ფუნქციონირების ხარჯები. კერძოდ, თანამშრომელთა ხელფასი, ოფისის ხარჯები, რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის, ტრანსპორტის დაქირავების, კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯები და სხვა; წარმოდგენილ იქნა 29 მიმდინარე და 1 საპრემიერო სპექტაკლი, მაყურებელთა რაოდენობამ შეადგინა 533. მათ შორის: გაიმართა მიმდინარე სპექტაკლები „თვინიერი“, „ჩეხოვის ღიმილი“, „პარტახი“, „სკამი“, „მეფე კვდება“, „შეშლილის წერილები“, „დღეების ბარანის გარეშე“; შედგა პრემიერა სპექტაკლისა „თახსირი“(„კვერცხი“).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: 1 სპექტაკლის პრემიერა, მიმდინარე სპექტაკლების რაოდენობა 29, მაყურებელთა რაოდენობა 533.

08 01 08 სამეფო უბნის თეატრი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ სამეფო უბნის თეატრი

2017 წლის გეგმა 183.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 182.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.7%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: თეატრალური ხელოვნების გავითარების ხელშემწყობი გარემოს შექმნა; შემოქმედებითი და გაცვლითი ურთიერთობის დამყარება საზღვარგარეთის თეატრალურ მოღვაწეებთან; სახელოვნებო სფეროში მართვის თანამედროვე მეთოდების, მეცნიერებაზე დაფუძნებული ინოვაციური მიდგომების დაფუძნება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია თეატრის ფუნქციონირების ხარჯები. კერძოდ, თანამშრომელთა ხელფასი, იჯარის ხარჯები და სხვა; საანგარიშო პერიოდში წარმოდგენილ იქნა 85 მიმდინარე და 3 საპრემიერო სპექტაკლი, მაყურებელთა რაოდენობამ შეადგინა 6 615. მათ შორის: გაიმართა სპექტაკლები „სამშობლო“, „მუდამ მოცარტი“, „კაცია ადამიანი“ და

„სახეები“; თეატრმა გამართა წარმოდგენები საფრანგეთის ქალაქ შერბურში, უმასპინძლა იტალიელ-ქართველი დიზაინერის ლუისა ორსინის ნამუშევრების ჩვენებას, მოეწყო მხატვარ მურაზ მურვანიძის ნამუშევრების პრეზენტაცია, თეატრმა უმასპინძლა „Sou Festival 2017”-ის ღონისძიებებს, შედგა შეხვედრა ავსტრიელ დრამატურგთან ფოლკლერ შმიდტთან, თეატრის მხარდაჭერით გამოიცა თანამედროვე ქართველ დრამუტურგთა მიერ შექმნილი პიესების კრებული, გაიმართა ხალხური პოეზიის და ფოლკლორის საღამო და სხვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: 3 სექტაკლის პრემიერა, მიმდინარე სპექტაკლების რაოდენობა 85, მაყურებელთა რაოდენობა 6 615.

08 02 სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ ხელოვნების სკოლები, თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი, ა(ა)იპ სერგო ზაქარიაძის სახელობის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების კოლეჯი;

2017 წლის გეგმა 1,805.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,787.3 ათასი ლარით. რაც გეგმის 99%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: სახელოვნებო განათლების არამოთხოვნადი სპეციალობების შენარჩუნება; მოსწავლეთა კულტურულ-საგანმანათლებლო დონის ამაღლება; საერთაშორისო კონკურსებში, ფესტივალებსა და სხვა ფორუმებში მიღწეული წარმატებები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა არამოთხოვნად სპეციალობებზე (№20 და №19 ხელოვნების სკოლის ბაზაზე – საორკესტრო ინსტრუმენტების სპეციალობით, №28 ხელოვნების სკოლის ბაზაზე – ქართული ხალხური საგუნდე ხელოვნების განყოფილებაზე, ჰ.გონაშვილის №29 ხელოვნების სკოლის ბაზაზე – თანამედროვე და ტრადიციული მიმდინარეობების განხრით) და ალიოზ მიზანდარის სახელობის №1 ხელოვნების სკოლის ბაზაზე („ბიჭუნათა კაპელა“) მოსწავლეთა უფასო სწავლება (იანვარში - 744 მოსწავლე,

თებერვალში 744 მოსწავლე, მარტში - 742 მოსწავლე, აპრილში - 738 მოსწავლე, მაისში - 730 მოსწავლე, ივნისში - 730 მოსწავლე, სექტემბერში - 725 მოსწავლე, ოქტომბერში - 738 მოსწავლე, ნოემბერში - 738 მოსწავლე, დეკემბერში - 741 მოსწავლე); გრძელდება ხელოვნების სკოლების (33 სკოლა, 660 მოსწავლე) დაფინანსება სასწავლო-შემოქმედებით პროცესში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეების რაოდენობის შესაბამისად; ამასთან, გაწეულია ხელოვნების სკოლების და სერგო ზაქარიაძის სახელობის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების კოლეჯის მიერ მოხმარებული კომუნალური, კოტე ფოცხვერაშვილის სახელობის №7 ხელოვნების სკოლის შენობის იჯარის და საიუბილეო კონცერტების ჩასატარებლად 4 ხელოვნების სკოლისათვის დარბაზის იჯარის ხარჯები.

08 03 ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების განვითარება და პოპულარიზაცია დაფინანსებულია 1,047.4 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 1,062.3 ათასი ლარის 98.6%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

08 03 10 ე.ახვლედიანის ბავშვთა სურათების გალერეა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ ე. ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეა

2017 წლის გეგმა 133.2 ათასი ლარი, დაფინანსდა 119.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 89%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ბავშვთა და მოზარდთა და ზოგადად საზოგადოების აქტივობა გალერეის მიერ მოწყობილ გამოფენებში, აქციებში, შეხვედრებში, კონკურსებში და საქართველოსა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ღირსშესანიშნავი დღეებისა და მოვლენების აღნიშვნაში ბავშვთა ზოგადი განათლების მიზნით.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია გალერეას ფუნქციონირების ხარჯები. კერძოდ, თანამშრომელთა ხელფასი, საოფისე ტექნიკის და ინვენტარის შეძენა და დამონტაჟების, კომუნალური, კავშირგაბმულობის, დასუფთავების მოსაკრებლის, კულტურული, სპორტული,

საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯები, შენობა-ნაგებობების დაცვის ხარჯები და სხვა. ამასთან, მუზეუმში ჩატარებულ იქნა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: მარიამ დავითინიძის და ანა-ანჩო ზოიძის პერსონალური გამოფენა, ირანელი და ქართველი ბავშვების ნახატების გამოფენა, ფესტივალი „ჩემი ლამაზი ქვეყანა“, „ულტრამედის“ საქველმოქმედო აქცია, საგაზაფხულო გამოფენა „დედებს, ბებიებს, დებს“; გიორგი ლორთქიფანიძის, სააღდგომო, ანანო მიგრაულის, 1 კლასიკური გიმნაზიის ბავშვთა ნამუშევრების, პედაგოგო ანი გოგორიშვილის სტუდიის ბავშვთა ნახატების, ინტელექტუალური განვითარების ცენტრის სკოლების მოსწავლეთა ნამუშევრების, სამხატვრო სკოლის ბავშვთა ნამუშევრების, მხატვარ გვენეტაძის პერსონალური, დიუმას სახელობის ფრანგული სკოლის და ნინოწმინდის რაიონის სოფელ ეშტიის სკოლის ბავშვთა ნამუშევრების, ნიკოლ დგებუაძის, ანი კოჩალაძის, ნათია ზაქარიაშვილის, მარიამ თუთბერიძის, თედო თევდორაშვილის, დავით ბებიას, მეგი გვენეტაძის პერსონალური გამოფენები; გაიმართა „შემოდგომა“, „ხელები“ და სტუდია „არტ-თაობის“ მოსწავლეთა ნახატების გამოფენა და სხვა

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: ჩატარებულ იქნა 37 სხვადასხვა ღონისძიება; ვიზიტორთა რაოდენობა - 4 115.

08 03 12 მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ "მუზეუმების გაერთიანება"

2017 წლის გეგმა 929.2 ათასი ლარი, დაფინანსდა 928.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მუზეუმების ჩართვა ქვეყნის ერთიან კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცეში

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია მუზეუმის ფუნქციონირების ხარჯები. კერძოდ, თანამშრომელთა ხელფასი, საოფისე ტექნიკის და ინვენტარის შეძენა და დამონტაჟების, კომუნალური, კავშირგაბმულობის, აუდიტორული მომსახურების, ტრანსპორტის დაქირავების,

შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის, დასუფთავების მოსაკრებლის, კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯები, შენობა-ნაგებობების დაცვის ხარჯები და სხვა; ამასთან, მიმდინარე პერიოდში გაიმართა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: შესწავლილი, შემუშავებული და შეჯერებულია მუზეუმების კოლექციათა დოკუმენტაცია და გამდიდრებულია ფონდები, განხორციელდა ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ - მემორიალური მუზეუმის, ნიკოლოზ ბარათაშვილის მემორიალური სახლ - მუზეუმის რეაბილიტაცია და ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა - განვითარება; განხორციელდა კოტე წერეთლის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სემიტოლოგიური ძიებანი“, გამოიცა ზაქარია ფალიაშვილის და ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი ალბომი და თოჯინების მუზეუმის საიუბილეო კატალოგი, ნიკოლოზ ბარათაშვილის მემორიალურ სახლ - მუზეუმში გაიმართა საავტორო მუსიკალური სტუდიის კონცერტი, ვაჟა ოთარაშვილის პოეტურ - მუსიკალური საღამო, საღამო „მაგნოლიები სიყვარულის წვიმაში“, პოეზიის საღამო, თემატური გაკვეთილი „რომანტიზმი“, „ღამე მუზეუმში“ - თეატრალიზებული წარმოდგენა „ცისა ფერს“, მუსიკალური საღამო და ბეგი მამალაძის კვირეული, საზეიმო ღონისძიება „ტატო - 200“, ლევან ცხადაძის ლექცია „პუბლიკა და კრიტიკა“; ზაქარია ფალიაშვილის მემორიალურ სახლ მუზეუმში გაიმართა პრემიერა ფილმის „რისთვის მიყვარხარ“ და ოპერის „ლატავრა“ პრემიერესთან დაკავშირებული ღონისძიება, საფორტეპიანო - ვოკალური სტუდია „ვიქტორიას“კონცერტი, „ღამე მუზეუმში“ – „ვიხსენებთ უთქმელს“ თეატრალიზებული ინტერაქტიული წარმოდგენა, ალოიზ მიზანდარის დაბადებიდან 180 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიება, გაიმართა საჯარო ლექცია „ქართული ხალხური ეპოსი“, „ნიჭიერთა ათწლედი“-ს და საშოაბაო კონცერტები, გაიმართა პუბლიკაცია „ზაქარია ფალიაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა“-ს პრეზენტაცია; გალაქტიონ ტაბიძის მემორიალურ ბინა-მუზეუმში გაიმართა მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის და ლიტერატურული სალონი „საგულისონის“ ღონისძიებები, გაიმართა მწერლის გარდაცვალების 58 წლისადმი მიძღვნილი ღონისძიება, ღია გაკვეთილი „გალაქტიონ ტაბიძის სახელობის 51-ე საჯარო სკოლა“, „მე მთელ დედამიწას დუელში ვიწვევ“ ფილმის

ჩვენება და განხილვა; ილია ჭავჭავაძის მემორიალურ სახლ-მუზეუმში საგანმანათლებლო და შემეცნებით - გასართობი პროგრამა ილია ჭავჭავაძე - ეპოქა და გამოწვევები, ,,ღამე მუზეუმში'' - თეატრალიზებული წარმოდგენა ,,პასუხის პასუხი'', ნინო ჯაფარიძის მუსიკალური საღამო და ღონისძიება „მიხეილ გედევანიშვილი - 155''; ვახტან ჭაბუკიანის მემორიალურ ბინა-მუზეუმში შედგა ,,ნორჩ ისტორიკოსთა კლუბის'' მოსწავლეთა ექსკურსია, თბილისის მუზეუმების გაერთიანების გამოფენა ,,ძველი და ახალი ლაურენსია'', შედგა გამოფენა „იაპონია და ქართული ბალეტი'', საჯარო ლექცია „მოდერნ - ბალეტის აღქმა და გათავისება'', გაიმართა ღონისძიება „ქართული სასცენო ქორეოგრაფიის სათავეებთან'', „ავტოგრაფებში შემონახული ისტორია'', ბალეტის საერთაშორისო დღისადმი და ზურაბ კიკალიშვილისადმი მიძღვნილი საღამოები; მერაბ კოსტავას მემორიალურ სახლ მუზეუმში გაიმართა საქართველოს საერთო სახალხო რეფერენდუმის და ზვიად გამსახურდიას დაბადების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, თემატური გაკვეთილი - არალეგალური ორგანიზაცია ,,გორგასლიანი'', ,,ოტელო'' და თქმულება ბალეტში - ბალეტი ,,გორდა''; გამოფენა „წერილები ციმბირიდან'', ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება, როსტომ ჩხეიძის ლექცია „ვეფხისტყაოსანი პავლე ინგოროყვას თვალთახედვით'' და კონსტანტინე გამსახურდიას ლექცია „რესპუბლიკის გამოცხადება 1991 წლის 9 აპრილს''; მიხეილ ჯავახიშვილის მემორიალურ სახლ-მუზეუმში გაიმართა თემატური გაკვეთილები ,,არსენას ეპოსი'' და ,,ჩვენი დროის 10 მცნება'', დისკუსია მიხეილ ჯავახიშვილის პოლიტიკური ეპოქა, ყაჩაღობის ისტორიული მიმოხილვა და ისტორიული ეპოსი; თბილისის თოჯინების მუზეუმში გაიმართა თოჯინების გამოფენა ,,ვაჩვენებთ უთქმელს'' და თემატური გაკვეთილი ,,თოჯინების შექმნის ისტორია''.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: ჩატარებულ იქნა 80 სხვადასხვა ღონისძიება; ვიზიტორთა რაოდენობა - 10 930.

08 04 ხელოვნების და კულტურის ობიექტების განვითარება დაფინანსებულია 1,733.6 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 2,034.6 ათასი ლარის 85%-ი) შემდეგი ქვეპროგრამებზე:

08 04 01 საკონცერტო ორკესტრი ,,ბიგ-ბენდი''

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ თბილისის მერიის საკონცერტო ორკესტრი "ბიგ-ბენდი"

2017 წლის გეგმა 412.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: საკონცერტო ორკესტრი "ბიგ-ბენდი" თავისი საქმიანობით მასებში ზრდის მაღალხარისხიანი და ინტელექტუალური მუსიკისადმი ინტერესს, თანამშრომლობს ნიჭიერ ქართველ კომპოზიტორებთან და ახალგაზრდა მომღერლებთან, მყარდება ცოცხალი საშემსრულებლო (ინსტრუმენტული და ვოკალური შესრულება) მუსიკის პოპულარობა მასებში.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაცემულ იქნა თანამშრომელთა ხელფასები, გაწეულია კომუნალური, კავშირგაბმულობის, ტრანსპორტის დაქირავების, კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯები და სხვა. ამასთან, “ბიგ-ბენდმა” მონაწილეობა მიიღო ქალაქის მაშტაბით ჩატარებულ სხვადასხვა ღონისძიებებში. მათ შორის: საახალწლო, ვიზალიბერალიზაციის, 8 მარტის, საქართველოს და აშშ-ს მეგობრობის 25 წლის იუბილეს, აშშ-ს დამოუკიდებლობის დღის, თბილსერვისის იუბილეს და თბილისობის აღმნიშვნელ ღონისძიებებში; კონცერტები გაიმართა ვერის, ვაკის, გლდანის და კიკვიძის პარკებში; დიდ დიღომში, სხვადასხვა უნივერსიტეტებში და აშშ-ს საელჩოში; ორკესტრმა მონაწილეობა მიიღო ბულგარეთში და სერბეთში გამართულ ჯაზის საერთაშორისო ფესტივალებში და სხვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: საკონცერტო ორკესტრმა ,,ბიგ-ბენდი’’ მონაწილეობა მიიღო 37 ღონისძიებაში.

08 04 02 ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლე

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ ქალაქ თბილისის ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლე

2017 წლის გეგმა 299.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 297.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 99%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მოსწავლე - ახალგაზრდობის დაინტერესება ქართული ფოლკლორით, მოზარდი თაობის მაღალ ინტელექტუალური პიროვნების და ღირსეული მოქალაქის ჩამოყალიბება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა თანამშრომელთა ხელფასები, კომუნალური, კავშირგაბმულობის, სამედიცინო, რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის, დასუფთავების მოსაკრებლის და სხვა ხარჯები. ამასთან, სასახლეში ფუნქციონირებს 45 წრე, სადაც გაერთიანებულია 350 მოსწავლე და ჩატარებულ იქნა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: საახალწლო მილოცვა ტელევიზიით, საშაობაო და აღდგომის ლიტურგიაში მონაწილეობა, უცხოელების ჩოხოსნებში გაწევრიანებასთან, ავღანეთიდან ჯარების გამოყვანასთან დაკავშირებული და საქველმოქმედო კონცერტები; ქალთა დღისადმი, პატრიარქის აღსაყდრების 40 წლის და ზურაბ მამულაშვილის 75 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიებები; ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლემ ასევე მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა კონცერტებში და ფესტივალებში.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლემ მონაწილეობა მიიღო 30 ღონისძიებაში.

08 04 03 ხელოვნების ძეგლებისა და პანთეონების მოვლა-პატრონობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა თბილისის პანთეონი

2017 წლის გეგმა 127.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: თბილისის პანთეონების როგორც საქართველოს უახლოესი ისტორიის ძეგლის წარმოჩინება; გამოჩენილ ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა საფლავების მოვლა - პატრონობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა პანთეონების (მთაწმინდის, დიდუბის და „ხოჯევანქი") მოვლა-პატრონობის ხარჯები (თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება, კომუნალური ხარჯები და სხვა).

08 04 04 კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური

2017 წლის გეგმა 1,195.7 ათასი ლარი, დაფინანსდა 897.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 75%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: კულტურის დაწესებულებების მოწესრიგებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის №5 ხელოვნების სკოლის, პეტრე ამირანაშვილის სახელობის №18 ხელოვნების სკოლის, სერგო ზაქარიაძის სახელობის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების კოლეჯის, ბავშვთა სურათების გალერეას, სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრის, ელენე ახვლედიანის ბავშვთა სურათების გალერეას და ანასტასია ვირსალაძის სახელობის ხელოვნების გიმნაზიის სარემონტო სამუშაოების ხარჯები; ობიექტებში სახანძრო უსაფრთხოების სისტემის მოწყობის და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვის, ხელოვნების სკოლა „აფხაზეთი 1“-ს ინსტრუმენტების და ინვენტარის გადაზიდვის, ზაჰესის ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის №5 ხელოვნების სკოლის გაზიფიცირების, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა თბილისის მთაწმინდის პანთეონში შშმ პირებისათვის ადაპტირებული ლიფტის შეძენა-მოწყობის და დავით ანდღულაძის №14 ხელოვნების სკოლისათვის გათბობის ქვაბის შეძენის ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: კულტურის ობიექტების ფუნქციონირების ხელშემწყობის გარემოს შექმნა; თანამედროვე ტექნიკითა და ინვენტარით აღჭურვილი კულტურის დაწესებულებები.

08 05 კულტურის ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური;

2017 წლის გეგმა 4,652.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 4,565.4 ათასი ლარით. რაც გეგმის 98%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: საზოგადოების ფართო ნაწილის ჩართულობა ფესტივალებში, კონკურსებში, სადღესასწაულო ღონისძიებებში; ღვაწლმოსილი ადამიანების დაფასება; ნიჭიერი შემოქმედების წარმოჩენა, შემოქმედებითი პროცესის ინტენსივობა; საინტერესო და მრავალფეროვან ღონისძიებებზე სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელი ხელოვანების ჩართულობა და მონაწილეობა; განვითარებული და გაღრმავებული კულტურული ურთიერთობები დაძმობილებულ ქალაქებთან.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სამსახურის მიერ განხორციელებული და სრულად/ნაწილობრივ დაფინანსებული სხვადასხვა ღონისძიებები და პროექტები, მათ შორის:

სახელმწიფო, სახალხო და რელიგიური დღესასწაულებისა და სხვა საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების ფარგლებში: შობა-ახალი წლის ღონისძიებასთან დაკავშირებით გაიმართა გალა-კონცერტი, „დედაენის ბაღში“ სხვადასხვა ჟანრის ღონისძიები, საახალწლო ნაძვის ხის კონცერტის „გოზინაყი ფართი“, უვიზო მიმოსვლის შემოღების თარიღის აღნიშვნასთან დაკავშირებით გალა-კონცერტი, ქართული ცეკვა „მარუჯა“ და ქორეოგრაფიული ნომერი ევროკავშირის წევრი ქვეყნების დროშებით, ქ.თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრის გუნდის მიერ შესრულდა საქართველოს ჰიმნი, „ნოვრუზ ბაირამი 2017“ - ის აღნიშვნა, 26 მაისისადმი მიძღვნილი გალა - კონცერტი, თბილისობის დღესასწაულის აღმნიშვნელი სხვადასხვა ღონისძიებები, თბილისის საპატიო მოქალაქეებზე შექმნილი ესეების კრებული - წიგნის ბეჭდვა, „საშობაო ზღაპარი ალილო“-ს თანადაფინანსება, შობა - ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებული ღონისძიებები და სხვა. ასევე, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი 359.0 ათასი ლარიდან, დაფინანსდა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები 357.9 ათასი ლარით.

თეატრალური ხელოვნების განვითარების და თავისუფალი თეატრალური პროექტების ხელშეწყობის ფარგლებში: პროექტის „ქართული თეატრის დღე-14

იანვარი 2017“ აღნიშვნა, პროექტი „მერი პოპინსი თოჯინების თეატრში“, „ზღაპარი იგი მათრობს და მხიბლავს“, „სპექტაკლი მართლა“, „ობლები“, „როდემდე, ჩემო ქვეყანავ“; „მოგზაურობა ჯადოსნურ ქვეყანაში“, „ლაბადა და ფეხსაცმელი“, „მე ბებია ბაბუა და ჭინკები“, „სევოკო“, „ორი შიშველი მამაკაცი“, საბავშვო სპექტაკლი „თაგუნები და ყველი“, „ძია ვანია“, „სეილემის პროცესი“, „სალამურა თბილისში დაიდებს ბინას“, „სამგროშიანი ოპერა“, „ტურანდოტი ჩინეთის პრინცესა“ და სხვა.

ფესტივალების, კონკურსების და საიუბილეო ღონისძიებების ხელშეწყობის ფარგლებში: პროექტი „ნინო ქათამაძე ძუძუს კიბოთი დაავადებულ ქალთა მხარდასაჭერად“, „საქველმოქმედო კონცერტი „სიცოცხლისათვის“, პროექტი „ნოდარ ანდღულაძის სახელობის ახალგაზრდა ვოკალისტთა მე-2 საერთაშორისო კონკურსი“, პროექტი „Art Fair “Carusel DeLouvre“ 2017“, ფოტოკვირეული ქოლგა თბილისი ფოტო - 2017, პროექტი „აღდგომიდან ამაღლებამდე“, ანსამბლ „რუსთავის“ კონცერტი ქალაქ რიგაში, ლეილა ძიგრაშვილის 90 წლისადმი მიძღვნილი საიბილეო საღამო და ვარსკვლავის გახსნა, ბავშვთა ნამუშევრების გამოფენა „ოქროს პალიტრა“, თბილისის მოდის კვირეული „შემოდგომა/ზამთარი 2017“, პროექტი „გაუფრთხილდი ისტორიას“ პიანისტთა თბილისის მე-7 საერთაშორისო ფესტივალი, პროექტი „მსოფლიო მუსიკა ქველმოქმედებისათვის“, თეა ჯინორიას შემოქმედებითი საღამო, იმედა კახიანის ვარსკვლავის გახსნა, პროექტი „ორად ორი იუბილარი და მათი მეგობრები“, თბილისის საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალი, ჯანსუღ კახიძის სახელობის მე-3 საერთაშორისო ფესტივალი, თბილისი საგუნდო მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი, პროექტი „ბავშვთა საერთაშორისო დღე-მხიარული ჰანგები“, თემურ ჩალაბაშვილის 65 წლის იუბილე, ანსამბლ „ალილოს“ კონცერტი, „თსუ - გორდელას“ საიუბილეო კონცერტი რუსთაველის თეატრში, ტარიელ გოდერძიშვილის შემოქმედებითი საღამო, პროექტი „ალექსანდრე ბასილაია - ზღაპარი სიყვარულისა“, თბილისის საერთაშორისო სტუდენტური კინოფესტივალი „ამირანი“, ცეკვის საერთაშორისო ფესტივალი, ლიზა ბარათაშვილის და გოტიე კაპუსიონის კონცერტი თბილისის ოპერის თეატრში, შედგა პროექტები „ქალის მშვენიერება და სილამაზე“, „კავშირი გულთა“, „ჩოხოსნები“, „პიქსელის თაობა“, „ჯაზ ფესტივალი 2017“, „თბილისური

ეზო“, „თბილისის საერთაშორისო საბალეტო ფესტივალი“, „არტ გენი 2017“, „თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი“ და „BLUES SUMMIT 2017“; გაიმართა მერაბ სეფაშვილის საიუბილეო საღამო, ფარნაოზ ლაპიალიშვილისადმი, ზურაბ დოიჯაშვილის და ზურაბ მანაგაძისადმი მიძღვნილი ღონისძიებები; პროექტი „თანამედროვე ცეკვის სამხრეთკავკასიური ფესტივალი“, მხატვრების საერთაშორისო სიმპოზიუმი, პროექტი „გულმართალი კაცი მიყვარს“, „თბილისური ეზო“, „მხიარული ქალაქი 2017“, თბილისის საერთაშორისო ჯაზ - ფესტივალი, სულხან ნასიძის საიუბილეო საღამო, ჩასაბერ საკრავთა მე-9 ფესტივალი, პროექტი „საჩუქარი“, „გაუფრთხილდი ისტორიას“, „ორერა“-ს 55 წლის იუბილე, გივი თოიძის საიბულეო გამოფენა, თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი, პროექტი „მეხსიერების ბარათი“, „ერთი მოთხრობის კონკურსი“, „იუმორინა 2018“, ნაძვის ხეების ფესტივალი, საახალწლო სპექტაკლი, პროექტი „საშობაო მელოდიები“ და სხვა.

გარდა ამისა, პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ მუსიკალური კონკურსების ფონდისათვის გამოყოფილი 213.4 ათასი ლარიდან, დაფინანსდა პიანისტთა თბილისის VI საერთაშორისო კონკურსი 210.0 ათასი ლარით, ბუღალტრული პროგრამების უზრუნველყოფის ლიცენზიის ხარჯი 3.4 ათასი ლარით; ა(ა)იპ თბილისის საგუნდო მუსიკის ფესტივალისათვის გამოყოფილი 63.4 ათასი ლარიდან, თბილისის საგუნდო მუსიკის VII საერთაშორისო ფესტივალი 60.0 ათასი ლარით, ბუღალტრული პროგრამების უზრუნველყოფის ლიცენზიის ხარჯი 3.4 ათასი ლარით; ა(ა)იპ თბილისის მუსიკალური ფესტივალების ცენტრისათვის გამოყოფილი 223.4 ათასი ლარიდან, დაფინანსდა საერთაშორისო მუსიკალაური ფესტივალი „შემოდგომის თბილისი“ 220.0 ათასი ლარით, ბუღალტრული პროგრამების უზრუნველყოფის ლიცენზიის ხარჯი 3.4 ათასი ლარით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: სახელმწიფო სახალხო, რელიგიური დღესასწაულები - 28 ღონისძიება; თეატრალური ხელოვნების განვთარების და თავისუფალი თეატრალური პროექტების ხელშეწყობა - 21 ღონისძიება; ფესტივალების კონკურსების და საიუბილეო ღონისძიებების ხელშეწყობა - 95 ღონისძიება.

08 06 სპორტის განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 13,897.8 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 14,338.9 ათასი ლარის 97%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

08 06 01 სპორტული ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2017 წლის გეგმა 3,677.6 ათასი ლარი, დაფინანსდა 3,626.0 ათასი ლარით. რაც გეგმის 98.6%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ქვეყნის ნაკრები გუნდები შეივსება ახალგაზრდა პერსპექტიული სპორტსმენებით; სპორტის სხვადასხვა სახეობებში ადგილობრივი და საერთაშორისო რანგის შეჯიბრებებში სპორტსმენთა წარმატებული ასპარეზობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა თბილისის 40 სპორტული ფედერაცია: ბადმინტონის, მაგიდის ჩოგბურთის, ტანვარჯიშის, ძალოსნობის, ჭადრაკის, მშვილდოსნობის, ფარიკაობის, ტაეკვონდოს, ჯიუ-ჯიცუს, ჰოკეის, ფრენბურთის, უძლიერეს მამაკაცთა, ხუთჭიდის და ტრიატლონის, უშუს, კრივის, ქართული ჭიდაობის, ბერძნულ-რომაული და თავისუფალი ჭიდაობის, სამბოს, სროლის, ნიჩბოსნობის, საწყლოსნო სახეობების, კიკბოქსინგის, ნარდის, მეკლდეურობის, მძლეოსნობის, კარატეს, ფეხბურთის, ჩერლიდინგის, აფროსნობის, ბეისბოლისა და სოფტბოლის, მფრინავი დისკის, ამერიკული ფეხბურთის, ძიუდოს, ბილიარდის, ველოსპორტის, კალათბურთის, პროფესიონალ მკლავჭიდელთა, გოლფის, მკლავჭიდის და ბავშვთა და მოსწავლე ახალგაზრდობის სპორტის ფედერაცია;

საქართველოს 24 სპორტული ფედერაცია: ჭადრაკის, ქართული საბრძოლო ხელოვნების „შავფაროსნები“, ბილიარდის, ქალთა ავტოსპორტის, საუნივერსიტეტო სპორტის, ძიუდოს, ვეტერან და მოყვარულ ჩოგბურთელთა, ტაეკვონდოს ი.ტ.ფ, სასკოლო სპორტის, კრივის, საცხენოსნო სპორტის, ფედერაცია „სპორტი ყველასთვის“, პარაფრენბურთის, უშუს, ბოდიბილდინგის, ფიტნესის და

ბოდიფიტნესის, ფარიკაობის, ჭიდაობის, კონტაქტური კარატეს, კალათბურთის, ფრენბურთის, ყრუთა და სმენადაქვეითებულთა ფეხბურთის, სამბოს და სასკოლო სპორტის ფედერაცია.

სხვადასხვა ორგანიზაციები, მათ შორის: არასამთავრობო ორგანიზაცია (კავშირი) "კასტირიონი", ა(ა)იპ „მშვიდობის თასი-საქართველო“, ა(ა)იპ "საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია", ა(ა)იპ "საქართველოს სპეციალური ოლიმპიადა", ა(ა)იპ "მზის შვილები", ა(ა)იპ "საქართველოს სამოყვარულო ფეხბურთის ასოციაცია", ა(ა)იპ "ამომავალი ვარსკვლავი", ა(ა)იპ "იბერია 2016", ა(ა)იპ ბავშვთა საფეხბურთო სკოლა "აფხაზეთი", ა(ა)იპ „ქალთა ფეხბურთის დახმარების საერთაშორისო ფონდი“, ა(ა)იპ „თავისუფალი აზრის ცენტრი“, ა(ა)იპ საქართველოს სპორტისა და ხელოვნების მოღვაწეთა კავშირი „ელ-ემ-თი“, ა(ა)იპ „ზუკას თასი“, ა(ა)იპ „ახალგაზრდული მედია-კავშირი“, ა(ა)იპ ახალგაზრდული კლუბი „დიდუბე 2014“, ა(ა)იპ „საქართველოს რაგბის კავშირი“, ა(ა)იპ „კალათბურთის სამოყვარულო ლიგა“, ა(ა)იპ წყალბურთელთა გუნდი „თბილისი“,ა(ა)იპ „ისანი-სამგორის კომპლექსური სპორტული ცენტრი“ , ა(ა)იპ „თბილისის მერიის ტანვარჯიშის განვითარების სპორტული ცენტრი“, ა(ა)იპ „ისანი-სამგორის კომპლექსური სპორტული ცენტრი“, ა(ა)იპ „ქალაქ თბილისის გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი“.

საანგარიშო პერიოდში სპორტული ღონისძიებების ფარგლებში მოეწყო სპორტის სხვადასხვა სახეობაში თბილისის პირველობები და ჩემპიონატები, სასწავლო–საწვრთნო შეკრებები, ქ. თბილისის ნაკრებმა გუნდებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირში, ასევე დაფინანსდა ფედერაციებისთვის სპორტსმენთა ეკიპირებისა და სპორტული ინვენტარის შეძენა და სხვა, სულ 248 სპორტული ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 43 000 - მდე ბენეფიციარმა.

ქ. თბილისის თასის გათამაშებები, ტურნირები, პირველობები და ჩემპიონატები: ბადმინტონში, მაგიდის ჩოგბურთში, ტანვარჯიშის სახეობებში, ძალოსნობაში, ჭადრაკში, მშვილდოსნობაში, ფარიკაობაში, ტაეკვონდოში, ჯიუ-ჯიცუში ფრენბურთში, ხუთჭიდსა და ტრიატლონში, უშუში, კრივში, თავისუფალ

და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, ქართულ ჭიდაობაში, მკლავჭიდში, სროლაში, ცურვაში, სინქრონულ ცურვაში, კიკბოქსინგში, მძლეოსნობაში, კარატეში, ჩერლიდინგში, აფროსნობაში, ფრისბიში, ამერიკულ ფეხბურთში, ბილიარდში, კალათბურთში, გოლფში, ბოულინგში, ქალთა ავტოსპორტში, ფეხბურთში, ცხენოსნობაში, რაგბში, ნარდში და ჩოგბურთში.

ქ. თბილისის გუნდებმა მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო ტურნირებზე და ჩემპიონატებში საქართველოში და საზღვარგარეთ: ბადმინტონში, ტანვარჯიშის სახეობებში, მშვილდოსნობაში, ფარიკაობაში, ჯიუ-ჯიცუში, ქვიშის ფრენბურთში, უშუში, კრივში, ჭიდაობაში, სამბოში, ცურვაში, წყალში ხტომაში, წყალბურთში, ნარდში, კარატეში, ჩერლიდინგში, ბეისბოლსა და სოფტბოლში, ძიუდოში, ბილიარდში, კალათბურთში, კრივში, მჯდომარე ფრენბურთში და ბოდიბილდინგში.

თბილისის გუნდებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს თასის გათამაშებებში, პირველობებსა და ჩემპიონატებში: მაგიდის ჩოგბურთში, ტანვარჯიშის სახეობებში, ძალოსნობაში, მშვილდოსნობაში, დარბაზის ჰოკეიში, ფრენბურთში, კრივში, ჭიდაობაში, ქართულ ჭიდაობაში, სამბოში, კანოე-კაიაკში, აკადემიურ ნიჩბოსნობაში, მეკლდეურობაში, ველოსპორტში, ფეხბურთში და ბოდიბილდინგში.

სასწავლო-საწვრთნო შეკრებები: ძალოსნობაში, მშვილდოსნობაში, ფარიკაობაში, ჯიუ-ჯიცუში, კრივში, სამბოში, ფრისბიში, ძიუდოში და ფეხბურთში. ნაკრებმა გუნდებმა და სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში და თასის გათამაშებებში საქართველოში და საზღვარგარეთ: ნარდში, კარატეში, ჩერლიდინგში, გოლფში, ჭადრაკში, ტაეკვონდოში, უშუში, ფარიკაობაში, ფრენბურთში, სამბოში და მკლავჭიდში. სახელობით ტურნირებში მონაწილეობა მიიღეს თბილისის გუნდებმა: მაგიდის ჩოგბურთში, ძალოსნობაში, ჭადრაკში, ინდორ ჰოკეიში, ქართულ ჭიდაობაში, სამბოში, სასტენდო სროლაში, მეკლდეურობაში და კალათბურთში.

სპორტული ინვენტარის და გუნდების ეკიპირების შესაძენად დაფინანსდა: ქ. თბილისის ბადმინტონის ფედერაცია, ქ. თბილისის მშვილდოსნობის ფედერაცია,

ქ. თბილისის ფრენბურთის ფედერაცია, ქ. თბილისის ნიჩბოსნობის ფედერაცია, ქ. თბილისის კიკბოქსინგის ფედერაცია, ქ. თბილისის ამერიკული ფეხბურთის ფედერაცია, ქ. თბილისის ველოსპორტის ფედერაცია, საჭადრაკო კლუბი „ამომავალი ვარსკვლავი“, ა(ა)იპ „იბერია 2016“, საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია, საქართველოს კონტაქტური კარატეს ეროვნული ფედერაცია, საქართველოს ყრუთა და სმენადაქვეითებულთა ფეხბურთის ფედერაცია და ა(ა)იპ ქ. თბილისის ფეხბურთის სპორტული ცენტრი „იმედი“. ასევე დაფინანსდა, აჭარის ღია პირველობაზე სპორტულ აკრობატიკაში თბილისის გუნდის მონაწილეობა, ფრენბურთში საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობისთვის თბილისის ნაკრები გუნდების ლიცენზიები, საერთაშორისო სამწვრთნელო ერთ ვარსკვლავიანი სემინარები კრივში, ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელის მიხეილ მესხის 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით წიგნის გამოცემა, ფეხბურთში ელიტ-ლიგის და თბილისის ლიგის ტურნირების 2017 წლის სეზონის დაჯილდოვება, შშმ პირთა ჩართულობით სხვადასხვა სპორტული ღონისძიება, 8 აპრილს სპორტის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით სპორტული ღონისძიებები კალათბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ქუჩის ფეხბურთში და მასობრივ გარბენში, ქართული საბრძოლო ხელოვნების „შავფაროსნები“-ს თბილისის ფედერაციისთვის სავარჯიშო დარბაზის იჯარა, ავსტრიაში სპეციალური ოლიმპიური თამაშებისთვის წინამოსამზადებელი საწვრთნელი ბანაკი, დაუნის სინდრომის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით რიყის პარკში სპორტული აქტივობები, ბავშვთა საფეხბურთო სკოლა „აფხაზეთის“, სადაც ვარჯიშობენ აფხაზეთიდან დევნილი და სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე ბავშვები, ვარჯიშებისთვის მოედნის იჯარა და თბილისის თასის გათამაშებაში მონაწილეობის გადასახადი, პროექტში „მერიასთან ერთად“ ჩართული ბავშვების, რომლებიც უფასოდ გადიან საწვრთნელ პროცესს ფეხბურთში, მწვრთნელის C კატეგორიის ლიცენზიის მისაღებად კურსის გადასახადი და გუნდის ფეხბურთის ჩემპიონატში მონაწილეობის გადასახდი, 2016 წლის სპორტული მოვლენების შემაჯამებელი გამოფენა "სპორტფოტო 2016", „სასკოლო სპორტული ოლიმპიადა თბილისი - 2017“, საქველმოქმედო რბენა

"Wings for Life-Wold run“, წიგნის „ქართული რაგბი“ გამოცემა, უძლიერეს მამაკაცთა შორის აღმოსავლეთ ევროპის თასზე თბილისელი სპორტსმენების მონაწილეობა და ევროპის არნოლდ კლასიკის ფესტივალზე თბილისის ნაკრები გუნდის მონაწილეობა, მსოფლიო გრან-პრი ძიუდოში, სპორტული კატალოგის ბეჭდვა „თბილისის სპორტული ფილმების ფესტივალი-TSFF”, კალათბურთში 60 მოზარდის ვარჯიშებისთვის დარბაზის 10 თვის იჯარა, ლიტვაში საკალათბურთო კემპში სპორტსმენის მონაწილეობა, ჭადრაკში „მსოფლიო თასი-2017“-ში მონაწილეთა ტრანსპორტით მომსახურება, სპორტული ფოტოჟურნალისტიკის მამამთავრის ალექსანდრე კოტორაშვილის 75 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ფოტოალბომის გამოცემა, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდის წევრის ზურაბ დათუნაშვილისთვის ევროპის ჩემპიონატზე ნაჩვენები შედეგის გათვალისწინებით მატერიალური წახალისება, საახალწლო დღეების აღსანიშნავად დედაენის ბაღში სანახაობრივი და სპორტული შოუ-პროგრამა „ექსტრიმ შოუ საახალწლოდ“, კალათბურთის „სამოყვარულო ლიგა“. ა(ა)იპ-ების ხელშეწყობის მიზნით დაფინანსდა ა(ა)იპ „ისანი-სამგორის კომპლექსური სპორტული ცენტრი“, ა(ა)იპ „ტანვარჯიშის განვითარების სპორტული ცენტრი“, წყალბურთელთა გუნდი „თბილისი“ და ა(ა)იპ „ქალაქ თბილისის გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი“.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: გაიმართა 248 სპორტული ღონიძიება, კერძოდ: თბილისის ღია პირველობები, ტურნირები და ჩემპიონატები - 83, საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობა მიიღეს თბილისის ნაკრებმა გუნდებმა და სპორტსმენებმა - 47, ქ. თბილისის ნაკრებმა გუნდებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ჩემპიონატებში და პირველობებში - 35, მოეწყო - 12 სასწავლო-საწვრთნო შეკრება, ნაკრებმა გუნდებმა და სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში და თასის გათამაშებებში საქართველოში და საზღვარგარეთ - 12, სახელობით ტურნირებში მონაწილეობა მიიღეს თბილისის გუნდებმა - 15, ქ. თბილისის და ეროვნული სპორტული ფედერაციებისთვის ინვენტარის და ეკიპირების შეძენა - 16, ასევე დაფინანსდა სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები - 28

08 06 02 მწვრთნელთა მხარდაჭერა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2017 წლის გეგმა 2,235.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: მატერიალურად წახალისებული და მოტივირებული ბავშვთა ჯგუფებთან მომუშავე მწვრთნელ–მასწავლებლები; ნიჭიერ სპორტსმენთა გამოვლენა და მსოფლიო დონის სპორტსმენთა აღზრდა, რაც საერთაშორისო მაშტაბით სახელს გაუთქვამს საქართველოს.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ფინანსური მხარდაჭერა გაეწია სპორტულ დაწესებულებებში მომუშავე სპორტის სხვადასხვა სახეობის 345 მწვრთნელ - მასწავლებელს, რომლებიც სპორტის 47 სახეობაში ავარჯიშებენ მოზარდებს, ესენია: ფრენბურთი, ნიჩბოსნობა, ჭადრაკი, მეკლდეურობა, სპორტული ტანვარჯიში, მხატვრული ტანვარჯიში, სპორტული აკრობატიკა, ბატუტზე ხტომები, ბ/რ და თავისუფალი ჭიდაობა, ფარიკაობა, მძლეოსნობა, მაგიდის ჩოგბურთი, მშვილდოსნობა, ძალოსნობა, ცურვა, წყალბურთი, წყალში ხტომა, სინქრონული ცურვა, აფროსნობა, ძიუდო, კრივი, ხელბურთი, სროლა, ველოსპორტი, რაგბი, ბეისბოლი და სოფტბოლი, ჩოგბურთი, ფიგურული სრიალი, სამბო, ქართული ჭიდაობა, კალათბურთი, კარატე, თანამედროვე ხუთჭიდი, ფუტზალი, ბალახის ჰოკეი, მფრინავი დისკი, უშუ, ბადმინტონი, პარაოლიმპიური სპორტის სახეობები, მკლავჭიდი, საავტომობილო სპორტი, კიოკუშინკაი კარატე, ფეხბურთი, პანკრატიონი, ტაეკვონდო და ამერიკული ფეხბურთი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: ფინანსურად უზრუნველყოფილი და სტიმულირებული მწვრთნელ–მასწავლებლები.

08 06 03 სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია

განმახორციელებელი ორგანიზაცია: განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური.

2017 წლის გეგმა 364.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 361.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 99%-ია

დასახული შუალედური შედეგები: სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმული ბავშვები, მოზარდები და ზრდასრული ადამიანები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში თბილისის ათივე რაიონის 18 სკვერში დამონტაჟდა გარე–გამოყენების სავარჯიშო მოწყობილობები. ფიტნეს-ტრენაჟორები განთავსდა საჩრდილობელი ფანჩატურის ქვეშ, რაც მოსახლეობას საშუალებას აძლევს დღის ნებისმიერ მონაკვეთში, უსასყიდლოდ დაკავდეს სპორტული აქტივობით. ასევე, თბილისის ტერიტორიაზე, 27 ლოკაციაზე დამონტაჟდა ველოპარკინგები. თითო პარკინგზე განთავსდა 5-10 ცალი სადგომი ბოძი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმული ბავშვები და მოზარდები, ასევე ზრდასრული ადამიანები; სავარჯიშო მოწყობილობებით და ველოპარკინგებით მოსარგებლე მოსახლეობის რაოდენობის ზრდა.

08 06 04 სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური; სპორტული ცენტრები.

2017 წლის გეგმა 6,761.7 ათასი ლარი, დაფინანსდა 6,377.7 ათასი ლარით. რაც გეგმის 94%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: საერთაშორისო სტანდარტების სპორტული ინფრასტრუქტურა; სპორტულ ცენტრებში მომსახურების გაუმჯობესებული სერვისები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განათლების, სპორტის

და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის:

ა(ა)იპ ისანი-სამგორის კომპლექსური სპორტული ცენტრის სტრუქტურული ერთეულის ვაზისუბნის მე-4 მიკრო-რაიონის მიმდებარე ტერიტორიაზე რაგბის სტადიონის სამშენებლო სამუშაოები. ტერიტორიაზე განთავსდა საერთაშორისო სტანდარტების სტადიონი, ადმინისტრაციული შენობა, 400 ადგილიანი ტრიბუნა და საშხაპეები. კომპლექსი 700-მდე ბენეფიციარს მოემსახურება;

ისანი-სამგორის კომპლექსური სპორტული ცენტრის (ყოფილი სპორტული ცენტრი ,,ლილო'') ტერიტორიაზე აშენდა 500 კვ/მ ტანვარჯიშის დარბაზი, თავისი გასახდელებით და საშხაპეებით, სადაც ჩატარდება ვარჯიშები მხატვრულ ტანვარჯიშში, ბატუტზე ხტომებსა და აკრობატიკაში, დარბაზი 400-მდე ბენეფიციარს მოემსახურება. გარდა ამისა, გადაიტიხრა არსებული ჭიდაობის დარბაზი და აღიჭურვა თანამედროვე სტანდარტების ფიტნეს ტრენაჟორებით;

ა(ა)იპ ,,გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრის'' ნაძალადევის კომპლექსის მიმდინარე სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები. სპორტულ ბაზაზე მოეწყობა ჭიდაობის დარბაზი, კრივის რინგი და 2 საცურაო აუზი (დიდი - 25 მ. პატარა - 15 მ). ასევე სპორტსმენებისთვის მოეწყობა ფიტნეს-დარბაზი, გასახდელები და კაფე. სრული დატვირთვის შემდეგ ცენტრი მოემსახურება 1 000-ზე მეტ ბენეფიციარს;

ა(ა)იპ ,,ქ. თბილისის მერიის ტანვარჯიშის განვითარების სპორტულ ცენტრში'' განხორციელდა შენობის ნახევრადსარდაფის 240 კვ/მ-ის რეაბილიტაცია, სადაც განთავსდა ქორეოგრაფიის დარბაზი. ახალი დარბაზი გათვლილია კვირაში 400 ტანმოვარჯიშეზე.

კეთილმოწყობის სამსახურის მიერ ქვეპროგრამის ფარგლებში 2,421.6 ათასი ლარით დაფინანსდა მუხიანის IV მ/რ-ის მიმდებარედ ახალი რაგბის სპორტული მოედნის მშენებლობის დასრულების სამუშაოები, რომლის მშენებლობაც დაიწყო 2016 წელს.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: გაიზარდა საერთაშორისო სტანდარტების და თანამედროვე ინვენტარით აღჭურვილი

სპორტული ობიექტებისა და სპორტული ობიექტით მოსარგებლე პირთა რაოდენობა.

08 06 05 წარმატებული სპორტსმენი ბავშვების წახალისება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2017 წლის გეგმა 351.7 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმული ბავშვები და მოზარდები; წახალისებული ახალგაზრდა, პერსპექტიული სპორტსმენები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 34 სპორტის სახეობის 18 წლამდე ასაკის 240 წარმატებული სპორტსმენი ბავშვი. ეს სახეობებია: ფარიკაობა, ფრენბურთი, ბეისბოლი და სოფტბოლი, წყალში ხტომა, ძალოსნობა, სპორტული ტანვარჯიში, ბატუტზე ხტომები, მხატვრული ტანვარჯიში, სპორტული აკრობატიკა, მძლეოსნობა, ჭადრაკი, კალათბურთი, ბ/რ და თავისუფალი ჭიდაობა, ძიუდო, ტყვიის სროლა, კრივი, ცურვა, მკლავჭიდი, წყალბურთი, ნიჩბოსნობა, ველოსპორტი, რაგბი, თანამედროვე ხუთჭიდი, ფეხბურთი, მშვილდოსნობა, მეკლდეურობა, ჩოგბურთი, სამბო, უშუ, კარატე, სეიბუკაი კიოკუშინ კარატე, ტაეკვონდო ტაიბოქსი და კიკბოქსინგი.

08 06 06 პარასპორტის განვითარების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრი

2017 წლის გეგმა 948.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 946.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.8%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: არანაკლებ 10 სპორტულ სახეობაში საწვრთნელ-სარეაბილიტაციო პროცესი. სხვადასხვა პარასპორტულ

საერთაშორისო-სარეიტინგო შეჯიბრებებში ქართველი პარასპორტსმენების მონაწილეობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ "თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრი"ს ფუნქციონირების ხარჯები: შრომის ანაზღაურება, ოფისის ხარჯები, ტრანსპორტის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები, მივლინების, საერთაშორისო შეჯიბრებებში პარასპორტსმენთა მონაწილოების და სხვა. გარდა ამისა, ცენტრში მიმდინარეობდა ინტენსიური საწვრთნელ–სარეაბილიტაციო პროცესი, საერთო ჯამში საწვრთნელ-სარეაბილიტაციო პროცესში ჩართულია 185 პარასპორტსმენი. ცენტრში ვითარდება 14 პარასპორტული სახეობა, ესენია: ამპუტანტთა ფეხბურთი, უსინათლოთა ფეხბურთი, ეტლით მოსარგებლეთა ფარიკაობა, პარამკლავჭიდი, პარამშვილდოსნობა, ეტლით მოსარგებლეთა ჩოგბურთი, პარამაგიდის ჩოგბურთი, ბოჩა, ეტლით მოსარგებლეთა კალათბურთი, მჯდომარე ფრენბურთი, პარაძიუდო, წოლჭიმი (სპინალური დაზიანების მქონე პირთა ძალოსნობა), აუტისტური სპექტრის მქონე მოზარდების კალათბურთი, აუტისტური სპექტრის მქონე მოზარდების ფეხბურთი. ასევე, ცენტრში ტარდება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: 14 სპორტულ სახეობაში საწვრთნელ-სარეაბილიტაციო პროცესი; სხვადასხვა პარასპორტულ საერთაშორისო-სარეიტინგო შეჯიბრებებში ქართველი პარასპორტსმენების მონაწილეობა; 185-ზე მეტი პარასპორტსმენის ჩართვა რესოციალიზაციის პროცესში

08 08 ახალგაზრდული ღონისძიებები დაფინანსებულია 1,579.5 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 1,597.9 ათასი ლარის 98.9%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

08 08 01 ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი

2017 წლის გეგმა 924.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 911.2 ათასი ლარით. რაც გეგმის 98.5%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფს ახალგაზრდებისთვის გასართობ, შემეცნებით, მასობრივი სპორტული ღონისძიებებსა და სხვადასხვა კულტურულ და სადღესასწაულო ღონისძიებებში ახალგაზრდობის მონაწილეობას. ახალგაზრდობისათვის უზრუნველყოფილი იქნება თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტების ინფრასტრუქტურა და გარემო.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა პროექტები, მათ შორის: ა(ა)იპ „AIESEC in Georgia (აისეკ საქართველო) - ს პროექტი „BELingual - ორენოვანი“. პროექტის მიზანი იყო თბილისში მცხოვრები 14-დან 25 წლამდე ახალგაზრდების ინგლისური ენის სასაუბრო უნარ-ჩვევების გაუმჯობესება, პროექტის ფარგლებში „აისეკ საქართველოს” ორგანიზებით საქართველოში ჩამოვიდა 10 უცხოელი ახალგაზრდა მოხალისე, რომლებიც ადგილობრივ ახალგაზრდებთან ერთად ორგანიზებას უწევდა სასწავლო პროცესს; ა(ა)იპ „საზოგადოებრივი აზრის ცენტრის “ პროექტი „იდეების კონკურსი 2017“, რომლის ფარგლებშიც პროექტის დასკვნით ეტაპზე გამარჯვებულ გუნდებს თავიანთი პროექტად ქცეული იდეების განხორციების საშუალება მიეცათ, პროექტის ფარგლებში დაბა ბაკურიანში 75 - მდე ახალგაზრდას პირველ ეტაპზე ჩაუტარდა სპეციალური ტრენინგი პროექტის წერის, გუნდური მუშაობის პრინციპებისა და პრეზენტაციული უნარ-ჩვევების შესახებ, პროექტის დასკვნით ეტაპზე გამარჯვებულ გუნდებს თავიანთი პროექტად ქცეული იდეების განხორცილების საშუალება მიეცათ; ა(ა)იპ თავისუფალი აზრის ცენტრის“ პროექტი „Youth Voice - ახალგაზრდების ხმა“, რომელშიც 100 -მდე ბენეფიციარმა მიიღო ინფორმაცია მუნიციპალურ დონეზე დაგეგმილი პროგრამების შესახებ; ა(ა)იპ „ევროპის ახალგაზრდული პარლამენტი - საქართველოს“ პროექტი „ევროპის ახალგაზრდული პარლამენტი საქართველოს 2017 წლის ქალაქის სესია“, სართაშორისო მასშტაბის მქონე ღონისძიებაში 111 -მა

ახალგაზრდა დელეგატმა მიიღო მონაწილეობა, რომლებმაც სესიის მიმდინარეობის დროს გაიღრმავეს ცოდნა ევროპაში მიმდინარე აქტუალური საკითხების შესახებ და გაეცნენ ევროპარლამენტის მუშაობის სპეციფიკას; ა(ა)იპ „საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის“ პროექტის „სტუმრად ჯინო ფერედაისში“ დაფინანსება, რომელიც გულისხმობდა სოციალურად დაუცველი ახალგაზრდებისთვის ხელმისაწვდომი გარემოს შექმნის მიზნით კომპლექსში მოზარდების სტუმრობას; ა(ა)იპ ,,საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის“ პროეტი „ქალთა დღისადმი მიძღვნილი ბოულინგის ტურნირი სტუდენტი გოგონებისთვის“; ა(ა)იპ „Club de Chance Tiflis-ის“ პროექტის „ბავშვთა ნახატების საერთაშორისო კონკურსი - დამიხატე მშვიდობა, სერია მშვიდობის სიმფონია, მზადება 2017 წლის სეზონისათვის“ დაფინანსება; დახმარება გაეწია ა(ა)იპ „სტუდია ჯიბის კაცის“ პროექტს „პირველი ქართულ-ფრანგული ანიმაციური ფილმის, ჯიბის კაცის რეჟისორის მონაწილეობა ნიუ იორკის საერთაშორისო საბავშვო ანიმაციური ფილმების ფესტივალზე“; საქალაქო სამსახურის მხარდაჭერით განხორციელდა „საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA)“ პროექტი „GIPA-ს სათხილამურო ტურნირი 2017“; სსიპ „ვლადიმერ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის N199 საჯარო სკოლის პროექტი ანტიკური დრამის ეროვნული ინსტიტუტის ფონდის კლასიკური თეატრის რიგით XXIII ახალგაზრდული ფესტივალი (სირაკუზა, სიცილია); ა(ა)იპ „მხიარულთა და საზრიანთა კლუბის“ პროექტი „მხიარულთა და საზრიანთა გუნდების თბილისის 2017 წლის ღია ჩემპიონატი“; პროექტი ,,ვიდეო ლექციები ლაშქრობის თემაზე“; საქართველოს კიბერ სპორტის ფედერაციასთან ერთად განხორციელდა პროექტი ,,თბილისის თასი 2017 – CYBERFIELD”, ახალგაზრდებში კიბერ სპორტის პოპულარობის გამო პროექტში 400-მდე მოზარდმა მიიღო მონაწილეობა;

ახალგაზრდულ საქმეთა პროგრამების განყოფილების მხარდაჭერით ჩატარდა „საქართველოს ჩემპიონატი ჯომარდობაში ახალგაზრდებს შორის“; „თბილისი 2017 ევროპის ახალგაზრდული პარლამენტის 86-ე საერთაშორისო სესია“; ა(ა)იპ ,,საქართველოს ახალგაზრდულ ორგანიზაციათა ნაციონალური

საბჭოსთან“ ერთად მოეწყო საერთაშორისო კონფერენცია „ახალგაზრდები ახალგაზრდული პოლიტიკის ეფექტური განვითარებისთვის“; ახალგაზრდებში ინგლისური ენის ცოდნის გაუმჯობესების მიზნით დაფინანსდა პროექტი „სალაპარაკო ინგლისური ენის ორთვიანი კურსი“- „BELingual-ორენობანი“; საქალაქო სამსახურის ორგანიზებით, ახალი 2017-2018 სასწავლო წელის დაწყებასთან დაკავშირებით, ახალგაზრდებისათვის ეთნოგრაფიულ მუზეუმში, ღია ცის ქვეშ, განხორციელდა გასართობი და შემეცნებითი ღონისძიებები, რომელსაც ესწრებოდა 2000-მდე სტუდენტი; „თბილისობა 2017-ის“ ფარგლებში რიყის პარკში მოეწყო სპორტული, ახალგაზრდული და ბავშვთა გასართობი კუთხეები. ასევე, მონაწილეობა იქნა მიღებული 2018 წლის შობა-ახალი წლის დღესასწაულის აღნიშვნასთან დაკავშირებული ღონისძიებების ორგანიზებაში.

გარდა ამისა, განხორციელდა ა(ა)იპ „ქ.თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის“ მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებისა და მათი პედაგოგების დაფინანსება და კომუნალური ხარჯების დაფარვა. ასევე, გაწეულ იქნა განსახორციელებელი ღონიძიებებისთვის სატრანსპორტო მომსახურების შესყიდვა, სატრანსპორტო საშუალებით დახმარება გაეწია ათამდე უნივერსიტეტს შემეცნებით-საგანმანათლებლო ექსკურსიის მოწყობაში.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: ახალგაზრდული მიმართულებით დაფინანსდა 50-მდე პროექტი; ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო 80 000-მდე ბენეფიციარმა; 500-ზე მეტმა ახალგაზრდამ გაიუმჯობესა სალაპარაკო ინგლისური ენის უნარ-ჩვევები; თბილისში მოქმედი უმაღლესი სასწავლებლების 2000-მდე სტუდენტი ჩაერთო მასშტაბური საახალწლო ღონიძიების მოწყობაში; ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციის მიმართულებით დაგეგმილ აქტივობებში ჩართული იყო 5 000-მდე ახალგაზრდა.

08 08 02 თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანება

2017 წლის გეგმა 672.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 668.2 ათასი ლარით. რაც გეგმის 99%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ახალგაზრდების სამოქალაქო ცნობიერების დონის ამაღლება; მოხალისეობრივი ინსტიტუტის გაძლიერება; საერთაშორისო პროგრამებში მონაწილეთა რაოდენობის ზრდა; ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან კოორდინირებული თანამშრომლობის ფორმატი; ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა; ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვა ახალგაზრდებში

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანების“ ფუნქციონირების ხარჯები, კერძოდ შრომის ანაზღაურება, ოფისის ხარჯები, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება, დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება, სხვა ხარჯები, არაფინანსური აქტივების შეძენის და სხვა. ასევე, განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: პროექტისათვის „მერიასთან ერთად“ უზრუნველყოფილ იქნა სპორტული ინვენტარის შეძენა და პროექტის ამოქმედება ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესისა და მასობრივი სპორტის პოპულარიზაციის მიზნით. არაფორმალური განათლების პროგრამის ფარგლებში შექმნილი ტრენინგ-ცენტრის გამართული ფუნქციონირებისთვის ავეჯის (მაგიდები, სკამები) და მცირეფასიანი ინვენტარის შეძენა, ცენტრში დატრენინგდა 200-მდე ახალგაზრდა; მოხალისე ახალგაზრდებისთვის ჩატარდა კულტურულ-შემოქმედებითი საღამო და სხვადასხვა მიმართულებით მომუშავე მოხალისეთა დაჯილდოვება.

საანგარიშო პერიოდში არაფორმალური განათლების პროგრამისა და მოხალისეობრივი საქმიანობის მხარდაჭერის მიზნით სტუდენტებისთვის მოეწყო ბანაკის ტიპის საზაფხულო სკოლა; ახალი სასწავლო წლის დასაწყისთან დაკავშირებით ცენტრის მხარდაჭერითა და ორგანიზებით ჩატარდა მასშტაბური სტუდენტური წვეულება ეთნოგრაფიული მუზეუმის მიმდებარე ტერიტორიაზე; კვარტლის განმავლობაში მოხდა რამდენიმე შეხვედრის ორგანიზება

ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და ა.შ. თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანება აქტიურად იყო ჩართული 2018 წლის შობა-ახალი წლის დღესასწაულის აღნიშვნასთან დაკავშირებული ღონისძიებების ორგანიზებაში და სხვა. 2017 წელს „თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანებას“ ჰყავდა 5 000-მდე ბენეფიციარი, აქედან 200-მდე ფონიჭალის ახალგაზრდულ ცენტრს.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: დედაქალაქის დონეზე ახალგაზრდებისთვის შეიქმნა შესაფერისი გარემო და პირობების, სადაც შეძლებენ ხარისხიანი ცოდნის მიღებას, თვითრეალიზაციას და საჭირო უნარ-ჩვევების შეძენას; საერთაშორისო ურთიერთოებების გაღრმავება ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობის და უცხოელი ახალგაზრდების ჩართულობის მიზნით, მიღწეულია შეთანხმებები და მემორანდუმი, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა პროექტები.

08 09 კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური

2017 წლის გეგმა 468.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 458.8 ათასი ლარით. რაც გეგმის 97.8%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებით შექმნილი თბილისის განვითარების ერთიანი სტრატეგია; კულტურის სფეროს მდგრადობის მიღწევა; კულტურული მემკვიდრეობის ადგილებში ტურისტების რაოდენობის ზრდა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა მუსიკალური დაჯილდოვება „ფენიქსი 2016“, პროექტი „ამირ-ამირ კაკაბაძის ტეტროსპექტივა“, ქართველი ემიგრანტი მუსიკოსების მასტერკლასები და კონცერტები, პროექტი „კავკასიის მარგალიტი“, 24 საათიანი ექსპერიმენტული თეატრის ფესტივალი, „33ა“-ს კონცერტი, ჯგუფ „სახეს“ დაარსებიდან 20 წლის საიბილეო კონცერტი და ვარსკვლავის გახსნა, საერთაშორისო სამხატვრო ფესტივალი „ხატე საქართველოსთვის“, „SOU“ ფესტივალი 2017, თბილისის წიგნის საერთაშორისო

ფესტივალი, „4GB“ ელექტრონული მუსიკის ფესტივალი, შოთა რუსთაველის 850 წლისთავისადმი მიძღვნილი ვეფხისტყაოსნის გამოცემათა კერძო კოლექცია-გამოფენა, საერთაშორისო გამოფენა „აღმოაჩინე საქართველო“, „TBILISI OPEN AIR 2017”, შედგა პროექტები „პირისპირ“, „ბენეფისი“, „ახალგაზრდები კლასიკური მუსიკისათვის კავკასიაში“, „41 გრადუსი საქართველოში 100 წლის შემდეგ“, „ფოტო გრაფიის ღამე 2017“, „თბილისის რიტმი“, „ახალი ტფილისი“, „ძმები სიმენსები საქართველოში“, ქართლის სამეფოს არქელოგიური ობიექტების კვლევა, „თბილისის ბაროკო ფესტივალი 2017“, თბილისის კამერული მუსიკის ფესტივალი, საახალწლო კონცერტი, „წიგნის საახალწლო ფესტივალი“, მანანა აბაზაძის საიუბილეო საღამო, ლიკა ქავჟარაძის გამოფენა, შაჰტახტის არქეოლოგიური გათხრები და სხვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: დაფინანსებული პროექტების რაოდენობამ შეადგინა - 45.

08 11 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები რაიონებში დაფინანსებულია 967.6 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 1,040.1 ათასი ლარის 93%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

08 11 01 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები გლდანის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გლდანის რაიონის გაგეობა

2017 წლის გეგმა 115.0 ათასი ლარი დაფინანსებულია 114.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.6%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: რაიონში მცხოვრები ახალგაზრდობის სპორტით დაინტერესება, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა და ახალგაზრდობის შემეცნებითი ცნობიერების ამაღლება. შემოქმედებითი და სპორტული აქტივობის ამაღლება, ჯანსაღი ახალგაზრდა თაობის აღზრდა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსებულია: მასობრივი სპორტის ტურნირი, კერძოდ: კარტინგი, ბილიარდი, ტირი და მაგიდის ჩოგბურთი. გლდანის რაიონის ტერიტორიაზე არსებული საჯარო და კერძო სკოლების წარჩინებული მოსწავლეებისთვის. ტურნირი ჩატარდა ასტრა პარკში.

მონაწილეობა მიიღო დამამთავრებელი კლასის 150 მოსწვალემ. „გლდანის თასი ფრენბურთში 2017“ - ტურნირი გაიმართა გლდანის რაიონის ტერიტორიაზე არსებული საჯარო და კერძო სკოლების გოგონათა და ვაჟთა გუნდებს შორის. კულტურული ღონისძიება, საგაზაფხულო დღესასწაულებისადმი მიძღვნილი მრავალშვილიანი და სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე ქალბატონებისთვის. ღონისძიების ფარგლებში ქალბატონები მიწვეულ იქნენ თეატრში. ღონისძიება ჩატარდა თუმანიშვილის თეატრში და ბენეფიციარი იყო 300 ქალბატონი. ინტელექტუალური თამაში „რა, სად, როდის?“ გლდანის რაიონის მასშტაბით არსებული საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეებისთვის. მონაწილეობა მიიღო 22 სკოლამ. საპრიზო ადგილზე გასულ გუნდებს პრიზის სახით გადაეცათ წიგნები. ჩატარდა ტურნირი ქუჩის კალათბურთში; ტურნირში მონაწილეობა მიიღო გლდანის რაიონის მაცხოვრებლებისგან შემდგარმა 4 კაციანი გუნდებმა, 16 წლიდან ზევით. საპრიზო ადგილზე გასული გუნდები დასაჩუქრდნენ სპორტული მაღაზიის ვაუჩერებით. (მონაწილეობა მიიღო 30 გუნდმა). გაიმართა ზღაპრის ფესტივალი „ცეროდენა“ - მონაწილეობა მიიღო გლდანის რაიონის ტერიტორიაზე არსებული საჯარო და კერძო სკოლის დაწყებითი კლასის მოსავლეებმა. ნომინაციებში გამარჯვებულებს გადაეცათ წიგნის მაღაზიის ვაუჩერები (ფესტივალზე მონაწილეობდა 16 სკოლა). ჩატარდა ბავშვთა საერთაშორისო დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება. გაიმართა კონცერტი და ბავშვებისთვის მოეწყო სხვადსხვა სიურპრიზები. სპორტული ტურნირი - „გლდანის თასი მინი ფეხბურთში 2017“. მონაწილეობა მიიღო გლდანის რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრებმა 10 კაცისგან დაკომპლექტებულმა 25-მდე გუნდმა. საპრიზო ადგილზე გასული გუნდები დასაჩუქრდნენ სპორტული მაღაზიის ვაუჩერებით. საერთო-სახალხო დღესასწაული „თბილისობა 2017“. ჩატარდა საბავშვო და გასართობი ტიპის ღონისძიებები სამ ლოკაციაზე. გლდანის რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები და რაიონში არსებული სარეაბილიტაციო ცენტრების და სკოლების შშმ ბავშვებისათვის ჩატარდა საახალწლო ღონისძიება გასართობ ცენტრ-მაქსილენდში; ჩატარდა წინასაახალწლო კონცერტი გლდანის პარკში, საბავშვო და გასართობი ხასიათის აქტივობებით და შემდეგ კონცერტით.

08 11 02 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ნაძალადევის რაიონის გაგეობა

2017 წლის გეგმა 94.0 ათასი ლარი დაფინანსებულია 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: რაიონში მცხოვრები ახალგაზრდობის სპორტით დაინტერესება, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა და ახალგაზრდობის შემეცნებითი ცნობიერების ამაღლება. შემოქმედებითი და სპორტული აქტივობის ამაღლება, ჯანსაღი ახალგაზრდა თაობის აღზრდა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა: რაიონში მცხოვრები სოციალურად დაუცველი და წარჩინებული მოსწავლეებისთვის სპორტულ-გასართობი ღონისძიების (კარტინგი,მაგიდის ჩოგბურთი,ბილიარდი) ორგანიზება; რაიონის ტერიტორიაზე მდებარე საჯარო სკოლების გოგონათა და ვაჟთა გუნდებს შორის ფრენბურთის ორდღიანი ტურნირის ორგანიზება; რაიონში მცხოვრები მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის დედის დღესთან დაკავშირებით სპექტაკლ „სადღაც, ცისარტყელას მიღმა„-ს ბილეთების შესყიდვა და მისალოცი ბარათების ბეჭდვითი მომსახურება. ნაძალადევის რაიონის გამგეობის მიერ საგანმანათლებლო-კულტურული შეჯიბრის „წიგნი-ერი“-ს ორგანიზების მომსახურების შესყიდვა; ნაძალადევის რაიონის ტერიტორიაზე კალათბურთის ტურნირის „ქუჩის კალათბურთი 3x3 - ნაძალადევი 2017“ ორგანიზება; ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღის ორგანიზება; კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიების "სტუმრად ტექნო პარკში" ორგანიზება (გამგეობა 2017 წლის მაისი-ივნისის თვეში გეგმავს რაიონში რეგისტრირებული 22 საჯარო სკოლიდან წარჩინებული მოსწავლეების წაყვანას სტუმრად ტექნო პარკში); კულტურულ-გასართობი ღონისძიება „ბოლო ზარი“; რაიონის საჯარო სკოლების პედაგოგებისა და მოსწავლეებისათვის - თეატრალურ წარმოდგენაზე დასწრებისათვის ბილეთების შესყიდვა; რაიონის საჯარო სკოლების მოსწავლეებისათვის - ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით, თეატრალურ წარმოდგენაზე „უდარდელას თავგადასავალი“ დასწრებისათვის ბილეთების

შესყიდვა.მინი ფეხბურთის ტურნირი; „თბილისობა 2017“ - კულტურულ-გასართობი ღონისძიება „ვეტერანთა კულტურისა და დასვენების“ პარკში; სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის საახალწლო საცირკო წარმოდგენაზე დასასწრები ბილეთების შესყიდვა.

08 11 03 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები დიდუბის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: დიდუბის რაიონის გამგეობა

2017 წლის გეგმა 150.0 ათასი ლარი დაფინანსებულია 149.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: რაიონში მცხოვრები ახალგაზრდობის სპორტით დაინტერესება, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა და ახალგაზრდობის შემეცნებითი ცნობიერების ამაღლება. შემოქმედებითი და სპორტული აქტივობის ამაღლება, ჯანსაღი ახალგაზრდა თაობის აღზრდა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: მხიარულები, საზრიანები და გაზაფხულის დღესასწაულები 2017; 1 ივნისის სადღესასწაულო ღონისძიებები; ფრენბურთის ტურნირში გამარჯვებული გუნდის დაჯილდოების ღონისძიება; ღონისძიება „მხიარული ბავშვები“-ს ორგანიზება; ღონისძიება „ჩემი დიდუბე“-ს ორგანიზება; საბავშვო-გასართობი ღონისძიება „თბილისობა 2017“-ის ჩატარების ორგანიზება; წინასაახალწლო ღონისძიებები „დიდუბე 2018“-ის ჩატარების ორგანიზება; ჩოგბურთის ჩემპიონატი - დიდუბე 2017 რაიონული ტურნირის ორგანიზება; ,,სპორტი ცხოვრების წესი 2017“ ღონისძიების ორგანიზება; ,,ქუჩის კალათბურთი 3X3 დიდუბე 2017“ ღონისძიება; „ქართული და აღმოსავლური საბრძოლო ხელოვნების რაიონული ჩემპიონატის“ ღონისძიების ორგანიზება; ფეხბურთი „დიდუბე 2017“-ის ღონისძიების ორგანიზება; 2017 წელს რაიონში ჩატარებული მინი ფეხბურთის ტურნირში გამარჯვებული გუნდებისათვის 26 ერთეული სპორტული ტანსაცმლის შეძენა-გადაცემის ღონისძიება.

08 11 04 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ჩოღურეთის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჩოღურეთის რაიონის გამგეობა

2017 წლის გეგმა 82.0 ათასი ლარი დაფინანსებულია 63.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 77%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: რაიონში მცხოვრები ახალგაზრდობის სპორტით დაინტერესება, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა და ახალგაზრდობის შემეცნებითი ცნობიერების ამაღლება. შემოქმედებითი და სპორტული აქტივობის ამაღლება, ჯანსაღი ახალგაზრდა თაობის აღზრდა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა და დაფინანსდა სპორტული ღონისძიებები მარათონი „ჩემი გაზაფხული“, რაიონის სკოლებს შორის ჩატარებული ტურნირი ფრენბურთში, მინი ფეხბურთის ტურნირი „ჩოღურეთი 2017“, შეჯიბრი სპორტის სხვადასხვა სახეობებში. კერძოდ: ბილიარდში, ტირში, მაგიდის ჩოგბურთში, ქუჩის კალათბურთში, ნარდში, ბაგირის გადაძლევაში და კარტინგში. ასევე, დაფინანსდა დედის დღისა და ბავშვთა დღის აღნიშვნასთან დაკავშირებით კულტურულ-გასართობი ღონისძიებები და სკოლის მოსწავლეებისა და მასწავლებელთათვის სპორტის სფეროში ტრენინგის ჩატარების მომსახურების ხარჯები და სხვა.

08 11 05 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ვაკის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ვაკის რაიონის გაგეობა

2017 წლის გეგმა 100.0 ათასი ლარი დაფინანსებულია 72.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 73%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: რაიონში მცხოვრები ახალგაზრდობის სპორტით დაინტერესება, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა და ახალგაზრდობის შემეცნებითი ცნობიერების ამაღლება. შემოქმედებითი და სპორტული აქტივობის ამაღლება, ჯანსაღი ახალგაზრდა თაობის აღზრდა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 8 მარტის დღესასწაულთან დაკავშირებით, ღონისძიების ჩასატარებლად ყვავილების თაიგულების შესყიდვა; კარტინგის, ბილიარდის, მაგიდის ჩოგბურთის, ტირის, ფრენბურთის, ქუჩის კალათბურთის, მინი ფეხბურთში ვაკის თასი 2017-ისა და ღია საჩოგბურთო ტურნირების ჩატარების ორგანიზების მომსახურების ხარჯები, "SOS ბავშვთა სოფლისა" და "ჩემი სახლი"-ის აღსაზრდელებისთვის (8-19 წლამდე 60 ბავშვი) სპექტაკლზე დასასწრები ბილეთების შესყიდვა, საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის ინტელექტუალური შეჯიბრის, ასევე 1 ივნისს ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი, წყნეთობის დღესასწაულისადმი და 2017 წლის თბილისობისადმი მიძღვნილი ღონისძიების ჩატარების ხარჯები.

08 11 06 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები საბურთალოს რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: საბურთალოს რაიონის გაგეობა

2017 წლის გეგმა 100.0 ათასი ლარი დაფინანსებულია 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: რაიონში მცხოვრები ახალგაზრდობის სპორტით დაინტერესება, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა და ახალგაზრდობის შემეცნებითი ცნობიერების ამაღლება. შემოქმედებითი და სპორტული აქტივობის ამაღლება, ჯანსაღი ახალგაზრდა თაობის აღზრდა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა საჯარო სკოლებს შორის მოწყობილი სათხილამურო ტურნირის ორგანიზება; კარტინგით რბოლის, ფრენბურთის, წყალბურთისა და პეინტ ბოლის ტურნირის ჩატარების ორგანიზების მომსახურების ხარჯები. ასევე, ტურნირების: ე.წ. „ენერჯაიზერი“, ქუჩის კალათბურთი, მინი ფეხბურთისა და ჯომარდობის ორგანიზების ხარჯები; დედის დღისადმი მიძღვნილ კონცერტი; კავშირი „არ დავიწყება“-ს მიერ ორგანიზებულ დედის დღისადმი მიძღვნილ საღამოზე ბილეთების შესყიდვა; ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილ კონცერტი; შემეცნებით ღონისძიება “თვითმმართველობა სკოლაში“; შშმ პირებისთვის აკვა პარკში გასართობის

ღონისძიებისა და დიდგოროვბის ტრადიციული დღესასწაულის ორგანიზების მომსახურების ხარჯები; თასების, მედლების, სპორტული მაისურების, ყვავილების შესყიდვა; „თბილისობა 2017“-ის და საახალწლო ღონისძიებების ორგანიზების მომსახურების ხარჯები.

08 11 07 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ისნის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ისნის რაიონის გაგეობა

2017 წლის გეგმა 100.0 ათასი ლარი დაფინანსებულია 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: რაიონში მცხოვრები ახალგაზრდობის სპორტით დაინტერესება, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა და ახალგაზრდობის შემეცნებითი ცნობიერების ამაღლება. შემოქმედებითი და სპორტული აქტივობის ამაღლება, ჯანსაღი ახალგაზრდა თაობის აღზრდა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში სპორტული ღონისძიებისათვის შეძენილ იქნა სპორტული საქონელი, გაწეულია ფრენბურთის, კარტინგის, მაგიდის ჩოგბურთის, ბილიარდის, ტირის, ქუჩის კალათბურთის, კიკბოქსინგის, მინი ფეხბურთის, ავტომანქანებით წყვილთა რბოლის ტურნირების ორგანიზების ხარჯები; მე-20 საჯარო სკოლის 150 მოსწავლისათვის სახალისო სამეცნიერო მუზეუმ-ექსპერიმენტორიუმში დასასწრები ბილეთების შეძენის და მრავალშვილიანი ოჯახის დედებისათვის აღსანიშნავი კულტურული - საგანმანათლებლო ღონისძიების ორგანიზების ხარჯები, უსინათლო და მცირე მხედველობის ბავშვთა სკოლა-პანსიონის მოსწავლეებისათვის შეძენილ იქნა 4 ცალი მანტია-ყაბალახი, სტუდენტური თვითმმართველობის წევრებისათვის ჩატარდა გასვლითი ტრეინინგი, შედგა შეხვედრა რაიონის მაცხოვრებლებსა და ქართველ და სხვა ეთნიკური წარმომავლობის მოღვაწეებთან, გაიმართა სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან 6-12 წლის ასაკის ბავშვებისათვის ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ მებრძოლთა ხსოვნის დღისადმი მიძღვნილი კულტურული ღონისძიებები, საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის კულტურულ-შემეცნებით ღონისძიებაზე დასასწრებად შეძენილ იქნა ბილეთები, გაწეულია

„თბილისობა 2017“-ის, შშმ პირების უფლებების დაცვის აღსანიშნავი კულტურულ - გასართობი ღონისძიების და საბავშვო საახალწლო ღონისძიების ორგანიზების ხარჯები.

08 11 08 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები სამგორის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სამგორის რაიონის გაგეობა

2017 წლის გეგმა 100.0 ათასი ლარი, დაფინანსებულია 85.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 85.5%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: რაიონში მცხოვრები ახალგაზრდობის სპორტით დაინტერესება, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა და ახალგაზრდობის შემეცნებითი ცნობიერების ამაღლება. შემოქმედებითი და სპორტული აქტივობის ამაღლება, ჯანსაღი ახალგაზრდა თაობის აღზრდა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია დედის დღისადმი, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი, თბილისობის და ახალი წლისადმი მიძღვნილი კულტურული ღონისძიებების; კარტინგის, ტირის, ჩოგბურთის, ბილიარდის, ჭადრაკის, ფრენბურთის, ჭიდაობის, ქუჩის კალათბურთის, კიკბოქსინგის და მინიფეხბურთის ტურნირების ორგანიზებისათვის ხარჯები; მოეწყო მარათონი 2017, გაიმართა შეჯიბრი ჯომარდობაში, შედგა სასკოლო შეჯიბრი დებატებში, შეძენილია საახალწლო გასართობ პროგრამებზე დასასწრები ბილეთები სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის.

08 11 09 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები კრწანისის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კრწანისის რაიონის გამგეობა

2017 წლის გეგმა 99.1 ათასი ლარი დაფინანსებულია 93.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 94.4%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: რაიონში მცხოვრები ახალგაზრდობის სპორტით დაინტერესება, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა და

ახალგაზრდობის შემეცნებითი ცნობიერების ამაღლება. შემოქმედებითი და სპორტული აქტივობის ამაღლება, ჯანსაღი ახალგაზრდა თაობის აღზრდა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ჩატარდა რაიონის ტერიტორიაზე მდებარე საჯარო სკოლების გოგონათა და ვაჟთა გუნდებს შორის ფრენბურთის ორდღიანი ტურნირი. ასევე დაფინანსებულია ზემო ფონიჭალის ტერიტორიაზე, ქუჩის კალათბურთისა და მინი ფეხბურთში ექვსდღიანი ტურნირის ორგანიზების ხარჯები; ბერძნულ-რომაულ ჭიდაობასა და კიკ-ბოქსინგში 2 დღიანი ტურნირის ორგანიზების ხარჯები; 1 ივნისს ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გასამართი ღონისძიების, 300 არაგველის ობელისკის მიმდებარე ტერიტორიაზე და მის მოპირდაპირე კრწანისის ბაღში დაგეგმილ კრწანისობის დღესასწაულთან და კულტურულ-გასართობი ღონისძიების ჩატარებისა და სკოლის მოსწავლეთათვის სპექტაკლის ორგანიზების ხარჯები; თბილისობის დღესასწაულთან დაკავშირებით კულტურული ღონისძიებების ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯები.

08 11 10 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მთაწმინდის რაიონის გამგეობა

2017 წლის გეგმა 100.0 ათასი ლარი, დაფინანსებულია 94.4 ათსი ლარით, რაც გეგმის 94.4%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: რაიონში მცხოვრები ახალგაზრდობის სპორტით დაინტერესება, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა და ახალგაზრდობის შემეცნებითი ცნობიერების ამაღლება. შემოქმედებითი და სპორტული აქტივობის ამაღლება, ჯანსაღი ახალგაზრდა თაობის აღზრდა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსებულია სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: ორდღიანი ფრენბურთის ტურნირის ორგანიზება 14-18 წლის მოზარდებისთვის; მოსახლეობისთვის სპორტულ-გასართობი ღონისძიების ორგანიზება; ქუჩის კალათბურთის ტურნირის

ორგანიზება სახელწოდებით „მთაწმინდის თასი“; მთაწმინდის რაიონის ტერიტორიაზე მაცხოვრებელი მოზარდებისათვის სპორტულ-ინტელექტუალურ-შემეცნებითი თამაშის ორგანიზება; მთაწმინდის რაიონის მოსახლეობისთვის ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებული კულტურულ-გასართობი ღონისძიების ორგანიზება; ხელოვნების ფესტივალის ორგანიზება; ჭიდაობის ტურნირის ორგანიზება; საერთო-სახალხო დღესასწაულის „თბილისობა 2017“-ს ღონისძიებების ორგანიზება; საფეხბურთო ტურნირის ორგანიზება; კალათბურთის ტურნირის ორგანიზება; წინასაახალწლო ღონისძიების ორგანიზება.

08 12 თბილისის თანამედროვე ბალეტის დასი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გიორგი ალექსიძის სახელობის კამერული დასი - თბილისის თანამედროვე ბალეტი“

2017 წლის გეგმა 319.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: მოსწავლე-ახალგაზრდობის დაინტერესებაქართული თანამედროვე ბალეტით.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაცემულ იქნა თანამშრომელთა ხელფასები, გაწეულია კავშირგაბმულობის, საოჯარო ქირის, რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის, კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯები, შეძენილ იქნა სხვადასხვა საკანცელარიო და სამეურნეო საქონელი, მცირეფასიანი ინვენტარი, მუსიკალური ინსტრუმენტი და სხვა. ასევე, ჩატარდა სხვადასხვა ღონისძიებები მათ შორის: გიორგი ალექსიძის ქორეოგრაფიული საღამო, შედგა პრემიერა სიყვარულის თემის ირგვლივ რიტუალური, მისტიური და ფილოსოფიური თანამედროვე ქართული ბალეტი „გურჯი-ხათუნი”; ჩატარდა სხვადასხვა მიმართულების კლასები და რეპეტიციები, დაიდგა ახალი კომპოზიციები დასის სარეკლამო ვიდეო გადაღებებისათვის, ქორეოგრაფების ბე და მევლანა ვან ვარკების მიერ დასს „ცეკვის თეატრის“ მიმართულების ვორკშოპი ჩაუტარდა, დასმა მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო კონფერენციაში „მედეას თემა

მსოფლიოს მხატვრულ კულტურაში“, გიორგი ალექსიძის სახელობის „თბილისის თანამედროვე ბალეტმა“ თანამედროვე ცეკვის განვითარების, ცნობიერების ამაღლებისა და პოპულარიზაციის მიზნით დაიწყო საგანმანათლებლო მიმართულება; ვახტანგ ჭაბუკიანის მემორიალურ ბინა-მუზეუმში შედგა ლექცია-შეხვედრა თემაზე „თანამედროვე ბალეტი“ და სხვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: გაიმართა 6 სპექტაკლი, მაყურებლის რაოდენობამ შეადგინა - 1 754.

08 13 ინკლუზიური ხელოვნების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური

2017 წლის გეგმა 100.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 85.6 ათასი ლარით. რაც გეგმის 85.6%-ია.


დასახული შუალედური შედეგები: ინკლუზიური ხელოვნების შემეცნებითი და შემოქმედებითი აქტივობების ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა პროექტები: „დედა-სიყვარულის უფრთო ფერია“, „პარაორკესტრი“, უსინათლო მხატვრის გიორგი ქობელაშვილის გამოფენა ქალაქ ვარშავაში, ვიზუალური ხელოვნების ინკლუზიური კურსი სმენის დარღვევის მქონე პირთა ჩართულობით, ვოკალურ-ინსტრუმენტალური ჯგუფი „რელიქვიას“ კონცერტი, „მხედველის სულის“, „დაიჭირე წამი“, „უსინათლო მომღერალთა ფესტივალი“, „სიმართლის გუდა“, „მოწყენილი სახეები დღეს არ იქნება“, „პარაორკესტრი ყველასთვის“, „ერთ სცენაზე“ და სხვა.


მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: გაიზარდა შშმ პირების ჩართულობა კულტურის სფეროში; საზოგადოების მიმღებლობა და ცნობიერების ამაღლება განსხვავებული შესაძლებლობების მიმართ; დაფინანსებული პროექტების რაოდენობამ შეადგინა - 14.

❖ **საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება**

ათასი ლარი



ათასი ლარი




09 02 ცხოველთა მონიტორინგი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო

საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 3,158.3 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ - 3,157.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100%-ია და 2016 წლის შესრულების მაჩვენებელზე 541.0 ათასი ლარით ნაკლებია, რაც გამოწვეულია ადმინისტრაციული ხარჯების შემცირებით. გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 94.4%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის – 5.6%.

(ათასი ლარი)




საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია: შრომის ანაზღაურების ხარჯი (მათ შორის: თანამდებობრივი სარგო, პრემია, დანამატი). შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება, საკანცელარიო, საწერ-სახაზავი ქაღალდის, საკანცელარიო წიგნების და სხვა ანალოგიური მასალების შეძენის ხარჯი, კავშირგაბმულობის ხარჯი, საფოსტო მომსახურეობის ხარჯი, კომუნალური ხარჯი (ელექტროენერგია, წყალი, ბუნებრივი აირის ხარჯი, კანალიზაციისა და ასინილიზაციის ხარჯი), სასტამბო ხარჯი, მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის და ინვენტარის შეძენა-მონტაჟის ხარჯი, აუდიტორული მომსახურეობის ხარჯი, რეცხვისა და სანიტარული საგნების შეძენის ხარჯი, წარმომადგენლობითი ხარჯები, ცხოველების კვების ხარჯები, სამედიცინო ხარჯები, ტრანსპორტის მოვლა-შენახვის ხარჯები (საწვავი, ექსპლუატაციისა და სათადარიგო ნაწილების შეძენა), სხვადასხვა სამეურნეო საქონელის შეძენის ხარჯი, სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები (დეკრეტული შვებულების და საავადმყოფო ფურცლის ხარჯები), მოსაკრებლების ხარჯი, სატრანსპორტო საშუალებების და პერსონალის დაზღვევის ხარჯები, საკარანტინო შენობაში იატაკის მოხვეწის, საკანალიზაციო სისტემის პროექტის, მანქანა დანადგარებისა და ინვენტარის შეძენის ხარჯები (კომპიუტერები და პრინტერები), ცხოველთა თავშესაფარში მსხვილფეხა პირუტყვის ვოლიერების, მოქალაქეთა მისაღები შენობის, ცხოველთა გამოსასეირნებელი ტერიტორიის და ცხოველთა საჩრდილობელის მშენებლობის ხარჯები, ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამის შეძენის ხარჯები და სხვა. გარდა ამისა, საკუთარი სახსრებიდან გაწეულია 53.9 ათასი ლარი, მათ შორის: შრომის

ანაღაურება (პრემია), შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება, კავშირგაბმულობის ხარჯები, ექსპერტიზის ხარჯები, საოფისე ინვენტარის შეძენა (რეპელენტით შესაწამლი აპარატები), ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენა (საღებავები), საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა დანადგარების მოვლა შენახვის, ექსპლუატაციის და მიმდინარე რემონტის ხარჯები (ფოტოაპარატების, ვიდეორეგისტრატორის და კონდენციონერის რემონტი), კვების ხარჯები (ცხოველების), სამედიცინო ხარჯები (რეპელენტის, ამიაკის და პირბადეების შეძენა), სხვა ხარჯები (მოგების გადასახადის ხარჯები), ცხოველთა თავშესაფარში ორთქლის კერხერის შეძენის ხარჯები, თავშესაფარში საკარანტინო შენობის სანიაღვრე არხის მოწყობის და საკანალიზაციო სისტემის მოწყობის ხარჯები, თავშესაფრის ადმინისტრაციული შენობის სამღებრო სამუშაოების, სამშენებლო პროექტის სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯები და სხვა. 2017 წლის განმავლობაში ცხოველებთან და ქვეწარმავლებთან დაკავშირებულ პრობლემატურ საკითხებზე 112-ის მეშვეობით და წერილობითი განცხადების საფუძველზე სააგენტოში შემოვიდა 26854 შეტყობინება, რომლებზეც განხორციელდა შესაბამისი რეაგირება, კერძოდ: ცხოველთა თავშესაფარში გადაყვანილი იქნა 6730 ცხოველი და 438 ქვეწარმავალი, ჩატარდა 3440 ოპერაცია (1859 სტერილიზაცია და 1581 კასტრაცია), გაჩუქდა, მიკედლებაში გადაეცა და ბინადრობის არეალში დაბრუნებული იქნა მთლიანობაში 3744 ცხოველი. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 279 ცხოველის იდენტიფიკაცია, 196 ცხოველის ტრანსპორტირება, 94 ცხოველის დაჭერა-გადაყვანა. სააგენტოს სპეციალურად გადამზადებული თანამშრომლების მიერ გამოვლენილი იქნა 769 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტი, შესაბამისად საჯარიმო სანქიების შედეგად ბიუჯეტში გადახდილმა თანხამ შეადგინა 10,712.00 ლარი. პერიოდული სიხშირით ტარდებოდა უპატრონო ცხოველების ანტირაბიული აცრები, ჯამში აცრილია 1421 ცხოველი (1328-ძაღლი, 93-კატა). გაზაფხული-ზაფხულის პერიოდში ჰაერის ტემპერატურის მატების პარალელურად სააგენტომ უზრუნველყო 116 ცალკეული ობიექტის და ტერიტორიის რეპელენტით შეწამვლა, დამუშავებული ტერიტორიის საერთო ფართობმა შეადგინა 35507 კვ.მ.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: ცხოველთა მუნიციპალურ თავშესაფარში მომსახურება გაეწია 1129 ვიზიტორს,

განხორციელდა შესაბამისი რეაგირება სააგენტოში შემოსულ 26854 შეტყობინებაზე.

❖ **ქ.თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები**



10 01 ქ.თბილისის საკრებულოსათვის საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტით გამოყოფილმა ასიგნებებმა შეადგინა 12,646.8 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ - 12,357.8 ათასი ლარი, რაც გეგმის 98%-ია, მათ შორის: თანამდებობრივი სარგო – 3,934.7 ათასი ლარი, პრემია - 652.2 ათასი ლარი, დანამატი - 1,431.7 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურება – 4,883.9 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფა – 137.5 ათასი ლარი, სხვა ხარჯები – 881.7 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა - 436.0 ათასი ლარი, ვალდებულებების კლება - 0.1 ათასი ლარი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია, საქალაქო სამსახურები და რაიონული გამგეობებისათვის საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა ასიგნებებმა შეადგინა 48,681.8 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ - 48,200.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 96%-ია. მათ შორის: თანამდებობრივი სარგო - 24,187.4 ათასი ლარი, პრემია - 2,446.4 ათასი ლარი, დანამატი - 3,395.3 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურება – 15,845.9 ათასი ლარი, გრანტები - 2.5 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფა - 521.8 ათასი ლარი, სხვა

ხარჯები – 255.6 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივები - 1,427.9 ათასი ლარი, ვალდებულებები - 117.9 ათასი ლარი. ამასთან, წარმოდგენილია საანგარიშო პერიოდის ხარჯები ცალკეული სამსახურებისა და რაიონული გამგეობების მიხედვით, მათ შორის:

მერიის ადმინისტრაცია (10 02) დაფინანსებულია 13,701.4 ათასი ლარით; საფინანსო საქალაქო სამსახური (10 03) – 1,030.4 ათასი ლარით, ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური (10 04) – 711.7 ათასი ლარით, მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური (10 06) – 701.5 ათასი ლარით, ზედამხედველობის საქალაქო სამსახური (10 07) – 2,570.4 ათასი ლარით, ტრანსპორტის საქალაქო სამსახური (10 08) – 966.7 ათასი ლარით, შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახური (10 09) – 856.9 ათასი ლარით, კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური (10 10) – 1,482.8 ათასი ლარით, ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური (10 11) – 749.2 ათასი ლარით, იურიდიული საქალაქო სამსახური (10 12) – 1,140.1 ათასი ლარით, უსაფრთხოების საქალაქო სამსახური (10 13) – 5,589.6 ათასი ლარით, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური (10 37) – 732.5 ათასი ლარი, კულტურის საქალაქო სამსახური (10 38) – 647.5 ათასი ლარი, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური (10 39) – 616.6 ათასი ლარი.

10 27 გლდანის რაიონის გამგეობა – 1,758.3 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 1,764.6 ათასი ლარის 99.6%-ი). საანგარიშო პერიოდში ხარჯები მიმართულია: შრომის ანაზღაურებაზე, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე, ოფისის ხარჯებზე (მათ შორის: კომუნალური ხარჯები, შენობა-ნაგებობის და მათი მიმდებარე ტერიტორიების მოვლა-დასუფთავების, კავშირგაბმულობისა და საფოსტო მომსახურების ხარჯები), ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა - შენახვის ხარჯებზე (ავტომანქანების რეცხვა) სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებაზე, დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალურ დახმარებაზე, სხვადასხვა მიმდინარე ხარჯებზე (სააღსრულებლო ხარჯები, დასუფთავების მოსაკრებელი) და არაფინანსურ აქტივებზე.

10 28 ნაძალადევის რაიონის გამგეობა – 1,844.3 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 1,846.8 ათასი ლარის 99.9%-ი). საანგარიშო პერიოდში ხარჯები

მიმართულია: შრომის ანაზღაურებაზე, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე, ოფისის ხარჯებზე (მათ შორის: კომუნალური ხარჯები, კავშირგაბმულობის ხარჯები, მცირეფასიანი ინვენტარის შეძენა-მონტაჟი, საკანცელარიო, გამგეობის და მუნიციპალიტეტების მოვლა-შენახვა და სხვა), ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვაზე, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებაზე (საარქივო მომსახურება, 112-ის მომსახურება), დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალურ დახმარებაზე, სხვადასხვა მიმდინარე ხარჯებზე (დასუფთავების მოსაკრებელი) და არაფინანსურ აქტივებზე (ხარჯი გაწეულია ელექტრომექანიკური შლაგბაუმის შეძენა-მონტაჟზე).

10 29 დიდუბის რაიონის გამგეობა – 1,538.9 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 1,547.5 ათასი ლარის 99.4%-ი). საანგარიშო პერიოდში ხარჯები მიმართულია: შრომის ანაზღაურებაზე, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე, ოფისის ხარჯებზე მათ შორის: კომუნალური ხარჯები, კავშირგაბმულობის ხარჯები, „საქართველოს ფოსტის“ მომსახურება, ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვის ხარჯებზე (ავტომანქანების რეცხვა), სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებაზე (საარქივო მომსახურება, ტენდერების გამოცხადების მომსახურება, ,,112“ მომსახურება, გამგეობის ჩართვა დოკუმენტბრუნვის ერთიან ელექტრონულ სისტემაში, აუდიტორული მომსახურება), სხვა ხარჯებზე (დასუფთავების მოსაკრებელი).

10 30 ჩუღურეთის რაიონის გამგეობა – 1,440.9 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 1,446.0 ათასი ლარის 99.7%-ი). საანგარიშო პერიოდში ხარჯები მიმართულია: შრომის ანაზღაურებაზე; შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე, ოფისის ხარჯებზე (მათ შორის: კომუნალურ ხარჯები, კავშირგაბმულობის ხარჯები, საფოსტო ხარჯები, საკანცელარიო და სამეურნეო საქონლის შეძენა, განახლებადი საკანონმდებლო ბაზის უზრუნველყოფა, ადმინისტრაციული შენობების დაგვა - დასუფთავება, ინვენტარის და ტექნიკის შეკეთება, გამგეობისათვის საჭირო სპეციალური ბლანკებისა და ფორმების ბეჭდვითი მომსახურება, მცირეფასიანი საოფისე ინვენტარისა და კომპიუტერული ტექნიკისათვის ნაწილებისა და აქსესუარების შეძენა), წარმომადგენლობითი

ხარჯებზე, რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯზე, ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვის ხარჯებზე (მანქანების რეცხვა), სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებზე (საარქივო მომსახურება, ტენდერების გამოცხადების მომსახურება, საჯარო რეესტრის ერთიან ელექტრონულ სისტემაში ჩართვის მომსახურებაზე, ახალი ამბების საინფორმაციო მომსახურება, სარეკლამო მომსახურება, „112 ოპერატორის“ მომსახურება), დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარებაზე (ბიულეტინის ანაზღაურება), სხვა ხარჯებზე (დასუფთავების მოსაკრებელი, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე დაკისრებული გადასახდელი), არაფინანსურ აქტივებზე, ვალდებულებების კლებაზე.

10 31 ვაკის რაიონის გამგეობა – 1,765.5 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 1,769.4 ათასი ლარის 99.8%-ი). საანგარიშო პერიოდში ხარჯები მიმართულია: შრომის ანაზღაურებაზე, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე, ოფისის ხარჯებზე (მათ შორის: კომუნალურ ხარჯები, კავშირგაბმულობის ხარჯები, საფოსტო მომსახურება, გამგეობისა და მუნიციპალიტეტის შენობების მოვლა-დასუფთავება, საკანცელარიო, მცირეფასიანი საოფისე ტექნიკისა და სამეურნეო საქონლის შეძენა, პრინტერების შეკეთება, შენობის და ტექნიკის მიმდინარე რემონტი, გენერატორის საწვავის შეძენა); წარმომადგენლობით ხარჯებზე, ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვის ხარჯებზე (ავტომანქანების რეცხვა), სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯებზე (არქივის მომსახურება და ახალი ამბების სააგენტო მომსახურება, სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მომსახურება, 112-ის მომსახურება, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მომსახურება და სხვა); დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარებაზე; სხვა ხარჯებზე (დასუფთავების მოსაკრებელი), არაფინანსურ აქტივებზე.

10 32 საბურთალოს რაიონის გამგეობა – 1,499.9 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 1,507.7 ათასი ლარის 99.5%-ი). საანგარიშო პერიოდში ხარჯები მიმართულია შრომის ანაზღაურებაზე, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე, მივლინებაზე, ოფისის ხარჯებზე (მათ შორის: კომუნალურ ხარჯები,

კავშირგაბმულობის ხარჯები, სამეურნეო საქონლის, მცირეფასიანი ავეჯისა და ტექნიკის შეძენა, საფოსტო მომსახურება, ბეჭდვითი მომსახურების შესყიდვა, კონდენციონერების დემონტაჟი, ქაღალდისა და კონვერტების შესყიდვა, კომპიუტერული ტექნიკის შეკეთების მომსახურება), წარმომადგენლობით ხარჯებზე; ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვის ხარჯებზე (ავტომანქანების რეცხვა), სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯებზე (სარეკლამო-საინფორმაციო პაკეტით მომსახურება, არქივის მომსახურება, ვიდეო მომსახურება, სატენდერო დოკუმენტაციის გამოქვეყნების საფასური, კანცელარიის ელექტრონული სისტემით მომსახურება, საკადასტრო ნახაზზე ასახული მიწის ნაკვეთის იდენტურობის დადგენის მომსახურება), დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარებაზე (დეკრეტულისა და ბიულეტინის ანაზღაურება), სხვა ხარჯებზე (დასუფთავების მოსაკრებელი) და არაფინანსური აქტივებზე.

10 33 ისნის რაიონის გამგეობა – 1,686.6 ათასი ლარი (გეგმიური მაჩვენებლის 100%-ი). საანგარიშო პერიოდში ხარჯები მიმართულია შრომის ანაზღაურებაზე, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე, ოფისის ხარჯებზე (მათ შორის: კომუნალურ ხარჯები, კავშირგაბმულობის ხარჯები, საკანცელარიო საქონლის და მცირეფასიანი ინვენტარის შეძენა, სატიტულო ბლანკების და სამხედრო სააღრიცხვო ბარათების ხარჯები, საფოსტო-საკურიერო მომსახურება), რბილი ინვენტარის და უნიფორმის შეძენის ხარჯებზე, ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვის ხარჯებზე, სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე (სატენდერო განცხადებების გამოქვეყნება, მუნიციპალიტეტის დაცვის მომსახურება, საინფორმაციო მომსახურება, საარქივო მასალების შენახვა), დამქირავებლის მიერ გაწეულ სოციალურ დახმარებაზე (ბიულეტინის ანაზღაურება, დეკრეტული შვებულება), სხვა ხარჯებზე (დასუფთავების მოსაკრებელი), ვალდებულების კლებაზე (სახელმწიფო ბაჟი), არაფინანსურ აქტივებზე (1 ერთეული სკანერი, 5 ერთეული კომპიუტერი, 1 ცალი ტყავის ჩანთა და 1 ერთეული კონდიციონერი).

10 34 სამგორის რაიონის გამგეობა – 1,905.7 ათასი ლარი (გეგმიური მაჩვენებლის 1,918.9 ათასი ლარის 99.3%-ი). საანგარიშო პერიოდში ხარჯები მიმართულია შრომის ანაზღაურებაზე, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე, ოფისის ხარჯებზე (მათ შორის: კომუნალურ ხარჯები, კავშირგაბმულობის ხარჯები, კარტრიჯების დატენვა და სხვა), წარმომადგენლობით ხარჯებზე, რბილი ინვენტარის და უნიფორმის შეძენის ხარჯებზე, ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვის ხარჯებზე, სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე მომსახურებაზე (სატენდერო განცხადებების და დოკუმენტაციის გამოქვეყნება, მუნიპალიტეტების შენობების დაცვა, საარქივო მასალების შენახვა და სხვა), დამქირავებლის მიერ გაწეულ სოციალურ დახმარებაზე (ბიულეტინის ანაზღაურება, დეკრეტული შვებულება), სხვა ხარჯებზე (დასუფთავების მოსაკრებელი), არაფინანსურ აქტივებზე, ვალდებულების კლებაზე (სახელმწიფო ბაჟი) და სხვა.


10 35 კრწანისის რაიონის გამგეობა – 1,433.8 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 1,439.7 ათასი ლარის 99.6%-ი). საანგარიშო პერიოდში ხარჯები მიმართულია: შრომის ანაზღაურებაზე, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე, მივლინების ხარჯებზე, ოფისის ხარჯებზე (მათ შორის: კომუნალური ხარჯები, კავშირგაბმულობის ხარჯები, ტიტულოვანი და სპეციალური ბლანკების დამზადება, საბეჭდი ქაღალდის შეძენა, საფოსტო ხარჯები, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის შეძენა, ადმინისტრაციული შენობების დასუფთავება, კარტრიჯების შეკეთება დატუმბვა, მცირეფასიანი საოფისე საგნების, მასალების შეძენა, მცირეფასიანი საოფისე ავეჯის, ტექნიკის, კომპიუტერული ტექნიკისა და ინვენტარის შეძენა-დამონტაჟება და შეკეთება), წარმომადგენლობითი ხარჯებზე, რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯზე, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებაზე (მათ შორის: ადმინისტრაციული შენობის იჯარა, ფონიჭალის მუნიციპალიტეტის შენობის იჯარა, საარქივო მომსახურება, ვიდეო მომსახურება, 112-ის მომსახურება, სატენდერო მოსაკრებელი, ახალი ამბების სააგენტო მომსახურება, კანცელარიის (დოკუმენტბრუნვის) ერთიანი ელექტრონული სისტემით მომსახურება, სსიპ

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მომსახურება), დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარებაზე, სხვა ხარჯებზე (დასუფთავების მოსაკრებელი), არაფინანსურ აქტივებზე, ვალდებულებების კლებაზე.

10 36 მთაწმინდის რაიონის გამგეობა – 1,829.4 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 1,830.6 ათასი ლარის 99.9%-ი). საანგარიშო პერიოდში ხარჯები მიმართულია: შრომის ანაზღაურებაზე, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე, ოფისის ხარჯებზე (მათ შორის: კომუნალური ხარჯები, კავშირგაბმულობის ხარჯები, საფოსტო მომსახურება, ოთახების დაგვა-დასუფთავება, საკანცელარიო საქონელის შეძენა და სხვა), ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვის ხარჯებზე, სხვა დანარჩენ საქონელზე და მომსახურებაზე, დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალურ დახმარებაზე, ვალდებულებების კლებაზე.

10.20 სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურისათვის საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა ასიგნებებმა შეადგინა 2,741.7 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ 2,700.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 98.5% და 2016 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 364.6 ათასი ლარით ნაკლებია, რაც გამოწვეულია ადმინისტრაციული ხარჯების შემცირებით. სამსახურისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 98.5%.

(ათასი ლარი)




საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსებულია: თანამდებობრივი სარგო, პრემია, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება, ოფისის ხარჯები - საკანცელარიო საქონელი, კატრიჯების შეძენა, ოფისისათვის საჭირო საგნების და მასალების შეძენა, ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯები - საწვავის შეძენა, ავტომანქანების რეცხვა, საბურავების შეძენა, სხვა ხარჯები - ავტომანქანების დაზღვევა. გარდა ამისა, საკუთარი სახსრებიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 1,323.2 ათასი ლარი. მათ შორის: შრომის ანაზღაურება, მივლინება, საკანცელარიო საქონელი ხარჯი, მობილური კავშირგაბმულობის ხარჯი, ციფრული ტელევიზიის ხარჯი, ბეჭდვითი მომსახურების ხარჯი (ბროშურების, ნორმატიული აქტების, წერილის და ბრძანების ბლანკების ბეჭდვა), კატრიჯების შეძენა და დატუმბვა, შტამპების დამზადება, ოფისისათვის საჭირო საგნების და მასალების შეძენა, მცირეფასიანი საოფისე ტექნიკისა და ინვენტარის შეძენა, კომპიუტერული ტექნიკის შეძენა, საოფისე ავეჯის შეძენა, მობილური ტელეფონის შეძენა, საოფისე და კომპიუტერული ტექნიკის შეკეთება, ფარდა ჟალუზების შეძენა, თანამშრომლებისათვის უნიფორმის შეძენის ხარჯი, საფოსტო მომსახურების ხარჯი, საკანონმდებლო მაცნეს ელექტრონული მომსახურების სისტემით სარგებლობის ხარჯი, ავტოტექმომსახურება, ავტომანქანების პარკირების გადასახადი, 112-ის მომსახურება, ექსპერტიზის ხარჯი, კადრების კვალიფიკაციის ამაღლების ხარჯი, სატენდერო განცხადების გამოქვეყნების ხარჯი, წარმომადგენლობით ხარჯი, დღგ-ს გადასახადი, სასამართლო ბაჟი და სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული გადასახადი, დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება, ორგმინის ლოგოს შეძენა დამონტაჟება. ოფისის ავეჯის შეძენა, კომპიუტერული ტექნიკის შეძენა, საბუღალტრო პროგრამის შეძენა და სხვა. 2017 წელს სამსახურში სულ შემოსულია 49 537 განაცხადი. აქედან, თანხმობით გასულია 24 058 განაცხადი. მათ შორის: მშენებლობის ნებართვა გაცემულია 5079 განაცხადზე, ქალაქმშენებლობითი პარამეტრების მომატებაზე (K1 და K2) გაცემულია თანხმობა 312 ობიექტზე.

10.21 სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსათვის საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა ასიგნებებმა შეადგინა 1,208.2 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა

შესრულებამ - 1,167.8 ათასი ლარი, გეგმიური მაჩვენებლის 96.7% და 2016 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 241.8 ათასი ლარით ნაკლებია, რაც გამოწვეულია ადმინისტრაციული ხარჯების შემცირებით. სააგენტოსათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 96.7%.

(ათასი ლარი)




საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია: შრომის ანაზღაურება, საქონელი და მომსახურება (მათ შორის: შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურება, ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაცია, ოფისის ხარჯები, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება) და სხვა. გარდა ამისა, საკუთარი სახსრებიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა - 1744,7 ათასი ლარი, მათ შორის: სახელფასო დანამატი, დღგ-ს და მოგების გადასახადი, საკონსულტაციო მომსახურება, უძრავი ქონების რეგისტრაცია, ა/ მანქანის რემონტი, მცირეფასიანი საქონელის შეძენა, კარტრიჯების შეძენა-დამუხტვა, ტექნიკის შესყიდვა, აუდიტის მომსახურება, მოსაკრებლები (სახელმწიფო ბაჟი და სხვა), ტრანსპორტის დაზღვევა, დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება, ბუღალტრული პროგრამის შეძენის ხარჯები და სხვა.

10 40 სსიპ - ტექნოლოგიური განვითარების ფონდისათვის საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა ასიგნებებმა შეადგინა 1,131.1 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ - 1,116.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 98.7% და 2016 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 275.7 ათასი ლარით მეტია, რაც გამოწვეული იმით,

რომ მიმდინარეობს ფონდის ლიკვიდაციის დასრულების პროცესი და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისათვის გამოეყო 1,048.4 ათასი ლარი წინა წლების დავალიანებების და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან. ფონდისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 98.7%.

(ათასი ლარი)



საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია: თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება (თანამდებობრივი სარგო), ოფისის ხარჯები, ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ხარჯები და სხვა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები პროგრამული კლასიფიკაციის, ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით და სსიპ-ებისა და ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების შესრულების მაჩვენებლები წარმოდგენილია დანართი N1-4.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი
გაიოზ თალაკვაძე